

K 258 291
3

ქართული
ბიბლიოთეკა

ინგა ფილავარი

ანოტიციების მეთოდოლოგია





თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 პედაგოგიური უნივერსიტეტი
 ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრა

ინგა ფილაური

ანოტირების მეთოდика

სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო

გამომცემლობა "ცის ნაპი"
 თბილისი
 2001



(074) + 025 5 + 655. 535. 54



ნაშრომი დაწერილია ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის გათვალისწინებული სასწავლო პროგრამის მიხედვით. განხილულია ზოგადთეორიული, ზოგადი მეთოდის, კერძო მეთოდისა და საქმის ორგანიზაციის საკითხები. გათვალისწინებულია პრაქტიკულად მოღვაწე სპეციალისტების ინტერესებიც.

ბიბლიოგრაფიის სპეციალობის მეთოდის

შინაარსი: ბიბლიოგრაფიის მეთოდის

წინასიტყვაობა -----	3
შესავალი -----	4
თავი I ანოტაციის რაობა -----	8
თავი II ანოტაციის კლასიფიკაცია -----	21
თავი III ანოტაციის სტრუქტურული თავისებურებანი -----	32
თავი IV ანოტაციის ტექნოლოგია -----	41
თავი V ცალკეული დარგის ლიტერატურის და გამოცემის სახეების ანოტირების თავისებურებანი -----	59
თავი VI ანოტირების საქმის ორგანიზაცია -----	72

K 258.291

რედაქტორი: გ. თაყნიაშვილი
რეცენზენტი: ო. ოსაძე

© ი. ფილაური .

დაიბეჭდა გამოცემლობა "ცის ნამის" სტამბაში

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

ანოტაცია ჩვენს წიგნურ სამყაროში უდიდეს ადგილს იჭერს. იგი გვხვდება ცალკეულ წიგნში, ბიბლიოგრაფიულ საძიებლებში, კატალოგებსა და კარტოთეკებში, საინფორმაციო გამოცემებში, საგამომცემლო გეგმებში როგორც ხელნაწერის, ისე ბეჭდური სახით. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საჭირო მასალის გამოვლენასა და შერჩევაში. ყველასათვის ნათელია, რომ უამრავი ანოტაცია, რომელიც იწერება და ქვეყნდება, ვერ ამართლებს მიზანს, ბევრი მათგანი დაკარგულ შრომას წარმოადგენს.

ანოტაციის შედგენა პროფესიონალს მოითხოვს, რომელსაც მრავალმხრივი განათლება აქვს. მთავარი მაინც ანოტირების მეთოდის დაუფლებაა. ამ საკითხს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში მრავალი მეცნიერული თუ მეთოდოლოგიური ნაშრომი მიეძღვნა. ამჟამადაც გრძელდება კვლევა-ძიება, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ ბევრი არაფერი გვაქვს. რუსული წყაროები, რომლებსაც ადრე ვიყენებდით, უკვე საკმაოდ მოძველებულია. ახალი კი რაიმე სერიოზული არ არსებობს. რაც შეეხება ქართულ მასალას, საერთოდ, არაფერი გავგაჩინია. ეს ნაშრომი არის პირველი ცდა ანოტაციის შესახებ ქართული მონოგრაფიული შრომის შექმნისა. ის ძირითადად შედგენილია ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის სპეციალურ კურსში არსებული პროგრამის მიხედვით - „ანოტირების მეთოდიკა“, რის გამოც მოცემული ნაშრომი თავისებური სასწავლო-მეთოდოლოგიური აქცენტებით ხასიათდება.

ნაშრომი ყოველმხრივ იხილავს საგანს, ეხება ყველაფერს, რისი შესწავლაც იძლევა გარანტიას, სტუდენტი საფუძვლიანად დაეუფლოს ანოტირების მეთოდებს. მასალის მოცულობისათვის ანგარიშის გაწევს გამო, არ მოხერხდა მოგვეცა კონკრეტული ანოტაციების ნიმუშები. მიგვაჩნია, რომ ამის გაკეთება უნდა მოხდეს სპეციალურ პრაქტიკუმებზე, რაც შეავსებს ამ დანაკლისს. ამ შემთხვევაში სპეციალურად შერჩეული ანოტაციების კრიტიკული ანალიზი (მოცემული მეთოდების გათვალისწინებით), დადებითი და უარყოფითი ანოტაციების შეჯერება, არსებული ანოტაციების კორექტირება, ამა თუ იმ ნაშრომზე დამოუკიდებელი ანოტაციების შედგენაზე ვარჯიში და სხვა ამგვარი სახის პრაქტიკული მუშაობა უზრუნველყოფს ანოტირების მეთოდის სრულყოფილად დაუფლებას.

შეხავალი

თანამედროვე ადამიანს განუსაზღვრელი ოდენობის წიგნებს შორის უწევს ცხოვრება. მაშინ, როდესაც ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნილება ინფორმაციაზე, საქმრო წიგნის გამოვლენას, მის შერჩევასა და მოპოვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენი ცხოვრება ყველა სფეროში დაჩქარებულ მოქმედებას მოითხოვს. ეს წიგნთან ურთიერთობის სფეროზეც ითქმის. რაციონალური ხერხებისა და ხაშუალებების გამოყენება ხაწინდარია ნაყოფიერი საქმიანობისა. რამდენადაც უფრო მოკლე დროში, ხწრაფად და თავისდროულად ხერხდება ლიტერატურის ზღვა მასაში ორიენტირება, იმდენად უფრო მაღალია საქმრო წიგნის ძიებისა და გამოყენების ეფექტი.

კითხვის პროცესში დროის ბიუჯეტის ფაქტორი მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. დროის რაციონალურად გამოყენება ხაშუალებას იძლევა ვაკითხოთ მეტი, მივიღოთ მეტი ინფორმაცია, უფრო იოლად და მოხერხებულად დავეძლიოთ კითხვასთან დაკავშირებული ამოცანები.

მაგრამ მარტო დროის ეკონომია არ არის მთავარი, თუ დროის ბიუჯეტი შეწონილი არ არის მიღებული ინფორმაციის ხისრულესთან, მასალის დრმად წვდომასა და ხაფუძვლიან გაგებასთან. ანოტაცია, რომელიც ხწორედ ამას უწყობს ხელს, უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს ურთულესი ელემენტია. მისი შემეუობით იზოგება დროც და ყველაზე უფრო კვალიფიცირურად და ლაკონურად მიიღება საქმრო ინფორმაცია.

ანოტაცია გვეხმარება უხწრაფესად გავეცნოთ წიგნის შინაარსს, მის ხასიათს, დანიშნულებას, ღირსებებს; მაგრამ ამისათვის ხაჭმროა იგი იყოს ხრულყოფილი, მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული. ამის ვაკეთება კი შეუძლია მხოლოდ პროფესიონალ ხეციადისტს, რომელიც დაუფლებულია ანოტირების ურთულეს ხელოვნებას. ამ ხელოვნების ცოდნა, ხაჭმრო ხერხებისა და ხაშუალებების დაუფლება, მასალის დამუშავებისა და ტექსტის ტექნიკურად ხწორად აგების მეთოდოკა ხერიოზულ შესწავლასა და დამუშავებას მოითხოვს.

ანოტირების მეთოდოკის შესწავლა მოითხოვს როგორც ხაჭმის თეორიის დაუფლებას, ისე პრაქტიკულ ვარჯიშს, რის შედეგადაც მოდის ცოდნა და გამოცდილება. ხეციადისტი, რომელიც ხაფუძვლიანად იცნობს ანოტაციის ყოველ ნიუანსს, ის არა



ანოტაციის მართო კარგი მცოდნეა, არამედ კარგი ინფორმატორი. კარგი მრწაველი და გეზის მომცემი. ასეთი სპეციალისტი უაღრესად სასარგებლოა არა მართო წიგნის ბიბლიოგრაფიული დამუშავების დროს, არამედ საკატალოგო საქმიანობასა და მკითხველებთან ურთიერთობის პროცესში - საბიბლიოთეკო მომსახურების დროს.

ანოტაციის მნიშვნელობა ძირითადად ლიტერატურის შერჩევისათვისაა ფასდაუდებელი. მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში წიგნი განუსაზღვრელ მნიშვნელობას იძენს და ამის ცოდნა, ზღვა მასალაში როგორ გამოვავლინოთ ჩვენთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი ეგზემპლარები, დიდ როლს თამაშობს.

კარგად შედგენილი ანოტაცია, უპირველეს ყოვლისა, უეჭველად დიდი დახმარებაა მკითხველისათვის, განსაკუთრებით მისთვის, ვინც პროფესიონალურ დაოსტატებას ეწევა წიგნის მეშვეობით, ვინც სისტემატურად მუშაობს წიგნზე, ვინც კითხვაც შემეცნებითი მიზნებით წარმოებს. იგი საშუალებას იძლევა მკითხველმა მრავალთა შორის მისთვის ყველაზე საჭირო წიგნი გამოარჩიოს.

ანოტაცია ამავე დროს ეხმარება ბიბლიოთეკარებსა და ბიბლიოგრაფებს. ის ხელს უწყობს მათ, იოლად, დროის მცირე დანახარჯით შეძლონ გაარკვიონ, თუ რა წიგნთან აქვთ საქმე, რომელ მკითხველს შეიძლება შესთავაზონ ის. ანოტაციის გაცნობა ეხმარება წიგნის გამაყრცელებელს, პოპულიზატორს, რეკლამაშიორს. მისი მეშვეობით ისინი ადვილად ერკვევიან წიგნის ღირსებებში, მის ავკარგში და ამით ითოლებენ თავიანთ პროფესიულ საქმიანობას.

ამგვარად, ანოტაცია გვევლინება როგორც მრავალმხრივ გამოსაყენებელი დეტალი, რომლითაც სარგებლობენ სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტები - ბიბლიოგრაფები, კატალოგიზატორები, ბიბლიოთეკარები, წიგნგამომცემელები, წიგნგამყრცელებლები, პედაგოგები და კითხვის ხელმძღვანელები. ცხადია, ანოტაცია სასარგებლოა, საერთოდ, ყველა მკითხველისათვის, ყველა ბიბლიოფილისათვის, რომელიც წიგნებს იძენს ან კოლექციონერობს.

ანოტაციას მრავალმხრივი გამოყენება აქვს. მისი სწორად შედგენა და გამოყენება სასარგებლოა მკითხველთა უფართოესი საზოგადოებისათვის, რითაც განპირობებულია აგრეთვე მისი მნიშვნელობა.

ანოტირების მეთოდის შესწავლა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის



სპეციალისტებისათვის. ამ კურსის მიზანია, თანმიმდევრულად მოთვლი ხიღრმიოთ გოცნოს მოძოკოლო სპეციალისტებს ანოტოციის შედგენისო დო გომოყენების ხელოვნებო, თეორიული ცოდნით აღჭურვოს იხინი, გომოუშუშოოს შოთ ანოტოციოზე შუშოობისოთვის სოჭირო ხევევბი, შეოშნოდოს თეორიული ბოზო პროქტიკული სოქშიონობისოთვის.

ფრიოდ მნიშვნელოვან ამოცონოხ სორომოადგენს, ნოთოდ დოვინოხოთ დო შევიცნოთ ანოტოციის დირსებები, შისი თოვისებურებები, გომოყვოთ შირიოთადი შეორეხონისხოვნისოგონ, შევილოთ გოგომდიდროთ ანოტირების თეორიო, გოგონოდოთ სოგონი ეუექტური, რომ დოინტირესებულ შირიო შიექცეს სოშუოლებო, პროქტიკულიოდ გომოიყენონ ის ცოდნო, რომელსოც დისციპლინის შესწოვლის შედგოდ შიილებენ. თეორიული ცოდნის პროქტიკულიოდ გომოყენებისოთვის აუცილებელიო სწოვლების პროცესში ლობოროტორიულ შირობებში შოხდეს ანოტოციების შედგენო დო დოშუშოვებო. თეორიული ცოდნის პროქტიკოხიოთ დოკოვშირებო აუცილებელი მოთხოვნოო კურსის სრულყოფილოდ შესწოვლისოთვის. ამოხ ხელს შეუწოობს გომოცემული პროდუქციის გოცნობო, შოთი დოშოუკიდებლოდ ანოტირებო, გომოქვეწყნებული ანოტოციების ანოლიში, ანოტოციების ერთშონეთოთონ შედარებო, შოთი სრულყოფილები გონსოზღვრო. სოკუოთორო გომოციდლებოზე დოკვირების გონდო, სოჭიროო მხედველობოში იქნეს შიილებული სხეო სპეციალისტოო გომოციდლებოც. ამ თეოლისონისოთ გონსოკუორობით სოინტირესოო უცხოეთში გომოცემული წიგნების ანოტოციების გოცნობო დო ანოლიში.

სოგონის შესწოვლისოხს გონსოკუორობული ყუროდლებო უნდო შიექციეს იშოხ, რომ სოფუძველიონოდ გოვერკვეთ ანოტოციის სხებებში, რო დონიშნულებო აქვს ამო თუ იშ სოხის ანოტოციოხს, როგოროო ის აგებული, რო სპეციფიკოთ გომოთონიეო დო ა.შ.

ანოტირების შეთოდიკის კურსში შროვოლი პრობლეშო იხენს თოვს. ერთ-ერთიო კვლევის სოგონის გონსოზღვრო დო პრინციპების ნომოკოლიბებო. ამ შეშთხვევოში არ არსებობს ერთიონი, სოყოველთოო მოსოზრებები, რაც ართულებს სოკითხის დრშოდ დოუფლებოხს, შოგრომ ამოვე დროს გზოხ უხსნის პოლემიკოხს, რაც დოროვის სიციოტხლისუნოროიონობოზე მეტყველებს.

ერთ-ერთ აქტუოლურ პრობლემოხს წორომოადგენს ანოტირების შეთოდიკის დოკოვშირებო ახოლ სობიბლიოგროფიო ტექნოლოგიებოთონ. როგოროც ცნობილიო, ანოტირებო ელექტრონული კოტოლოგების



შედგენის შემთხვევაში, სახსებით სპეციფიკურია. აქ მასხარა მოცემულია დიფერენცირებულად, მრავალი ცნობა შეიძლება მივიღოთ ცალკეულად, არა ერთობლიობაში და თანაც წაშინდ. ამ შემთხვევაში გაცილებით მეტია საშუალება შედარებით მრავალი ელემენტის გამოყენებისა, ვიდრე ჩვეულებრივი ტრადიციული კატალოგის ან წიგნზე დართული ანოტაციის შემთხვევაში.

ანოტირების მეთოდიკა მრავალ საყურადღებო საკითხს მოიცავს, როგორცაა მაგალითად: ანოტაციის გაგება, ანოტაციის განვითარების ისტორიული ასპექტები, ანოტაციის სახეები, სტრუქტურული თავისებურებანი, ანოტაციის კლასიფიკაცია, კლასიფიკაციის პრინციპები, ანოტაციის ზოგადი მეთოდიკა, ცალკეული დარგის ამსახველი წიგნების ანოტირების სპეციფიკა და სხვ.

ანოტირების მეთოდიკის საკითხებისა და პრობლემების დამუშავება თანამედროვე ეტაპზე სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დონეზეა. ხაერთოდ, ვეცნობით რა საერთაშორისო სიმპოზიუმების მასალებს, იქ დამუშავებულ საკითხებს, ახალ პროგრამებს, არ ჩანს, რომ სპეციალისტთა რაიმე განსაკუთრებულ ყურადღებას იმეორებდეს ეს საკითხები, თუმცა პრაქტიკულად ანოტაციების გამოყენება, განსაკუთრებით მნიშვნელოვან წიგნებსა და კომპიუტერულ სისტემაში, მეტად აქტიურად ხდება. თვალში საცქერია ანოტაციების მკვეთრი არაერთგვაროვნება, რაც მეტყველებს ნამოყალიბებულ პრინციპების არასაყოველთაობაზე. ხელს უშლის საქმეს საჭირო სტანდარტების გაუვრცელებლობა, თეორიის დაბალი დონე.

ჩვენში, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი კურსი მუდამ იკითხებოდა უმაღლეს სასწავლებელში სპეციალური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, რაიმე მნიშვნელოვანი საქმეცნიერთ თუ მეთოდიკური გამოცემა არ განხორციელებულა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ გამონათქვამებს საკატალოგო აღწერილობებთან დაკავშირებით, საქართველოში საბიბლიოთეკო სპეციალისტები ძირითადად რუსული გამოცემებით სარგებლობდნენ, რომლებიც საინტერესო მონოგრაფიების სახით არის გამოქვეყნებული.

ამჟამად საქართველოში ანოტირების თვალსაზრისით ძალიან მძიმე სურათია. გამოცემათა არასტანდარტულობა იწვევს ანოტაციების არასრულყოფილებასაც. ძალიან ბევრია არაპროფესიონალური ნამუშევარი, თვითმოქმედება, პრინციპებისა



და სტანდარტების დაუცველობა, საქმისადმი დაბრუნდნის შემოქმედებითი მიდგომა, მკითხველთა ინტერესების მოთხოვნილებების უგულვებელყოფა. ყოველივე ეს მით უფრო მნიშვნელოვანს ხდის მოცემული საგნის საფუძვლიანად შესწავლას.

ანოტირების მეთოდის კურსი სტრუქტურულად როული არ არის. იგი ორ ძირითად ნაწილად იყოფა. პირველში ძირითადად გათვალისწინებულია თეორიული პრობლემები და საკითხები, განვითარების ისტორიული ასპექტები; მეორე ნაწილი მოლიანად ეთმობა ანოტირების მეთოდების შესწავლას.

ანოტირება მჭიდრო კავშირშია საძიებო საშუალებებისა და ლიტერატურის საკატალოგო აღწერილობის პროცესებთან, აგრეთვე ბიბლიოგრაფირების მეთოდისასთან. ამიტომაც ამ საგნის შესწავლა ხდება აღნიშნული საგნების გავლის შემდეგ, რაც საყვებით ამართლებს პედაგოგიის მიერ შემუშავებულ სწავლების მეთოდის პრინციპებს.

თავი I ანოტაციის რაობა

ანოტაციის, როგორც ცნების გაგება. — ანოტირების მეთოდის არსი და შედეგის ხირთულეუბი. — ანოტაციის დანიშნულება და მნიშვნელობა. — ანოტაციის შედეგის პრინციპები. — ანოტაციის ინდივიდუალური თავისებურება და ასაკი. — ანოტაციის განვითარების ისტორიული ასპექტები. — ანოტაციის დაშვიდრება წიგნის საქმეში.

ანოტაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს შენიშვნას. როგორც ცნებათა ერთი ნაწილი დროთა განმავლობაში აზრობრივ ცვლილებებს განიცდის, ასევე სიტყვა „ანოტაცია“ ხაგრძნობლად იცვალა თავდაპირველი გაგება. არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ და მხოლოდ იმ გაგებით, რომ ანოტაცია იგივეა, რაც შენიშვნა. ამჟამად ის გაიგება როგორც წიგნის, სტატიის, ხელნაწერი თუ ბეჭდურად გამოცემული მასალის შინაარსის, დანიშნულებისა და იდეურ-პოლიტიკური მიმართულების მოკლე დახასიათება(ქსე).

ანოტაციის შედეგა საკმაოდ როული და ძნელი საქმეა,

რომელიც სპეციფიკურ პრინციპებსა და მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე
ეყრდნობა. ამიტომაც არსებობს ანოტირების მეთოდოლოგია, რაც
სრულყოფილი ანოტაციის შესადგენად საჭირო წესებისა და
შესუბრულებების თავმოყრას წარმოადგენს. მაგრამ ისე არ უნდა
გავივით, თითქოს რაღაც ურყევი წესები არსებობდეს, რომლის
მიხედვითაც დგება, საერთოდ, ანოტაცია. ეს საქმე არავითარ
ინსტრუქციას არ ექვემდებარება. სწორედ ამიტომაც წარმოადგენს
ის მეთოდოლოგიურ პროცესს, არის მოძრავი (დინამიკური, ცვალებადი)
და დიდადაა დამოკიდებული სხვადასხვა პირობებზე, ამოცანებსა
და საჭიროებაზე. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს თვით
წიგნის ხასიათსა და შინაარსს - რას წარმოადგენს წიგნი. ბევრი
რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ ვის რა მიაჩნია უმთავრეს მომენტად,
ვის როგორი გამოცდილება და ცოდნა აქვს. ეს საქმე ძალიან
პროფესიონალიზმს მოითხოვს.

ანოტაცია წიგნის უკეთ და სწრაფად შეცნობის ყველაზე
კარგი საშუალებაა. მისი მეშვეობით შესაძლებელია თვალის ერთი
გადავლებით გაირკვეს, რას წარმოადგენს წიგნი, რამდენად საჭიროა
იგი ამა თუ იმ მკითხველისათვის, როგორ გამოადგება მას, რა
ღირებულებისაა, რა ხასიათის გამოცემაა და ა.შ. ამიტომაც მას
ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება წიგნის შერჩევისა და
გაცნობისათვის.

შეუძლებელია სრული სიზუსტით განისაზღვროს, როგორ
უნდა აიგოს ანოტაცია, როგორი უნდა იყოს ის. აქ არ ზერხდება
მზამზარეული მითითებების გამოყენება, სტილის ჩამოყალიბება,
მოცულობის წინასწარ განსაზღვრა და ა.შ. ყველა წიგნი
ინდივიდუალური ბუნებისაა, სხვადასხვაა მათი მომხმარებლების
კატეგორიაც, დანიშნულებაც და, ამდენად, ყველა მათგანი
ინდივიდუალური ბუნებისაა, მაგრამ არსებობს საყოველთაო,
ზოგადი მოსაზრებები და პრინციპები, ზოგადი მითითებები, რაც
შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს ყოველი ანოტაციის
შედგენის დროს. ანოტაცია უნდა მიესადაგოს კონკრეტულ
ვითარებასა და პირობებს.

ანოტირების სპეციალისტისათვის (ანოტატორისათვის)
განსაკუთრებით საყურადღებოა იმ პრინციპების ჩამოყალიბება,
რასაც ის ანოტაციის შედგენის დროს ეფუძნება.

უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს მასალის ღრმად წვდომის
აუცილებლობა. ყოველად შეუძლებელია ანოტაციის შედგენა, თუ
სრულყოფილად არ არის გარკვეული წიგნის არხი, თუ შედგენელი



საფუძვლიანად არ იცნობს საგანს, რომელიც ასახულია წიგნში ჩვეულებრივ, ანოტაციას იმ დარგის სპეციალისტი წერს, რომელსაც მოცემული წიგნი განეკუთვნება, მაგრამ არის სიტუაციები, როდესაც ანოტაციის შედგენა საჭირო ხდება არა დარგის სპეციალისტის, არამედ ბიბლიოგრაფისაგან. ამ შემთხვევაში უმთავრესი მიზანი წიგნის შესახებ შედარებით ზედაპირული ცნობების მიცემაა და არა მისი სიღრმისეული არსის გარკვევა, როცა საკმარისია მიმართულების, დარგის, იდეურობისა თუ ზოგად დამახასიათებლების განსაზღვრა.

როგორადაც არ უნდა იყოს, მასალა სრულყოფილად უნდა იყოს გაგებული და გააზრებული.

აუცილებლად გასათვალისწინებელ პირობას წარმოადგენს მოცემული მასალის იდეური პოზიციის გამოხატვის აუცილებლობა. ეს უკავშირდება სპეციალისტებს შორის კარვად ცნობილ ე.წ. „შეფასების“ საკითხს – არის თუ არა საჭირო ყოველ ანოტაციაში მოცემული იყოს ნაწარმოების კრიტიკულ-ანალიტიკური და იდეურ-პოლიტიკური შეფასება. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი, საყოველთაო აზრი არ არსებობს. ჩვენი აზრით, ეს დამოკიდებულია ანოტაციის დანიშნულებაზე, ნაწარმოების ხასიათზე, მიზნებზე. შეიძლება მიეცეთ შეფასება, შეიძლება არა, მაგრამ ეს მომენტი სხვაზე არანაკლებ ძლიერმოქმედი პრინციპებით არის გაპირობებული. სპეციალისტთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ანოტაციის შედგენისას, იქნება ეს ბიბლიოგრაფიულ მანუქნებელში თუ საკატალოგო ბარათში (ელექტრონული კატალოგის ჩათვლით) შეფასება ყოველთვის თანმხლები მოვლენაა, რადგანაც ის გამოვლინდება, უბრალოდ, მასალის შერჩევის დროს (განსაკუთრებით სარეკომენდაციო საქმიანობის დროს), რაკილა მასალის შერჩევა თავისთავად გულისხმობს შეფასებას. ამდენად, შეფასება შეიძლება აშკარად არ იყოს გამოხატული, მაგრამ ფარულად ის ახლავს ანოტირების საქმეს, თუმცა ეს მომენტი დიდადაა დამოკიდებული არსებულ პირობებზე, სიტუაციასა და სუბიექტურ მოსაზრებებზე.

როდესაც ლაპარაკია ნაწარმოების იდეური პოზიციის გამოხატვის აუცილებლობაზე, აქ არ იგულისხმება ანოტატორის იდეური პოზიციის გამოხატულება, არამედ მხედველობაში ღებულობენ თვით საანოტაციო მასალის იდეურ პოზიციას. ჩვენი ღრმა რწმენით, თუ ნაწარმოები დაკავშირებულია იდეურ მომენტებთან, მართლაც აუცილებელია მკითხველისათვის საცნაური



გახდეს ეს, გარკვეულ იქნეს ავტორის იდეური პოზიციები, კრედო, შეხედულებები, მრწამსი. ეს აუცილებელია მკითხველის სრულყოფილი ორიენტაციისათვის. მკითხველისათვის ის კი არ არის საინტერესო, რა იდეური დამოკიდებულება აქვს ანოტატორ-ბიბლიოგრაფს ამა თუ იმ წიგნისადმი, არამედ თვით წიგნი რა იდეურ საფუძვლებზეა აგებული.

ყოველივე ამის შესრულება რთული პროცესია. როგორც ცნობილია, ყველა ადამიანს თავისი იდეური დამოკიდებულება აქვს წაკითხულისადმი. შეიძლება ეს იყოს სავსებით გააზრებული, შეიძლება-გაუცნობიერებელი. როგორადაც არ უნდა იყოს, წაკითხულისადმი სპეციალისტსაც უჩნდება რაღაცეგვარი დამოკიდებულება თავისი პოზიციებიდან გამომდინარე. ანოტატორ-ბიბლიოგრაფი თუ ბიბლიოთეკარი ვალდებულია არ მოქცეს თავისი იდეური კონცეფციების გავლენაში და ამ პოზიციებიდან არ დაიწყოს წიგნის შეფასება, არამედ განსაზღვროს წიგნის იდეური მიმართულება ობიექტურად, ხოლო მასალისადმი დამოკიდებულების გამოვლენა თვით მკითხველს მიანდოს.

დღეს ამას მოითხოვს პლურალიზმის კონცეფცია, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ დიდი ხანი არაა, რაც მიიღო.

სულ სხვაა, თუ როგორ ვაჩვენებთ ანოტაციაში მასალის იდეურ მხარეს, რა მეთოდით გამოვხატავთ მას. ეს უკვე ანოტაციის შემდგენელის ხელოვნებაზეა დამოკიდებული, აგრეთვე წიგნის ხასიათზე, მის თანრზე, კვლევის საგანზე, დარგზე, თემაზე და ა.შ. შეიძლება ანოტატორმა პირდაპირ აღნიშნოს, თუ ავტორი რომელ იდეურ კონცეფციებს იზიარებს, რომელ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს ეყრდნობა, ეთანხმება თუ არა ამა თუ იმ იდეურ მოსაზრებებს, და ა.შ. მაგრამ ანოტაცია შეიძლება ისე აიგოს, მკითხველი პირდაპირი თქმის გარეშე მიხვდეს ავტორის იდეურ პოზიციებს, მისთვის სავსებით ნათელი გახდეს, რა იდეური მუხტის მატარებელია ავტორი. ეს შეიძლება ანოტაციაში თვით მოკლე ანალიზშაც ცხადყოს.

როგორადაც არ უნდა გამოვხატოთ ეს, რა მეთოდსაც არ უნდა მივმართოთ, თუკი მასალა ამას მოითხოვს და გვაძლევს ამის საშუალებას, ანოტაციაში ავტორის იდეურობა მკვეთრად და ნათლად უნდა გამოჩნდეს. წიგნის იდეური კონცეფციის გამჭვირვალედ წარმოჩენა პრინციპულად აუცილებელი პირობაა ანოტაციის შედგენის დროს.

როგორც მსჯელობიდან ჩანს, იდეურობის გამოსატვის საკითხი



მჭიდროდაა დაკავშირებული საანოტაციო მასალის
 ობიექტურობასთან. ობიექტურობა ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს
 ანოტაციის შედგენისათვის. განსაკუთრებით, როდესაც საქმე
 ნაწარმოების შეფასებას ეხება.

ობიექტურობა გულისხმობს მასალის ღირსება-
 ნაკლოვანებათა ასახვის დროს არა სუბიექტური მოსაზრებებიდან
 გამოსვლას, არამედ ობიექტური კანონზომიერების დანახვას. ის,
 რაც სინამდვილეში არ არის, არ შეიძლება ჭეშმარიტებად იქნეს
 აღიარებული. არაფერი არ უნდა ითქვას ის, რაც ავტორის მიერ არ
 არის მოცემული. არ შეიძლება ის მოვახვიოთ თავს მკითხველს,
 რასაც ანოტატორი მიიჩნევს ჭეშმარიტებად. სინამდვილე სწორად
 და დაუმიჯნებლად უნდა იქნეს გადმოცემული. ანოტატორს უნდა
 შეეძლოს არ აყვეს თავის ინდივიდუალურ გემოვნებას, არ მოიხაროს
 ქედი თავისი სიმპატიების წინაშე. შეუახება, რომელსაც ის აძლევს
 ნაწარმოებს, უნდა ემყარებოდეს ნამდვილად მეცნიერულ ანალიზს
 ფაქტებისა და მოვლენების გათვალისწინებით.

მაგრამ აქ იგულისხმება არა მარტო იდეურობა, არამედ
 ნაწარმოების ღირსებები, მისი ფასეულობანი, რომლებიც ობიექტურ
 მიდგომას საჭიროებს. არ უნდა დაფაკნით ან გადაფაფასოთ ისინი.

შეფასების საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შეუვსოთ
 შეფასების მოტივაციას, რაც ერთ-ერთ პრინციპად უნდა ვაღიაროთ
 ანოტირების მეთოდოლოგიაში. მკითხველისათვის ნათელი უნდა იყოს
 ის მოტივები, რომლებიც იწვევენ მოცემულ შეფასებას - დადებითა
 თუ უარყოფითს, რომელთა საფუძველზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ
 ნაწარმოების ხარისხზე, მის მნიშვნელობაზე, საყურადღებო
 მომენტებზე, იმაზე, თუ რა განაპირობებს ამ ნაწარმოების
 შეთავაზებას ამა თუ იმ კატეგორიის მკითხველისათვის და სხვ.
 განსაკუთრებით ნათელი უნდა იყოს დასკვნების მოტივაცია,
 როდესაც მოკლედ აღნიშნავენ, რომ ეს წიგნი „საინტერესოა
 მოზარდი თაობისათვის“, „გატაცებით იკითხება“, „მშვენივრად
 ასახავს ჩვენს სინამდვილეს“, „ღირსშესანიშნავი წიგნია“, ან კიდევ
 - „ვერ პასუხობს თანამედროვე აღზრდის საკითხებს“,
 „მომკვლევებელი იდეები გვზღვება“ და სხვ. ასეთი დასკვნები, თუკი
 ისინი არ არის მოტივირებული, არ შეიძლება ითქვას. ისინი
 ნაკლებღირებული ან არაფრის მომცემია. ცხადია, ეს განსაკუთრებით
 არაა სასურველი სარეკომენდაციო ხასიათის ანოტაციისათვის.

ანოტაციას მოეთხოვება მკვეთრად განსაზღვრული
 მიზანდასახულობა. მართალია, მკითხველისათვის ეს მომენტი



სრულებითაც არ არის შესაცნობი, მაგრამ თვით ანოტაციის შემდგენლისათვის მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. პროფესიონალმა ანოტატორმა კარგად იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტორს - მას კარგად აქვს გააზრებული, რა მიზნით ახდენს ამა თუ იმ წიგნის ანოტირებას, რა უნდა იქნეს მიღწეული, რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება, რომელი კატეგორიის მკითხველისათვის არის ნაწარმოები განკუთვნილი, როგორია მისი კონკრეტული დანიშნულება და ა.შ.

ანოტირების პრინციპულ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე შეფასების კომპეტენტურობა (ავტორიტეტულობა). კომპეტენტურობის ხარისხს ძირითადად განსაზღვრას ის, თუ რამდენად მაღალპროფესიონალურად არის შედგენილი ანოტაცია. ეს კიდევ დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კომპეტენტური პიროვნება ქმნის მას. ანოტაციის ავტორიტეტს, მის კომპეტენტურობას ქმნის როგორც გარეგნული (ფორმალური), ისე შინაარსობრივი (არსებითი) ნიშანი. მაგალითად, ის, თუ სად არის მოცემული ანოტაცია, რამდენად ავტორიტეტულ გამოცემაში და ვის მიერაა შედგენილი (რომელი ორგანიზაციის), რამდენად პრესტიჟულია შემდგენელ-გამომცემელთა ორგანიზაცია-დაწესებულება, რამდენად მაღალხარისხოვანია გამოცემული ბიბლიოგრაფიული მანუალები, რომელშიც მოცემულია ანოტაციები, როგორი ავტორიტეტი აქვს ბიბლიოთეკას, რომლის კატალოგებსა და კარტოთეკებში ვხვდებით ანოტაციებს და სხვა, გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს მომხმარებელზე. მაგრამ ამგვარ გარეგნულ ფორმებზე შეტად ავტორიტეტს ქმნის: თვით ანოტაციის შინაგანი (არსობრივი) მომენტები. რამდენად ობიექტურად ხდება წიგნის შეფასება, რამდენად სრულყოფილად იძლევა ანოტაცია წარმოდგენას წიგნზე, რამდენად გასაგებად, კომპაქტურადაა მოცემული მასალა, რამდენად სწორადაა განსაზღვრული მისი დანიშნულება, რამდენად ამომწურავადაა მოცემული ძირითადი მახასიათებლები და სხვ.

ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს აგრეთვე ანოტაციის თანადროულობის მოთხოვნა. ცხადია, ყოველი ახლადშედგენილი ანოტაცია უნდა ითვალისწინებდეს თანადროულ მოთხოვნებს, ანგარიშს უწევდეს სიახლეებს როგორც თემატიკისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ისე ტერმინოლოგიასა, მოცულობასა თუ ოდენობასთან დაკავშირებით. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ დროთა განმავლობაში



ადრეული ანოტაციები კარგავენ აქტივობას, არ შეესაბამება სიახლეებს და საჭირო ხდება მათი კორექტირება ან სრული განახლება, მით უმეტეს, თუკი ნაწარმოებმა არ დაკარგა თავისი ღირსებები.

უადრესად მნიშვნელოვან პრინციპულ თავისებურებას წარმოადგენს აზრის ცხადად გამოხატვის მოთხოვნილება. ნათქვამი უნდა იყოს ნათელი, გამჭვირვალე, ყველასათვის გასაგები, ამავე დროს ლაკონური, მოკლე, მაგრამ ტყვადი; ნათქვამი არ უნდა საჭიროებდეს დამატებით განმარტებებს, არაა საჭირო ითქვას ის, რაც ისედაც გასაგები და ცნობილია, ამ შემთხვევაში დიდ როლს ასრულებს აზრის გადმოცემის კულტურა, ნაზრევის ადექვატურად გამოხატვის უნარი.

ანოტაციისათვის დამახასიათებელია კონკრეტულობა. ლაპარაკი უნდა იყოს უშუალოდ წიგნში ასახულ მოვლენებზე და დაუსუვებელია ამ მოვლენების განზოგადება, ამ საგანთან დაკავშირებული ზოგადი მოვლენების გაშუქება, ზოგადი დებულებების მოტანა, ანალოგების ძიება და ა.შ.

ანოტაციისათვის არაა დამახასიათებელი დავა-კამათისა და პოლემიკის ტონი. იგი გამორიცხავს დასაბუთებებს, მტკიცებებს, შეხედულებათა შეჯერებათა თუ დაპირისპირებას, რაიმეს აღიარებასა თუ არაღიარებას, სხვა მასალებისაგან ფაქტების მოყვანასა და მტკიცებულებებს.

პრინციპების განხილვის დროს გვერდს ვერ აგუვლით ანოტაციის მოცულობის საკითხს. ცხადია, უმჯობესია, ანოტაცია, რამდენადაც კი შეიძლება, მოკლე იყოს, ლაკონური, მაგრამ ტყვადი, აზრის სრულყოფილად და ზუსტად გამომხატველი, შემოკლებები არ უნდა ხდებოდეს აზრის საზიანოდ. ზოგ შემთხვევაში, წიგნის მოკლედ დახასიათება რაკი არ ხერხდება, შეიძლება ანოტაცია შედარებით ვრცელი გამოვიდეს, მაგრამ აქაც, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა გავითვალისწინოთ გადმოცემის ლაკონურობა. მოცემული უნდა იყოს მხოლოდ აუცილებელი, რაც უზრუნველყოფს ნაწარმოებზე სრულყოფილი წარმოდგენის შექმნას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს ე.წ. გეშტალდობის პრინციპი (მასალის მთლიანობაში აღქმის მოთხოვნილება.) რა მოცულობისაც არ უნდა იყოს ანოტაცია, მცირე თუ მოზრდილი, ის უნდა ტოვებდეს ერთიან, მთლიან შთაბეჭდილებას, არ უნდა წარმოადგენდეს რაღაც გაფანტულს, ერთმანეთთან გადაუბმელს, განცალკევებული ტიქსტის



შთაბეჭდილებას; იყოს ერთიანი, შეკრული, მთლიანი, მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურულად ის ცალკეული ნაწილებისგან შედგება. ეს ნაწილები ორგანულად უნდა ერწყმოდნენ ერთმანეთს და ერთიან მთელს უნდა წარმოადგენდნენ.

მხედველობაშია მისაღები ანოტაციის ერთიანობის პრინციპიც, როგორც ცნობილია, ერთ და იმავე წყაროში - იქნება ეს ბიბლიოგრაფიული მანკვენებელი, საგამომცემლო გეგმა, კატალოგი თუ კარტოთეკა (როგორც ტრადიციული, ისე ელექტრონული), ანოტაცია სხვადასხვა სპეციალისტების მიერ იქმნება. ამდენად, ძალიან ძნელია ყველა ანოტაცია ერთიანად სრულყოფილი და მაღალხარისხოვანი იყოს, მაგრამ როგორადაც არ უნდა გაჭირდეს, ერთ და იმავე წყაროში ანოტაციები ერთიანი უნდა იყოს პრინციპების, მიდგომის, შეფასების კრიტერიუმების, სტრუქტურის, ანოტირების ტექნოლოგიის თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში მომხმარებელი ვერ შეძლებს სრულყოფილად მოახდინოს ორიენტაცია, ამან შეიძლება გამოიწვიოს ზოგი ხასიათის გაუგებრობა. მაგალითად, ერთ და იმავე ავტორზე სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარი შეხედულებები იქმნეს ფიქსირებული და ა.შ. ეს სირთულე აუცილებლად გასათვალისწინებელია საანოტაციო საქმეში.

ანოტაციის პრინციპულად მოეთხოვება დახვეწილი სტილი და გრაშატიკული ნორმების ზუსტად დაცვა; აქ იგულისხმება ტერმინების სწორად გამოყენებაც, პუნქტუაციის წესების შესაბამისად დაცვა და სხვ. ანოტაცია არ მოითხოვს კაზმულ სიტყვაობას, მეტაფორულ გამოთქმებს, მაგრამ ლიტერატურის ნორმებისა და მართლწერის წესების დაცვა აუცილებელია. არაა გამორიცხული ხატოვანი მეტყველებებისათვის დამახასიათებელი ფორმების გამოყენება, მაგრამ ეს მეტად ზომიერად უნდა ხდებოდეს, და ამავე დროს ითვალისწინებდეს წიგნის ხასიათსა და შკითხველს, ვისთვისაც არის ის გათვალისწინებული.

შკითხველთა კატეგორიის გათვალისწინება ანოტაციის შედგენის დროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპთაგანია, რომელიც ერთგვარ კატეგორიასაც კი წარმოადგენს ანოტაციის კლასიფიკაციის სფეროში. იმის განსაზღვრას, თუ ვისთვისაა განკუთვნილი მოცემული დოკუმენტი, არსებითი მნიშვნელობა აქვს ანოტაციის შექმნის საქმეში. თუ მოცემული წყაროს აღწერილობით ელემენტებში ეს გამორჩეულად არ არის მითითებული, მაშინ ამ საქმეს ანოტაცია უნდა ასრულებდეს. არაა სავალდებულო



უქველად განსაკუთრებით გამორჩეულად, პირდაპირ იყობის
 მითითებული ანოტაციაში, თუკი ანოტაციის ტექსტი თავისთავად
 გულისხმობს ამას ან თავისთავად გასაგებია ყოველივე ნაწარმოების
 შინაარსიდან გამომდინარე. მაგალითად, როდესაც ქვესათაურულ
 ცნობებში მითითებულია, რომ წიგნი სახელმძღვანელო ან დაძმარე
 სახელმძღვანელოა ამა თუ იმ კლასის ან ამა თუ იმ სპეციალობის
 სტუდენტებისათვის, ანოტაციაში ამის აღნიშვნა კატეგორიულად
 გამოირიცხება. ასევე, თუ სათაური ან წიგნის შინაარსის გახსნა
 თავისთავად იძლევა იმის საშუალებას, გაირკვეს, რა კატეგორიის
 მკითხველისათვის არის ის განკუთვნილი, ანოტაციაში ამის თქმა
 საჭირო აღარ არის. მაგალითად, „სახალისო ფიზიკა“, „მოსწავლეთა
 დასახმარებლად“, „ვეცნობით ჩვენს მხარეს“ და სხვ. ასევე
 საყოველთაოდ ცნობილ წიგნებზე, როგორცაა ბიბლია, სახარება,
 ყურანი, ლოცვანი, დავითნი, კალენდრები, კარტოგრაფიული
 გამოცემები, გრაფიკული გამოცემები და სხვა. საერთოდ, ამ წიგნების
 უმეტესობაზე ანოტაცია, საერთოდ, სრულებითაც არაა საჭირო.

ანოტაციას განვითარების საკმაოდ დიდი ისტორიული გზა
 აქვს განვლილი. შედარებით ახალია ანოტაციის თეორია და არაა
 გამოირიცხული მასზე ახალ-ახალი შეხედულებების გამოთქმა,
 სხვადასხვა დებულებების ჩამოყალიბება და კანონზომიერებათა
 გამოვლენა.

მართალია, ანოტაციას, როგორც წიგნზე ინფორმაციის მიღების
 საშუალებას ადრევე აქონდა ადგილი წიგნწარმოებასა და
 ბიბლიოგრაფიულ საქმიანობაში, მაგრამ იგი, როგორც
 აღწერილობის ოფიციალური და დამოუკიდებელი ელემენტი,
 როგორც სისტემა, შედარებით გვიან ჩამოყალიბდა. ფაქტობრივად,
 ის მე-20 საუკუნეში მოგვევლინა როგორც საყოველთაოდ მიღებული
 და ფრიად საჭირო ელემენტი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აგი
 უძველეს დროში არ გამოიყენებოდა, განსაკუთრებით
 ბიბლიოგრაფიულ საქმიანობაში. უძველესი კატალოგები და
 ბიბლიოგრაფიული ნუსხები საკმაოდ შეიცავენ ანოტაციის
 ელემენტებს. ცნობილია, რომ კალიმაქმა ჯერ კიდევ ჩვ.
 წელთაღრიცხვამდე მე-3 საუკუნეში შეადგინა ბიბლიოგრაფიული
 მანუშკები, რომელმაც უბრალო ნუსხას კი არ წარმოადგენდა,
 არამედ აქ მითითებული იყო ცნობები წიგნების ავტორებზე, მათ
 მოღვაწეობაზე, რა დაწერეს მათ და სხვ. ფაქტობრივად, მისი
 ბიბლიოგრაფიული მანუშკები ერთგვარად ანოტირებული იყო.

ასევე საყურადღებოა რომელიც გრამატიკოსის ტელეფოს



პერგამონელის ბიბლიოგრაფიული ნაშრომი, რომელიც
 წელთაღრიცხვის დასაწყისში შეიქმნა. მას ეწოდება: „სამი წიგნი
 იმ წიგნების შესახებ, რომლებშიც მითითებულია, თუ რომელი
 წიგნებია შექმნის ღირსი“, როგორც ირკვევა, ტელეფოსის
 ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი ანოტაციებსაც შეიცავდა.

არაბმა ბიბლიოფილმა და წიგნმოვაჭრემ ან-ნედიმ მე-10 საუკ.
 ბოლოს შეადგინა რეესტრი, რომელიც განკუთვნილი იყო
 მკითხველთა დასახმარებლად და რომელშიც წიგნების
 ჩამოთვლასთან ერთად, მოცემულია ცნობები ავტორთა შესახებ და
 სხვადასხვა დარგების მეცნიერული დახასიათება.

ამგვარი მაგალითები საკმაოდ ბევრია წიგნისა და
 ბიბლიოგრაფიის ისტორიაში.

წიგნის შესახებ ცნობების დამატებით ჩვენება თანდათან
 სისტემად შემოდიოდა ძველ და შუასაუკუნეების ბიბლიოთეკებში.
 ეს საქმიანობა მით უფრო საჭირო ხდება, როდესაც ახალი ისტორიის
 პერიოდში ფეხს იკიდებს სათაურის მოკლედ და ლაკონურად
 ვაფორმების ტრადიცია. ჩვეულებრივ, ძველი პერიოდისა და შუა
 საუკუნეების წიგნების დასათაურება თავისთავად ერთგვარ
 ანოტაციას წარმოადგენს, რომლებშიც უშეტეხად ახსნა-
 განმარტებებია მოცემული, თუ რას ეხება წიგნი ან ვისზეა იგი
 დაწერილი, ვის მიერაა შექმნილი, რა ღირსებისაა და ა.შ. ასეთ
 ვითარებაში, ცხადია, ისეთი მოთხოვნილება ანოტაციაზე არ
 იქნებოდა, როგორც შემდეგ საუკუნეებში, როცა სათაურები ისე
 ნათლად აღარ გამოხატავდნენ ნაწარმოების არსსა თუ საგანს,
 როგორც ადრე.

მაგალითად მოვიყვანოთ აქ უკვე დასახელებული ტელეფოს
 პერგამონელის ნაშრომს - „სამი წიგნი იმ წიგნების შესახებ,
 რომლებშიც მითითებულია, თუ რომელი წიგნებია შექმნის ღირსი.“
 ვფიქრობთ, აქ თითქმის ყველაფერია ნათქვამი - წიგნის შინაარსი,
 მოცულობა, დაწინაურება, ხასიათი, ცხადია, ამგვარ სათაურს
 აღარავითარი ანოტაცია აღარ დასჭირდებოდა.

მაგალითად, სავსებით ნათელია, რა წიგნთან გვაქვს საქმე,
 როცა ვკითხულობთ სათაურს: „სწავლა თუ ვითარ მართებს
 მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“ (1711წ.) ან „ხელშეკრულება
 დადებული ეკატერინე შოროესა და ირაკლი შოროეს შორის“ (1783);
 „კიტაის სიბრძნე, ანუ სწავლა ქვეყანასა ზედა ბედნიერად
 ცხოვრებისა“ (1784); „ფორმა, ესე იგი სახე თუ ვითარ ჯერ არს
 მოხსენება ხელმწიფეთა“ (1799) და სხვ.

K 258-291
3

საქართველოს
 პარლამენტის
 ბიბლიოთეკა



მით უფრო სრულ წარმოდგენას წიგნზე იძლევა თავფურცლები, რომლებზედაც ბევრი საყურადღებო ცნობა მოცემული. მაგალითად, 1741 წ. გამოქვეყნებული „საქრისტიანო მოძღვრებას“ თავფურცელზე აწერია: „საქრისტიანო მოძღვრება, ვინა წურთნა შვიდთა საიდუმლოთა ზედა, გადმოთარგმანებული იტალიანის ენისაგან ქართველს მხედრულს ენასა ზედა, საქართველოს გორელი ტლუკიანთ დავითისაგან, მთავრობასა კლემენტოზ მეთორმეტე პრომის პაპისა, სასწავლოსა შინა - უცნობასა, რომელსა ეწოდების ფროფაგანდა უიდე, სადიდებლად დედა ღვთისა მარიამ ქალწულის უმანკო ჩასახვისათუის და ხასარგებლოდ ძმათა, და დათა სულიერთა ხელთათუის. ქრონიკონი ქრისტესი ჩლღ, ესე იგი არს, ათას შვიდას ოცდაცამეტი: ბრძანებითა უფლისათა“. როგორც ვხედავთ, ეს ფაქტიურად ანოტაციაა, თუქცა ავტორთა მიერ ასე არაა გააზრებული და იგი შუა საუკუნეებისათვის ხავსებით დამახასიათებელ ქვესათურს წარმოადგენს.

ანოტაციას, როგორც წიგნის შინაარსის გარკვევის საშუალებას, როგორც დავინახეთ, ისტორიულად საკმაოდ ადრე ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ მას სულ სხვა ფორმა და დანიშნულება ექონდა.

როგორც ცნობილია, წერილობითი საშუალებები უძველეს დროიდან იყო დაპირისპირებულთა იდეური ბრძოლის იარაღი. ამიტომ გაბატონებული ფენები მკაცრად ადევნებდნენ თვალყურს საწინააღმდეგო ლიტერატურას. თავდაპირველად, როდესაც წიგნების მასა დიდი არ იყო, საკმარისი იყო ინდივიდუალურად, ყოველი წიგნის გადაკითხვით გაგერკვია, რა ლიტერატურულ ნაღვაწთან ვქონდა საქმე. მაგრამ შემდეგ, როდესაც კაცობრიობამ სტამბა მიიღო და წიგნები ერთიორად გავრცელდა, მმართველებს აღარ შესწევდათ უნარი, თანმიმდევრულად გასცნობდნენ ყველაფერს და ამგვარად შეექმნათ აზრი ამა თუ იმ წიგნის შესახებ. გაჩნდა წიგნების დიდი მასის სწრაფად გაცნობისა და ორიენტაციის მოთხოვნილება. ჩვენი აზრით, ანოტაციის წარმოშობის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, სოციალური ბუნების იყო, ვიდრე მეცნიერული მოთხოვნილებების შედეგი. ეს უკანასკნელი მან შედარებით გვიან შეიძინა.

წიგნის ისტორია ნათლად გვიჩვენებს, რა გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობდა „არასასურველი“ წიგნების წინააღმდეგ. ეს თუ უძველეს დროში სტიქიურად და ქაოტურად ხდებოდა, შემდეგ





ის სავსებით ორგანიზებულ ხასიათს იქნეს ცენზურის სისტემის
რომელსაც სხვადასხვა ქვეყანასა და სხვადასხვა დროს
სხვადასხვაგვარი სახე ჰქონდა. 1513 წელს პირველი დიდი
ინკვიზიტორის, პაპის კარდინალ კარაფის ბრძანება, რომლითაც
ის კრძალავდა წიგნების გამოცემას ინკვიზიციის ნებართვის გარეშე,
სხვა არაფერია, თუ არა წიგნის დევნა სოციალური და
იდეოლოგიური მოსაზრებების ნიადაგზე. 1559 წელს პაპმა პავლე
მეოთხემ სწორედ ამავე მიზეზებით გამოაქვეყნა „აკრძალულ წიგნთა
ინდექსი“ და საფუძველი დაუდო სასულიწერო და საერო
ხელისუფალთა მიერ წიგნზე ზედამხედველობას. ეს პროცესი წიგნის
ბეჭდვის შემოღების შემდეგ უფრო ფართო ასპარეზს იქნეს. XV
საუკუნის დასაწყისისათვის საცენზურო აპარატი იქმნება. ეს
ინსტიტუტი არც ერთი ქვეყნისათვის არ იყო უცხო და ყველგან
დიდი სიმკაცრით გამოირჩეოდა. მაგალითად, ინგლისში
ხელისუფლებამ ყველა მესტამბეს დაავალა, წინასწარ წარედგინათ
ცენზორისათვის დასასტამბი წიგნი. ამის გარეშე გამოცემული
სახელმწიფო დამნაშავედ ცხადდებოდა. აკრძალულ წიგნთა
რაოდენობა უზარმაზარ მასშტაბებს აღწევდა. ასე მაგალითად,
1715-1716 წლებში საფრანგეთში აკრძალული წიგნების სია
„პეტიტი“ ორ სვეტად დაბეჭდილ 46 გვერდს აღწევდა. ასეთი
მასშტაბები ყველა ქვეყანაში აღინიშნებოდა. ეს იწვევდა
გადაუდებელ საჭიროებას, შემოდებულიყო რაღაც ისეთი, რაც
გააიოლებდა, ერთი მხრივ, ცენზორთა შრომას, მეორე მხრივ,
მკითხველთა ორიენტაციას, მათი დამოკიდებულების გამოხატვას
ამა თუ იმ წიგნზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, ასახვას პოუბდა
წინასიტყვაობებსა და ქვესათაურულ ცნობებში, შემდეგ და შემდეგ.
ეს ფორმა დაიხვეწა და წიგნის შესახებ შენიშვნების გამოხატვა
სპეციალური წარწერების სახით ხდებოდა, რაც, ბოლოს და ბოლოს,
ანოტაციად ჩამოყალიბდა.

ბიბლიოგრაფიული სიები, რომლებიც საკმაოდ რაოდენობით
გამოიცემოდა, ამგვარ დახასიათების დართვას მოითხოვდა.

დაკვირვებით ჩანს, რომ ანოტაციის დამკვიდრება, როგორც
დამოუკიდებელი დეტალისა, ხდება უმთავრესად ბიბლიოგრაფიული
ნუსხების მეშვეობით. სწორედ ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებში
ხდება წიგნების დახასიათება - აღწერილ წიგნებზე შენიშვნების
მიწერა. თავდაპირველი ასეთი შენიშვნები თანამედროვე
ანოტაციისაგან საკმაოდ შორსაა, იგი უფრო ნაშრომის მოკლე
რეცენზირებას ან შეფასებას ჰგავს, მაგრამ თანდათან ანოტაცია



თავის დამოუკიდებელ ხახეს იღებს და ვითარდება, როგორც **წიგნის** აღწერილობის ერთ-ერთი ელემენტი. შემდეგში ის კატალოგებში პპოვეებს ადგილს, უფრო გვიან კი წიგნებში.

წიგნებში ანოტაციის დართვას შედარებით გვიან იწყებენ. მას თავისებური ისტორია აქვს. თავდაპირველად ანოტაციის ელემენტები, როგორც დავინახეთ, წინასიტყვაობებში აისახებოდა. ჩვეულებრივ, წიგნს დაურთავდნენ წინასიტყვაობას - ცნობებს ავტორზე, ნაშრომის შექმნაზე, მის შინაარსზე, გადაწერისა თუ გამოცემის ხირთულებებზე, გამოქვეყნების დროზე, მიძღვანზე და ა.შ. თანდათანობით ხაჭირო გახდა შკითხველისათვის არა ვრცელი წინასიტყვაობების მიწოდება, არამედ მოკლე შენიშვნების გაკეთება, რომ შკითხველს ადვილად, დროის მოკლე მონაკვეთში შეძლებოდა წარმოდგენა შექმნოდა წიგნზე. ამ მიზნით დაიწყო მოკლე-მოკლე შინაწერების გაკეთება წიგნებზეც, რასაც შანამდე მხოლოდ კატალოგებში აკეთებდნენ. ამგვარად, წიგნის წინა ნაწილზე გაჩნდა ანოტაციები, რომლებიც აქ იშკვიდრებდნენ ადგილს და თანდათან იხვეწებოდნენ. ნელ-ნელა წიგნებზე ანოტაციების დართვა კანონიზირებულ ხახიათს იღებს. აღწერილობებისა და გამოცემლობათა სტანდარტებში იგი სავალდებულო ელემენტადაც კი იქცა. იხვეწება მისი გამოყენების წესები და, რაც შთავარია, ანოტირების შესახებ იქმნება თეორიული ნაშრომები, ყალიბდება ანოტირების მეთოდიკა. ამჟამად ვხვდებით მონოგრაფიებს, სტატიებს, მეთოდურ წერილებს, შენიშვნებს, მსოფლიოს თითქმის ყველა მოწინავე ქვეყანაში.

ანოტაცია არ უნდა იქნეს გაგებული როგორც მხოლოდ და მხოლოდ წიგნის ან კატალოგის აღწერილობაზე დართული ელემენტი, ის აღწერილობის შემადგენელ ნაწილად იქცა. ანოტაცია შეიძლება ახლდეს როგორც გამოქვეყნებელ, ისე გამოსაქვეყნებელ ნაშრომს, ხელნაწერს, ხურათს, მუსიკალურ, ვიზუალურ, კარტოგრაფიულ გამოცემებს. იგი შეიძლება ზეპირი ფორმითაც იქნეს წარმოდგენილი, განსაკუთრებით ბიბლიოგრაფიული მიმოხილვების დროს, რომლებიც ბიბლიოთეკებში მასობრივი ღონისიების ხახით ტარდება.

როგორც არ უნდა იყოს ანოტაცია, იგი ექვემდებარება ერთიან მეთოდიკურ თავისებურებებს, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მისი შედგენის დროს.

თავი II ანოტაციის კლასიფიკაცია

ანოტირების მეთოდების საკითხების კვლევა. - ანოტაციის კლასიფიკაციის თეორიის საწყისები. - რუს მეცნიერთა პირველი საკლასიფიკაციო საქმეები. - ერნსტ ხევიჯის სქემის ძირითადი თავისებურებანი. - ი.პ. ყუკისა და მ.ე. მინჩინას კლასიფიკაცია. - ა.გ. ფოშინის საკლასიფიკაციო სქემა - ვ.ი. დენისკევის საკლასიფიკაციო სქემის ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებანი. - ე.ი. შამურინის კლასიფიკაციის ძირითადი თავისებურებანი. - შამურინის მიერ ანოტაციის კლასიფიკაციის პრინციპების ჩაოყალიბების ცდა. - ანოტაციის კლასიფიკაციის პრინციპები. - შამურინის საკლასიფიკაციო სქემა. - მოთხოვნილებები ანოტაციის კლასიფიკაციისადმი.

ანოტაციის კლასიფიკაცია ანუ ანოტაციათა სახეების მიხედვით დაჯგუფება მნიშვნელოვანი საქმეა ანოტირების სრულყოფილად წარმოებისათვის. იგი დიდად უწყობს ხელს ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებელთა შექმნის პრაქტიკულ მოღვაწეობას, აგრეთვე საკატალოგო ბარათებში აღწერილობათა ანოტირებას და კომპიუტერული ინფორმაციისათვის ზუსტ მონაცემთა ბაზის შექმნას.

ანოტაციის თეორიული კვლევა დიდი ხანია არსებობს. დიდი ხანია ხდება ანოტირების მეთოდების დამუშავება, მაგრამ დღემდე ბევრი რამ ბოლომდე შესწავლილი და დადგენილი არ არის. ამჟამადაც მიმდინარეობს მასზე მუშაობა და, ამდენად, სავსებით კანონზომიერია, რომ ვხვდებით სხვადასხვა მოსაზრებებსა და კონცეფციებს, სხვადასხვა რეკომენდაციებსა და ხშირად ურთიერთგამომრიცხავ შეხედულებებს.

ბიბლიოთეკათმცოდნეთა და ბიბლიოგრაფთა შორის ანოტირების საკითხი საკმაოდ პოპულარულია. ბევრი რამ იწერებოდა და იწერება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული რეკომენდაციების სახით, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანოტირების რუსული თეორია და პრაქტიკა, რომელიც შესისხლხორცებული კქონდა ქართულ საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიულ საქმეს და დღესაც ამ ტრადიციებზე დგას, რაზედაც რუსული სპეციალური კვლევა იდგა და, ამდენად, სწორედ



რუსული მიმართულების შესწავლა ჩვენთვის როგორც ისტორიულად, ისე პრაქტიკულადაც გაცილებით ხელსაყრელია, ვიდრე სხვა უცხო ქვეყნების გამოცდილება.

ჩვენი სპეციალისტები ანოტირების მეთოდის საკითხებს მეცნიერული თვალსაზრისით მე-20 საუკუნის დასაწყისში გაეცნენ რუსი სპეციალისტების მეცნიერული გამოკვლევების საშუალებით. თავისთავად რუსეთის საბიბლიოთეკო მოღვაწენი კარგად იცნობდნენ უცხოელ კოლეგათა გამოცდილებას, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ამ დროისათვის ინგლისელი მეცნიერის ერნსტ სევიჯის კლასიფიკაცია, რომელიც საბიბლიოთეკო კატალოგებისათვის იყო განკუთვნილი. სევიჯი 5 ნაწილად აჯგუფებდა ანოტაციებს. ხოლო რუსმა მეცნიერებმა ი.პ. ყუკმა, მ. ე. მინინამ, ა.გ. ფომინმა და სხვებმა სრულად ვერ მიიღეს ეს კლასიფიკაცია და დაშოუკიდებული გზით სიარული ამჯობინეს.

რუსულ ბიბლიოგრაფიაში ანოტაციის კლასიფიკაციის პირველი ცდა მოცემული იყო 1926 წ. სრულიად რუსეთის ბიბლიოგრაფთა II ყრილობაზე ი.პ. ყუკის მოხსენებაში. როგორც თვით მოხსენების ავტორმა განაცხადა შემდეგში, მოხსენება იყო ნაჩქარევი და როგორც ყრილობის შემდეგ ორმა წელმა დაგვანახვა, თავისუფალი არ იყო შეცდომებისგანაცო. 1929 წ. ა.ი. ყუკისა და მ. მინინის მიერ მოცემულ წიგნში (Аннотация в каталоге массовой библиотеки) მოცემულია სავსებით ორიგინალური საკლასიფიკაციო სქემა. მაგრამ ეს სქემა, ზოგი სპეციალისტის აზრით, დიდად არ განიჩნევა პირველი სქემისაგან და მისგან მხოლოდ დეტალებშია განსხვავება. ის სევიჯის სქემის დიდ გავლენას განიცდიდა. ანოტაციას აჯგუფებდნენ ორ ძირითად ჯგუფად და რამდენიმე ქვეჯგუფად. ანოტაციებს უმთავრესად განასხვავებდნენ: ობიექტური ანოტაციები და კრიტიკულ-აღწერილობითი ანუ შეფასებითი ანოტაციები. ე.ი. შამურინის თვალსაზრისით, რომელიც მან 1959 წელს გამოცემულ თავის მონოგრაფიაში მოგვცა (Методика составления аннотации), ყუკისა და მინინას სქემის ძირითადი ნაკლი გამოიხატება „ობიექტურისა“ და „კრიტიკულის“ გაგებაში. აქ „ობიექტურის“ საპირისპიროდ „კრიტიკულ-აღწერილობითი ანუ შეფასებითი ანოტაცია“ მოცემული, რაც ნიშნავს, რომ დაყოფა არღვევს სქემის ლოგიკურობას, რადგანაც დაჯგუფება არაა მოცემული ერთი და იმავე ნიშნის მიხედვით. პირველ შემთხვევაში ლაპარაკია წიგნის შინაარსის ღირებებზე და მის გარეგნულ თავისებურებებზე და ის განკუთვნილია ფართო, მრავალმხრივ

მკითხველისათვის, ხოლო მეორე შემთხვევაში ანოტაცი-
გულისხმობს შიგადაშიგ კრიტიკული შენიშვნების მოცემას.
როგორც ვხედავთ, მართლაც ძნელი გასარჩევია, რა უდევს
საფუძვლად დაჯგუფებას - მოცემულია თუ არა ანოტაციაში
კრიტიკული შეფასება და ანალიზი, თუ ვისთვისაა ის განკუთვნილი.
გაუგებარია თვით „ობიექტურობის“ ცნების გაგება ანოტაციასთან
მიმართებაში. ობიექტური შეიძლება იყოს კრიტიკულ-
ადწერილობითი ანუ შეფასებითი ანოტაცია და პირიქითაც, ამდენად,
მათ შორის ზღვარის პოვნა შეუძლებელია, ხოლო თუ ჩვენ ანოტაციას
განვიხილავთ იმის მიხედვით, თუ ვისთვისაა ის განკუთვნილი, ეს
უკვე სხვა ნიშანია და სხვა ცნებით გაგებას მოითხოვს.

თავისებური სქემა აქვს მოცემული აგრეთვე ცნობილ სპე-
ციალისტს ა.გ. ფომინს 1929 წელს გამოცემულ წიგნში (Аннотация).
მთავარ ნიშნად აღებული იყო ანოტაციების დაყოფა მათი ფორმისა
და შინაარსის მიხედვით. ამგვარად, სქემა ორ ძირითად ნაწილად
იყოფოდა, რომლებშიც ქვეჯგუფებიც შედიოდა.

ფომინის კლასიფიკაცია უფრო მწყობრ შთაბეჭდილებას
ტოვებს, ვიდრე მისი წინამორბედებისა, მაგრამ ფომინმა შედარებით
გაართულა სქემა და ვერ დაძლია „ობიექტურობისა“ და
„კრიტიკულის“ ანტიმეცნიერული გაგება. განსაკუთრებით ეს ითქმის
„ობიექტურობის“ შესახებ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კრიტიკული
შეიძლება იყოს ობიექტურიც და არაობიექტურიც. ამ ცნებების
საპირისპიროდ გამოტანა და მათგან ცალკეული ჯგუფების შექმნა
არ შეიძლება, რადგანაც, როგორც უკვე ვთქვით, სქემა არ გამოდის
თანმიმდევრული, მაშასადამე - ლოგიკური. მაგრამ ის, რომ სქემა
მან ძველებურად „ობიექტურად“ და „კრიტიკულად“ არ დაყო,
მაინც წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ასევე მისაღები იყო ის, რომ
მან შემოიტანა სქემა „ადწერილობითი ანოტაციისა“, რითაც უფრო
გასაგები გახდა საქმის არსი.

ანოტაციის საკლასიფიკაციო სქემაზე მუშაობა რუსეთში 30-
ან წლებშიც გაგრძელდა. თავისებური სქემები და მოსაზრებები
იყო გამოქვეყნებული 1933 წელს გამოქვეყნებულ მეთოდიკურ
სახელმძღვანელოში სპეციალისტების მიერ (Методика
библиографической работы). დაყოფის საფუძვლად აქ მიღებულია
ბეჭდურ ნაწარმოებთა დახასიათების სიღრმე და დეტალურობა,
თუმცა, ჩვენი აზრით, ყოველთვის სრულყოფილად არ ხდება ამ
ნიშნის თანმიმდევრულად დაცვა. მაგალითად, ძნელია შინაარსის
სიღრმისეული განხილვის მიხედვით პრაქტიკულად გაარჩიო,

დავუშვათ, რეფერატული და კრიტიკული ანოტაციები.

მიუხედავად ამისა, ეს სქემა უკვე მეცნიერულად შედარებით უფრო სრულყოფილად არის დამუშავებული. შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად საყრდენს ანოტაციის კლასიფიკაციის საბოლოოდ ჩამოყალიბების გზაზე. ამ სქემის მიხედვით იქმნება ანოტაციის 5 ჯგუფი.

1. „ფორმალური ანოტაცია“ - რომელიც ძირითადად ასახავს ნაწარმოების გარეგნულ მხარეს, იმ თავისებურებებს, რაც ბიბლიოგრაფიულ აღწერილობის დროს ვერ იქნა გამოვლენილი და ასახული.

2. აღწერილობითი ანოტაცია - რომელიც მეტ-ნაკლებად დაწვრილებით გადმოსცემს ნაწარმოების შინაარსს.

3. რეფერატული ანოტაცია - შექმნიდრობულ ფორმაში გადმოგვცემს ნაწარმოების ძირითად აზრებსა და დასკვნებს.

4. კრიტიკული ანოტაცია - წარმოადგენს წიგნის შეფასებას მისი მეცნიერული, ლიტერატურული, სოციალურ-პოლიტიკური და სხვა თვალსაზრისით.

5. სარეკომენდაციო ანოტაცია - რომელიც კრიტიკულ ელემენტებთან ერთად შეიცავს პედაგოგიური ხასიათის მითითებებს, ესმარება მკითხველს ლიტერატურის შერჩევასა და იმის გაგებაში, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მისთვის ამ ნაწარმოებს.

ამ სქემების საერთო ნაკლი იმაშია, რომ ისინი ვერ არიან თანმიმდევრულნი. მანამდე სქემებზე რომ არაფერი ვთქვათ, რაკი ისინი უკვე წარსულს ჩაბარდნენ და რაიმე პრეტენზიები არა აქვთ თანამედროვე გაგებასთან მიმართებაში, ამ უკანასკნელ სქემას გაანინა ერთი საერთო ნაკლი - მკვეთრად არ არის გამოკვეთილი ის ნიშანი, რომელიც ამა თუ იმ ჯგუფში შემაჯავლი ანოტაციის დამახასიათებელია. მაგალითად, რეფერატული ანოტაცია განსხვავებული სახეობაა ანოტაციის მასალის დამუშავების თვალსაზრისით, მაგრამ არა შინაარსის მიხედვით. შინაარსის მიხედვით ის შეიძლება იყოს აღწერილობითიც და სარეკომენდაციოც.

ანოტაციის საკლასიფიკაციო სქემებზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ვ.ნ. დენისოვი, რ.მ. საპიცკაია, და სხვები, მაგრამ განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ამ საქმეში ცნობილმა მეცნიერმა ე.ი. შამუჩინმა. მან თავის ადრეულ ნაშრომში (Составление библиографических указателей, 1939) თავისი დამოუკიდებელი სქემა მოგვცა, რომელმაც დააინტერესა სხვა

სპეციალისტები. მაგალითად, ვ.ი. დენისევი ძალიან ახლოს იყო შამურინის ვარიანტთან - 1. აღწერილობითი ანოტაცია, 2. რეფერატული, 3. კრიტიკულ-სარეკომენდაციო. მაგრამ საბოლოოდ შამურინმა შეძლო შეექმნა იმგვარი სქემა, რომელიც მიხალები ვახდა სპეციალისტებისათვის როგორც საფუძველი; მან შესანიშნავი მონოგრაფია გამოაქვეყნა 1959 წელს (Методика составления аннотации), რომელიც დღემდე ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოკვლევად ანოტაციის დარგში.

შამურინმა ანოტაციები ორ დიდ ჯგუფად დაყო; 1. ზოგადი; 2. სპეციალიზირებული. ზოგადი ნიშნავს იმგვარ ანოტაციას, რომელიც ახასიათებს მთელ გამოცემას, ყოველმხრივ აშუქებს მას და მხედველობაში აყავს განურჩევლად ყველა მკითხველი, სხვადასხვა სპეციალობის და ინტერესებისა, ანუ ფართო მახობრივი მომხმარებელი.

სპეციალიზირებული ანოტაცია ეხება ნაშრომის მხოლოდ რომელიმე მხარეს, მხოლოდ იმას, რომელიც გარკვეული დარგის სპეციალობის მომხმარებელს დააინტერესებს, ვისზედაც ორიენტირებულია ანოტაცია.

როგორი ანოტაციაა არ უნდა ავიღოთ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ის ან ზოგადი იქნება, ან სპეციალიზირებული. ეს დამახასიათებელი თავისებურებაა ყოველგვარი ანოტაციისათვის.

შამურინის მიხედვით, სავსებით სამართლიანად, ანოტაციის კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა ნიშნით, ანოტაციების ჯგუფები იქმნება ერთიანი, საერთო თავისებურებებიდან გამომდინარე. ის ჯგუფებს ქმნის იმის მიხედვით, თუ როგორია მასალის ახასხვის სისრულე, ლიტერატურული მასალის გაფორმება, მოცულობა და ოდენობა. ამ ნიშნებით გამოიყოფა ანოტაციის სხვადასხვა ჯგუფები, რომლების ერთიანად წარმოიქმნას ცდილობს ის მთლიანად სქემის სახით.

1954-56 წლებში „სოვეტსკოე ბიბლიოგრაფიაში“ დენისევის ბიბლიოგრაფიის სახელმძღვანელოს გამოცემასთან დაკავშირებით გაშლილი იყო პოლემიკა ამ სახელმძღვანელოში ბიბლიოგრაფიის დარგობრივად დაყოფასთან დაკავშირებით. პოლემიკამ დაგვიანახვა, რაოდენ სუსტი ტერმინოლოგიური ბაზა არსებობდა იმ პერიოდისათვის. ამ კონტექსტში ანოტაციის საკითხიც პოვებდა ახასხვას, თუმცა რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი ანოტაციის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით არ ყოფილა მიღწეული.

დაახლოებით ამგვარად განვითარდა ისტორიულად ანოტაციის

არა მარტო კლასიფიკაციის, არამედ მთლიანად მთელი პრობლემის კვლევის საქმე. რაც შეეხება ქართველ სპეციალისტებს, სამწუხაროდ, არავინ დაინტერესებულა ამ საკითხების კვლევით და რაიმე არსებითი ნარკვევი ან თუნდაც მეთოდოლოგიური თვალსაზრისის შრომა არ გამოქვეყნებულა. ამიტომ დღესაც ვიზიარებთ იმ თეორიულ მოსაზრებებს, რომლებიც რუსი მეცნიერების მიერ, კერძოდ, შამურინისაგან არის დამუშავებული. ძირითადად მას ვეყრდნობით და ახალი მოსაზრებების დამუშავებისას მისი კვლევის შედეგებიდან გამოვმდინარეობთ.

საერთოდ, ყოველგვარი სქემის შედგენა რთული საქმეა, მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება ისეთ შემოქმედებით ელემენტს, როგორიც ანოტაციაა.

სქემის შედგენა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს პრინციპების განსაზღვრას, როგორ და რანაირად უნდა მოხდეს კლასიფიკაცია, რა უნდა იქნეს გათვალისწინებული. ე. შამურინი თავის წიგნში განსაკუთრებულად ეხება ამ საკითხს და გვაძლევს პრინციპების თავისებურ განსაზღვრას. მას მიაჩნია, რომ უპირველეს პრინციპულ აუცილებლობას წარმოადგენს ის, რომ ამა თუ იმ ჯგუფში შემაჯავალ ანოტაციას უნდა ახასიათებდეს გამოკვეთილად ჩამოყალიბებული თავისებურება, რომელიც ხარისხობრივად განსხვავდება სხვა ჯგუფში შემაჯავალი ანოტაციისაგან. შამურინს ამგვარ თავისებად მიაჩნია ანოტაციის შინაარსი, განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულებით. ანოტაციის შინაარსი განაპირობებს ყოველგვარი ანოტაციის ყველაზე მკვეთრად განმასხვავებელ ნიშანს.

სამწუხაროდ, შამურინი მკვეთრად ვერ აყალიბებს ანოტაციის კლასიფიკაციის პრინციპებს. ამის ნაცვლად ის იძლევა იმ ნიშნების კლასიფიკაციას, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს კლასიფიკაცია. ამგვარად ერთმანეთში შერეულია კლასიფიკაციის პრინციპები და კლასიფიკაციის ნიშნები.

ჩვენი აზრით, ცხადია, უპირველეს პრინციპს უნდა წარმოადგენდეს სხვადასხვა ჯგუფში შემაჯავალ ანოტაციათა მკვეთრი განსხვავების აუცილებლობა — ერთ ჯგუფში შემაჯავალი ანოტაციები მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს სხვა ჯგუფში შემაჯავალ ანოტაციებისგან. ამასთან, ერთ ჯგუფში შემაჯავალი ანოტაციები გარკვეული ასპექტით უნდა ემგვანებოდნენ ერთმანეთს. მკვეთრად არ უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

პრინციპულ აუცილებლობას წარმოადგენს ისიც, რომ სხვადასხვა ჯგუფებს შორის შესაძლებელი იყოს მკვეთრი ზღვარის

გავლენა. თუ ძნელია განვასხვავოთ ერთმანეთისაგან სხვადასხვა ჯგუფები, ცხადია, ასეთი სქემა ან სუსტია, ან საერთოდ მიუღებელი.

კლასიფიკაციის პრინციპად უნდა მივიღოთ აგრეთვე სქემის პრაქტიკულობა. სქემას უნდა აქონდეს პრაქტიკული მნიშვნელობა, ხელს უწყობდეს ანოტაციის საქმის განვითარებას, მისი წარმოების სრულყოფას.

შაშურინის მიხედვით შედგენილი სქემა ბევრი სპეციალისტის მიერ აღიარებულია როგორც ობტიმალური, როგორც ვთქვით, ყოველგვარ ანოტაციას ის ორ ძირითად ჯგუფად აყოფს შინაარსობრივი თვალსაზრისით: აღწერილობითი და სარეკომენდაციო.

აღწერილობითად უნდა გავიგოთ ისეთი ანოტაცია, რომელიც ახდენს თემატიკის გახსნას ან იძლევა რაიმე ცნობებს ამ თემატიკის ირგვლივ, მაგრამ არ ეწევა მის კრიტიკულ ანალიზსა და შეფასებას. ხოლო სარეკომენდაციოდ გაიგება ისეთი ანოტაცია, რომელიც შეიცავს ნაწარმოების შეფასებას ამა თუ იმ სპეციალისტის მოთხოვნისა და გათვალისწინებით.

ანოტაციები განსხვავდებიან აგრეთვე ნაწარმოების დახასიათების სისრულის ხარისხის მიხედვით, ე.ი. რამდენად სრულად, ამომწურავადაა წიგნი დახასიათებული ან რამდენად ზედაპირულია თუ ცალმხრივია იგი. ამ ნიშნით ანოტაცია შეიძლება იყოს რამდენიმეგვარი:

1. ფორმალური.
2. ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული - ა) ისტორიულ-ლიტერატურული, ბ) ტექსტოლოგიური, გ) კერძოდ ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული.
3. თემატური.
4. რეფერატული აღწერილობითი.

ფორმალური ანოტაცია მოიცავს გარეგან ცნობებს წიგნის შესახებ და არ იძლევა მის შინაგან დახასიათებას;

ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული შეიცავს წიგნის შექმნისა და გამოცემის, მისი ვარიანტების, ცენზურის დამახინჯებების, თარგმანებისა და სხვა ცნობების ასახვას. ისინი, როგორც დავინახეთ, შეიძლება იყოს: ა) ისტორიულ-ლიტერატურული - როცა მონაცემები იძლევიან ცნობებს შექმნის ისტორიულ მომენტებზე, მისი ლიტერატურული ბედის შესახებ და სხვ; ბ) ტექსტოლოგიური ძირითადად ეხება გამოცემის ტექსტის ხარისხს (სისრულე, სიზუსტე, რომელი ვარიანტი უდევს საფუძვლად, დამახინჯებისაგან



განთავისუფლების ხარისხი და სხვ; გ) ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული (საკუთრივ) - თავს უყრის ცნობებს არსებულ გამოცემებზე, მათ იშვიათობაზე, თავისებურებებზე და სხვ.

თემატური - მეტ-ნაკლები სისრულით აშუქებს ნაწარმოების თემატიკას, მაგრამ არ ახდენს მის რეფერირებას, არ იძლევა ავტორის მიერ დასმული საკითხების შეკუმშულ გადმოცემას, დებულებებს და ა.შ.

რეფერირებული აღწერილობითი ანოტაცია შეტისშეტად შეკუმშულად გვაცნობს ძირითად დებულებებსა და დასკვნებს კრიტიკული შეფასების გარეშე.

ყველა ესენი განეკუთვნებიან ე.წ. აღწერილობითი ტიპის ანოტაციებს, მაგრამ არსებობს აგრეთვე სარეკომენდაციო ტიპის ანოტაციათა სახეები. ესენია:

1. უბრალო სარეკომენდაციო, რომელიც შეიცავს ნაწარმოების ზოგად შეფასებას გარკვეული კატეგორიის მკითხველისათვის გამოსაყენებლად.

2. რეფერატულ-სარეკომენდაციო - წარმოადგენს ძირითად დებულებებისა და დასკვნების შეკუმშულად ახასვას.

3. კრიტიკულ-სარეკომენდაციო - არის ამგვარი სახის ანოტაცია, რომელიც სარეკომენდაციოა, მაგრამ, ჩართულია შივ კრიტიკული შენიშვნები.

4. მეთოდიკური სარეკომენდაციო („აქადაგოგიური“) - ამგვარი ანოტაცია იძლევა მეთოდიკურ რეკომენდაციებს, თუ რომელი მკითხველისათვის არის ვათვალისწინებული წიგნი, რა პირობებში უნდა ვიკითხოთ, რა მიზნით, რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება, ვის რაში გამოადგება და ა.შ.

ანოტაციათა განმასხვავებელ ნიშნად შამურინი მიიჩნევს აგრეთვე მათი ლიტერატურულად გაფორმების მდგომარეობას. ანოტაციათა ამ ნიშნით დაყოფას ა. ფომინი თავისი სქემის თავში აყენებს, ხოლო ი. ჟუკი და მ. შინჩინა მას დამხმარე ჯგუფად მიიჩნევენ.

ამ კუთხით, აღწერილობითი ანოტაციები 3 ქვეჯგუფად იყოფა:

1. ანოტატორის მიერ შედგენილი, დამოუკიდებლად თუ კონსულტანტის დახმარებით;
 2. ტექსტუალურ-ნახესხები საანოტაციო ნაწარმოებიდან (ციტატების, ამონარიდების და სხვათა სახით);
 3. ტექსტუალურ-ნახესხები სხვა წყაროებიდან;
- რაც შეეხება სარეკომენდაციო ანოტაციებს, ისინი 4

ქვეჯგუფად იყოფა:

1. ანოტატორის მიერ შედგენილი, დამოუკიდებლად თუ კონსულტანტის დახმარებით;

2. ტექსტუალურ-ნასესხები ანოტირებული ნაწარმოებიდან;

3. ტექსტუალურ-ნასესხები სხვა წყაროებიდან;

4. რეცენზიების შენაკრებებიდან, რომლებიც სხვადასხვა ბეჭდურ ორგანოებში იყო გამოქვეყნებული.

ანოტაციებს განასხვავებენ აგრეთვე იმის მიხედვითაც, თუ რა მოცულობისა და რაოდენობითი მანჯვენებლებით ხასიათდება ისინი. ამ თვალსაზრისით მათ ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ:

1. გაშლილი ანუ დაწვრილებითი;

2. მოკლე, კომპაქტური.

ორივე გამოთქმა საკმაოდ ბირობითია. ჩვეულებრივ, გაშლილს უწოდებენ ისეთ ანოტაციას, რომელშიც შედარებით ვრცელადაა ლაპარაკი ნაწარმოების შესახებ, ხოლო მოკლეს ისეთს, რომელიც რამდენიმე სიტყვით ან მოკლე ფრაზით ეხება უმნიშვნელოვანეს საკითხს საანოტაციო მასალისა.

გაშლილი ანოტაციები შეიძლება იყოს როგორც აღწერილობითი, ისე სარეკომენდაციო. მათში მოცემულია ყოველგვარი ცნობა, რაც კი შეიძლება ანოტაციის ტექსტში მოხვდეს - შინაარსი, მსჯელობა თემატიკაზე, იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებებზე, მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე, მომხმარებელთა კატეგორიებზე, ვისთვისაც ეს წიგნია განკუთვნილი, დამხმარე აპარატზე, სხვადასხვა ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ, ისტორიულ-ლიტერატურულ თუ ტექსტუალურ მონაცემებზე, ავტორზე, გამოქვეყნებულზე და სხვ. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ერთი რომელიმე წიგნის დანახიათებისას ერთბაშად არ იქნება საჭირო, მაგრამ რაც უნდა იქნეს თქმული, ცხადია, იგი იმდენად მოკლე ვერ იქნება, რომ ერთ საკატალოგი ბარათის აღწერილობაში მოთავსდეს. უმეტეს წილად ამგვარი ანოტაციები სხვადასხვა ტიპისა და სახის ბიბლიოგრაფიულ მანჯვენებლებში თუ გამოიყენება.

რაც შეეხება მოკლე ანოტაციას, იგი გამოირჩევა თავისი ლაკონურობით და შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ბიბლიოგრაფიულ მანჯვენებლებში, ისე საკატალოგო აღწერილობის დროსაც.

ზოგ შემთხვევაში ადგილის ეკონომიის მიზნით, მოკლე აღწერილობებს იყენებენ არა მარტო ინდივიდუალური ეგზემპლარის მიმართ, არამედ რამდენიმე დასახელების მიმართ შეკრებიულად.



შეერთებული ანოტაცია, თავისთავად ცხადია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეტად ვიწრო თემატიკაზე არსებული ლიტერატურის მიმართ.

ჩვენი შეხედულებით, გაშლილი ანოტაცია, ფაქტობრივად, კომპლექსური ხასიათის ანოტაციაა და მთლად ზუსტი არ არის მისი ხანელდება - „გაშლილი“. უმჯობესი იქნებოდა გვეთქვა „კომპლექსური“. მით უმეტეს, რომ გაშლილი და მოკლე მართლაც ზედმიწევნით პირობითია, მაშინ, როდესაც „კომპლექსური“ უფრო აღქვამურად გამოხატავს საგნის შინაარსს. „გაშლილი“ საგნის ფორმალური მხარეა. „კომპლექსური“ კი შინაარსობრივი. ამ შემთხვევაში სქემიდან შეიძლება მთლიანად ამოვარდეს „გაშლილი“ და „ვიწრო“ ანოტაცია, როგორც ყველა ანოტაციისაგანს საერთო დამახასიათებელი თვისება. მართლაც, ყოველგვარი ანოტაცია შეიძლება იყოს გაშლილიც და ვიწროც. ის საქმის არსს კი არ განსაზღვრავს, არამედ ფორმას, რომელიც ნებისმიერად შეიძლება მიუდგეს ყველა ტიპისა და ხანის ანოტაციას. მაგრამ რამდენადაც ამჟამად მეთოდოლოგიაში და პრაქტიკაში, სასწავლო პროგრამებსა და მითითებებში დომინირებს შამურინის მიერ შემუშავებული საკლასიფიკაციო სქემა, ცხადია, ჩვენც უნდა ვართ გავიზიაროთ ის და საფუძვლად მივიღოთ ანოტაციის კლასიფიკაციის დროს.

შამურინის ანოტაციის კლასიფიკაციის სქემა შემდეგვარად არის წარმოდგენილი (იხ. გვ.31).

ანოტაციის კლასიფიკაცია რამდენადაც უფრო სრულყოფილიად არის გადაწყვეტილი, იმდენად უფრო აითლებს ანოტატორის მუშაობას; მთავარია ის, რომ ანოტაცია პასუხობდეს ძირითად მიზნებსა და ამოცანებს. ეს ანოტატორისაგან კარგ ცოდნას, გამოცდილებასა და ძალად პროფესიონალიზმს საჭიროებს. ძალიან მწელია ზუსტად განისაზღვროს, ამა თუ ამ შემთხვევაში როგორი ხასიათის ანოტაცია გვჭირდება ან საჭიროა თუ არა ის საერთოდ. ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით ანალიტიკური აღწერილობის დროს, საკმარისია უბრალო დეშიფრაციაც კი, თუმცა მისი შედგენაც არ არის იოლი, ისიც მოითხოვს სათანადო პროფესიულ დაოსატებას. მაგრამ, რა თქმა უნდა, დეშიფრაციის მიმსგავსება ანოტაციასთან არ შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ მათ ბევრი რამ საერთო აქვს მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე.

ანოტირების კლასიფიცირების თეორია და პრაქტიკა არ შეიძლება ითქვას, რომ სრულყოფილიად არის დამუშავებული. ელექტრონული ინფორმაციის პირობები უქველად მოითხოვს

შინაარსის მიხედვით (განპირობებული დანიშნულებით)	თემის მოცვის მიხედვით	ნაწარმოების დახასიათების სისრულის მიხედვით	ლიტერატურული გაფორმების მიხედვით	მოცულობისა და რაოდენობის მიხედვით
I. აღწერილობითი ანოტაცია	1. ზოგადი 2. სპეციალიზირებული	1. ფორმალური 2. ისტორიულ- ბიბლიოგრაფიული ა) ისტორიულ- ლიტერატურული ბ) ტექსტოლოგიური გ) ისტორიულ- ბიბლიოგრაფიული (ვიწრო ვაგებით) 3. თემატური 4. რეფერატულ- აღწერილობითი	1. ანოტატორის მიერ შედგენილი 2. ტექსტუალურ- ნასესხები ანოტირებული ნაწარმოებიდან 3. ტექსტუალურ- ნასესხები სხვა წყაროებიდან	1. მოცულობის მიხედვით ა) გაშლილი («აღწერილობითი») ბ) მოკლე 2. ასახულ ნაწარმოებთან რაოდენობის მიხედვით
II. სარეკომენდაციო აღწერილობითი ანოტაცია	1. ზოგადი 2. სპეციალიზირებული	1. მარტივი სარეკომენდაციო 2. რეფერატულ- სარეკომენდაციო 3. კრიტიკულ- სარეკომენდაციო 4. მეთოდურ- სარეკომენდაციო («მედიავიწრო»)	1. ანოტატორის მიერ შედგენილი 2. ტექსტუალურ- ნასესხები ანოტირებული ნაწარმოებიდან 3. ტექსტუალურ- ნასესხები სხვა წყაროებიდან 4. რეცენზიების ნაკრები	1. ინდივიდუალური (მათ შორის ანალიტიკური) 2. შეერთებული («ეკავუწრო»)



საკითხისადმი ახლებურ მიდგომას, რაც თავისთავად წარმოშობს პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა სამომავლო საქმეა. განსაკუთრებით თვალში საცემია ანოტირების ელემენტების შემდგომი დიფერენციაციის მოთხოვნილება, მათი სქემის გამსწვლლებისა თუ შემდგომი დანაწევრების თვალსაზრისით, რაც შესაძლებელი იქნება საინფორმაციო და ტიბლიოგრაფიული საქმიანობის ორგანულად გამთლიანების შედეგად.

სრულყოფილი ანოტაცია დღევანდელი დღის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნილებაა საინფორმაციო საქმიანობაში. ეს დამოკიდებულია მხოლოდ ანოტირების მეთოდის შემდგომ სრულყოფაზე, იმ ტექნოლოგიური ოპერაციების დაუფლებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ანოტირების მაღალ ხარისხს.

თავი III ანოტაციის სტრუქტურული თავისებურებანი

ერთიანი მეთოდიკური სისტემა. - ერთიანი საყოველთაო სტრუქტურა. - ანოტაციის ელემენტები. - შესავალი. - ცნობები ავტორის შესახებ. - ცნობები სათაურთან დაკავშირებით. - დოკუმენტის შექმნასთან დაკავშირებული ცნობები. - სხვადასხვა საგამომცემლო ხასიათის ცნობები. - ცნობები მასალის მოცვის შესახებ. საერთო მოცულობის აღნიშვნა. - შინაარსის ვახსნა. - შინაარსის ვახსნა 2 გზით. - კრიტიკული ანალიზი. - საჭიროა თუ არა შეფასება. - დასკვნა. - რეკომენდაციები. - ექსპოზიციური და არსობრივი ნაწილები. - ელემენტთა თანმიმდევრობა. - ელემენტების გამოვლენის საკითხი.

ანოტაციის კლასიფიკაციის რთული სისტემა კანონზომიერად იწვევს იმ თავისებურებების გათვალისწინებას, რაც ანოტირების საქმეს თან ახლავს. როგორც ვიცით, ანოტაცია სხვადასხვა ნიშნით სხვადასხვაგვარია, აქედან გამომდინარე, სხვადასხვაა მათი აგებულებაც - სტრუქტურა. შეუძლებელია ყველა ანოტაცია ერთგვარად იქნეს აგებული, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ინდივიდუალური თავისებურებანი, ზაგრამ არსებობს ერთიანი მეთოდიკური სისტემა, რომელიც ზოგადად განსაზღვრავს, როგორი



უნდა იყოს ანოტაცია, რა სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი, რა ელემენტებისაგან უნდა შედგებოდეს.

ყოველი ანოტაცია ცალკეული ელემენტებისაგან შედგება. ყველა ანოტაცია ერთი და იმავე ელემენტებს არ შეიცავს, მაგრამ არსებობს ერთიანი სქემა, რომელიც მაქსიმალურად უნდა წარმოადგენდეს ყველა ელემენტს, რომლისგანაც შესაძლებელია ესა თუ ის ანოტაცია შედგებოდეს. ამგვარად, იქმნება ანოტაციის ერთიანი საყოველთაო სტრუქტურა, რომელიც შედგება შემდეგი შემადგენელი ნაწილებისაგან:

- შესავალი;
- ცნობები ავტორის შესახებ;
- ცნობები სათაურთან დაკავშირებით;
- დოკუმენტის შექმნასთან დაკავშირებული ცნობები;
- სხვადასხვა საგამომცემლო ხასიათის ცნობები;
- ცნობები მასალის მოცვის შესახებ. საერთო მოცულობის აღნიშვნა;

- შინაარსის გახსნა (ფაბულურად ან აღნიშვნით, რას შეეხება დოკუმენტი), ძირითადი მეცნიერული დებულებები, ციტატები.

- კრიტიკული ანალიზი - შეფასება: დოკუმენტის ღირსებების აღნიშვნა, დადებითი თვისებების წარმოჩენა, ნაკლოვანებათა ჩვენება, გამოხმაურებების მოტანა, რეცენზიის მასალების გამოყენება;

- დასკვნა - დოკუმენტის მკითხველური დანიშნულება, მისი პოპულარობა. წაკითხვის მნიშვნელობა;

- რეკომენდაციები - როგორ ვიკითხოთ, რას მივაქციოთ მთავარი ყურადღება, დამატებით რა წყაროებს მივმართოთ, როგორ ვისარგებლოთ დამხმარე აპარატით და სხვა.

არაა გამორიცხული, რომ სხვადასხვა შემთხვევაში, კონკრეტულ პირობებთან დაკავშირებით, დამატებით რაღაც სხვა ნაწილიც გამოვლინდეს, მაგრამ აქ მოცემულია უძირითადესი, რაც გასათვალისწინებელია ანოტაციის შექმნის დროს იმის მიხედვით, თუ რის საშუალებას იძლევა დოკუმენტი და რა დანიშნულებისაა ანოტაცია, კერძოდ, რომელი სახის ანოტაციასთან გვაქვს საქმე.

ანოტატორმა უნდა იცოდეს, რას წარმოადგენენ ეს ნაწილები, როგორი უნდა იყოს ყოველი მათგანი აგებულებისა და შინაარსის მიხედვით, რას უნდა ითვალისწინებდეს ამა თუ იმ შემთხვევაში.

შესავალი - ერთ-ერთი ურთულესი ნაწილია ანოტაციის. მთავარი სირთულე იმაშია, რომ ზედმიწევნით მოკლედ უნდა



განისაზღვროს ნაწარმოების განხილვის საგანი, კვლევის ობიექტი, დარგი თუ ძირითადი საკითხი, რა მოვლენას ეძღვნება ის, სადა უნდა იყოს კონკრეტული საგნის უზოგადესი გამოხატულება. ფაქტობრივად, ის ემთხვევა რუბრიკას ან ინდექსს, მაგრამ ზედმიწევნით კონკრეტიზირებულად, ზოგ შემთხვევაში საჭირო დაზუსტებებით.

ცნობები ავტორის შესახებ - გულისხმობს აღნიშვნებს ნაწარმოების ავტორთან ან ავტორობასთან დაკავშირებით, ეხება ავტორის კომპეტენტურობას, შრომით ხასიათს, სხვადასხვა შემთხვევაში, საჭიროების მიხედვით, ლაბარაკი შეიძლება იყოს ავტორის წარმომავლობაზე, ასაკობრივ მონაცემებზე, ეროვნულობაზე, ცხოვრებისეულ მოვლენებზე, ფსევდონიმებზე; ეს ელემენტი შეიძლება შეეხოს ავტორობის პრობლემას, თუკი ნაშრომის ავტორობასთან დაკავშირებით რაიმე გაუგებრობა ან პრობლემაა. ცხადია, ყოველივე ეს კეთდება იმ შემთხვევაში, თუკი აღწერილობის სხვა ელემენტებში არ არის გამოვლენილი ამგვარი დეტალები.

ცნობები სათაურთან დაკავშირებით მრავალ შემთხვევაში შეიძლება იყოს მოცემული. მაგალითად, თუ სათაური შეცვლილია, სხვადასხვაგვარადაა იგი გაფორმებული ყდასა და თავფურცელზე, სათაურთან დაკავშირებით თუ რაიმე განსაკუთრებული მომენტი აღირსშესანიშნავი, როცა სათაური შემოკლებულია, აბრევიატურას წარმოადგენს და საჭიროა მისი გახსნა და ა.შ.

დოკუმენტის შექმნასთან დაკავშირებული ცნობები ეხება როგორც ავტორის მიერ ნაწარმოების შექმნის, ისე მისი დამუშავების, რედაქტირების, ტექსტის სრულყოფის მომენტებს. ეს ელემენტი საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. სად და როდის შეიქმნა ეს ნაწარმოები, რა პირობებში, ამბავი თვითმხილველისაგან არის გადმოცემული თუ აღწერილი, როგორ იწერებოდა, ვისი დაკვეთით, რა ხნის განმავლობაში და სხვა მისთანა ცნობები ანოტაციაში იმ შემთხვევაში აისახება, თუკი სიტუაციები განსაკუთრებულია და მკითხველის დიდ ინტერესს შეიცავს. შესაძლებელია, ყოველივე ამას შინაარსის უკეთ გარკვევისათვის, წიგნის ხასიათის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს.

ანოტაციაში დასაშვებია შევიდეს სხვადასხვა საგამომცემლო ხასიათის ცნობები, თუკი ახეთი არ არის წარმოდგენილი წიგნის სხვა დეტალებში ან აღწერილობის ელემენტებში. ეს საჭიროა იმ

შემთხვევაში, თუკი მას არსებითი მნიშვნელობა აქვს წიგნის გაცნობისათვის და წიგნის არსის ნათლად ვარკვევისათვის. ასეთი ცნობებია, მაგალითად, სად იბეჭდებოდა ეს წიგნი, ვის და რომელ სტამბაში, როგორ (რა პირობებში) მოხდა მისი გამოცემა, ვინ იყვნენ გამომცემელი, ილუსტრატორი, ვისი ხარჯებით გამოიცა და სხვ. ამას გარდა აქ ივლისხმება ცნობები თვით ნაწარმოების სტრუქტურის შესახებ - თავებსა და ქვეთავებზე, დამხმარე აპარატზე, წინასიტყვაობაზე, შესავალსა და სხვ.

რაც შეეხება ცნობებს მასალის მოცვის შესახებ, საერთო მოცულობის აღნიშვნას, ეს შედარებით ხილრმისეული ელემენტია, რომელიც შინაარსთან ერთგვარად დაკავშირებულია. ამ ცნობებში შეიძლება წარმოდგენა მისცეს მკითხველს იმაზე, რამდენად სრულად არის განხილული საგანი თუ მოვლენა, რამდენად ვრცლად არის იხინი გაშუქებული. ამის თქმა უკვე ამ დარგის სპეციალისტს შეუძლია, რომელიც კარგად იცნობს ნაწარმოებში ასახულ პრობლემებს და შეუძლია თქვას, რამდენად სრულადაა მოცემული განსახილველი საგანი, რამდენად ფართო დიაპაზონით იხილება იგი. ეს ცნობა არსებითი ხასიათისაა ექსპოზიციაში. იგი ერთგვარ გარდაამავალს წარმოადგენს ექსპოზიციურ ელემენტთა ნაწილიდან შინაარსობრივ ნაწილში. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ შემთხვევითი ჩამოთვლილი ყველა ნაწილი, ფაქტობრივად, ექსპოზიციური ხასიათისაა, რომელსაც უშუალოდ მოსდევს ძირითადი - შინაარსის გახსნა.

შინაარსის გახსნა უმთავრესი ელემენტია ანოტაციის, ძირითადად ის იძლევა სრულ წარმოდგენას საანოტაციო დოკუმენტზე. ზოგ შემთხვევაში მხოლოდ შინაარსის გადმოცემა კმარა იმისათვის, მკითხველმა თავად განსაზღვროს, რამდენად საჭიროა ეს წიგნი მისთვის. მრავალ შემთხვევაში შინაარსის გახსნა ერთგვარ კომპლექსს წარმოადგენს, რომელიც სხვადასხვა ელემენტებსაც მოიცავს, რაც აადვილებს სრულყოფილ წარმოდგენის შექმნას წიგნზე.

შინაარსი ჩვეულებრივ 2 გზით გაიხსნება:

1) ფაბულურად, როდესაც თანმიმდევრულ თხრობასთან გვაქვს საქმე;

2) მოკლე აღნიშვნით, თუ რაზეა ლაპარაკი ნაწარმოებში.

პირველ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მოკლე შინაარსის გადმოცემა ხდება იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს ნაწარმოებშია მოცემული. ძალიან მოკლედ ეხებიან შინაარსს იმ ავებულობით,



როგორც ეს საანოტაციო დოკუმენტშია მოცემული. მას შემდეგ
 ამგვარად გადმოცემა ძალიან შრომატევადია, ცხადია, იგი ზომითაც
 შედარებით დიდი იქნება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ძნელია
 ამგვარი წესით მასალის მოკლედ ჩვენება, რომ არ დაირღვეს
 ნაწარმოებში მოცემული თხრობის თანმიმდევრობა. იშვიათად,
 მაგრამ გვხვდება ამგვარი ანოტაციები, განსაკუთრებით, როცა
 საკითხი ერთი კონკრეტული საგნის განხილვას ეძღვნება. მაგრამ
 უმეტესად მეორე სახის შინაარსის გახსნას მისდევენ, რომელიც
 შედარებით ადვილია გადმოცემის თვალსაზრისით, მაგრამ რთულია
 უმთავრესი მოვლენების მოკლედ ასახვის თვალსაზრისით.

შინაარსის გახსნისას უნდა შეეხონ ძირითად, უმთავრეს
 დებულებებს, რომლებიც დოკუმენტშია დამუშავებული - რას
 წარმოადგენს ის, რა იხილება, რა დასკვნები კეთდება, რაზეა
 მსჯელობა, რას ეძღვნება ნაწარმოები, ვისი ცხოვრებაა ასახული,
 რა ვანცდებია გადმოცემული, რაა ძირითადი თემა და სხვ. შინაარსის
 გახსნის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს პერფორაზეები,
 მოტანილ იქნეს განსაკუთრებით საყურადღებო ადილები, ჩართულ
 იქნეს ციტატები. გამონათქვამები, ბრძნული აზრები და ა.შ.

შეუძლებელია შინაარსი მთელი ხისრულით იქნეს გახსნილი.
 ამიტომაც საჭიროა, ის საკითხები, რომლებიც უმთავრესია, სწორედ
 მათგან შემდგარი კომპოზიციით მივიღოთ ძირითადი შინაარსი.
 შეიძლება შინაარსი გაიხსნას უბრალოდ იმ საკითხების ჩამოთვლით,
 რომლებიც განხილულია დოკუმენტში. ამ შემთხვევაში
 განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შინაარსის (სარჩევის) მონაცემების
 გათვალისწინება. მაგრამ ეს მოსახერხებელია მაშინ, როდესაც
 დოკუმენტი დეტალურადაა დაყოფილი ნაწილებად (თავი, ქვეთავი,
 პარაგრაფი და სხვ.) წინააღმდეგ შემთხვევაში ამგვარი ნაწილების
 შექმნა ანოტატორს მოუწევს.

ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ანოტაციაში საჭიროდ
 მიგვაჩნია წიგნის შინაარსის (სარჩევის) უქვევლად გამოტანა. ის,
 რაც მკითხველისათვის ანოტაციის გარეშეც ადვილი სანახავი და
 გასაგებია, ანოტაცია იმით არ უნდა გადაიტვირთოს. ამ შემთხვევაში
 ლაპარაკია სარჩევის საკითხების კომპაქტურად გამოყენებაზე და
 არა მათ გადაწერაზე. სარჩევი უნდა გამოვიყენოთ როგორც
 საფუძველი და არა როგორც მთლიანად გადასაწერი მასალა.

შინაარსი უნდა გაიხსნას იმგვარად, რომ მკითხველს ნათელი
 წარმოდგენა შეექმნას დოკუმენტზე, ამასთან თვალის ერთი
 გადავლებით მოხერხდეს მისი გადაკითხვა.



ანოტაციის ყველაზე საბასუხისშეგებლო ელემენტი მანკრიტიკული ანალიზია. როგორც ითქვა, კრიტიკული ანალიზი არ ნიშნავს ანოტატორის პირად დამოკიდებულებას დოკუმენტისადმი, არამედ ობიექტურად ზუსტ მოსაზრებების გამოთქმას, სპეციალისტის ზოგად შეფასებას, თუმცა ქვეშარატების განსაზღვრა აქ მაინც სუბიექტურ ნასიათს ატარებს. ამიტომაც კრიტიკული ანალიზი უნდა იყოს თავდაპირველი. ანოტაცია კრიტიკულ განხილვად არ უნდა იქცეს, შეიძლება დაჯერდეთ ზოგად შეფასებას, ნაწარმოების დადებითი თუ უარყოფითი მომენტების ზოგად გადმოცემას, იმ მნიშვნელობის აღნიშვნას, რაც ახასიათებს ამ დოკუმენტს - რამდენად ღირებულია იგი. რას მოუტანს მკითხველებს მისი გაცნობა, რამდენად ღრმად და ამომწურავად იხილავს საკითხს, როგორია თხრობის მანერა, სტილი, ლექსიკა, გადმოცემის კულტურა, ენა და სხვა მისთანები. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში გამოხმაურებებს ამ დოკუმენტის შესახებ, განსაკუთრებით, თუკი ის ამ დარგში გამოჩენილ სპეციალისტებს ეკუთვნის. შეიძლება ამ გამოხმაურების ამონაწერი მოვიყვანოთ, გამოვიყენოთ ის ჩვენი მოსაზრებების გასამყარებლად.

შეფასება ანოტაციის ყველაზე რთული ნაწილია. როგორც ცნობილია, მრავალ გამოცემას წინ უძღვის წინახსიფყვაობები, რომლებშიც გამოკვეთილადაა მოცემული ამ წიგნის ღირებულები, მისი შეფასება, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს ანოტატორმა, განსაკუთრებით, როდესაც საკატალოგო აღწერას უკეთდება ანოტაცია. თუკი ამგვარი მასალა მას ხელთ არა აქვს, და შეფასება პირადად მან უნდა გააკეთოს, მან უნდა მიმართოს სხვა წყაროებს, კონსულტანტებს, სპეციალისტებს, რაც საკმაოდ რთული პროცესია.

ისმის კითხვა: ყოველთვის საჭიროა თუ არა შეფასება?

ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ანოტაციის განკუთვნილობა - რისთვისაა ის განკუთვნილი - ბიბლიოგრაფიული საძიებლისათვის თუ კატალოგისათვის, თანაც რომელი სახის ბიბლიოგრაფიული მანვენებლისათვის, რომელი ტიპის ბიბლიოთეკისათვის. მაგალითად, თუ ანოტაცია რომელიმე მომენტისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია და, ამდენად, არ არის საჭირო სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, ის შეიძლება საჭირო იყოს მასობრივი ან ახალგაზრდული ბიბლიოთეკისათვის თუ საინფორმაციო ცენტრისათვის. იგივე ითქმის შეფასებაზეც. თუ საბიბლიოთეკო კატალოგში მოცემული ანოტაციისათვის არაა საჭირო შეფასება, ის უეჭველად მნიშვნელოვანია სარეგისტრაციო

ბიბლიოგრაფიისათვის.

სპეციალისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ამგვარი ბიბლიოგრაფიისათვის შეფასება სავალდებულოა, რადგანაც იგი სამუდამო დაცვისათვის აღნუსხავს წიგნს და მისი შეფასება ისტორიული თვალსაზრისითაც შეტად მნიშვნელოვანია. ზოგი ამის წინააღმდეგია, რადგანაც მიაჩნია, რომ ისტორიულად იცვლება დამოკიდებულება წიგნისადმი და ადრეული შეფასებებიც მოძველებული შეიქმნება. ჩვენ ამ აზრს ვერ ვაფიქრებთ, რადგანაც ანოტაციის განახლებასა და ცვლას ნორმალურად მივიჩნევთ. ეს მოქმედი, პირიქით, საყურადღებოა იმით, რომ იგი გააადვილებს ძველი წიგნების ახლებური თვალთ მიმოხილვას. საჭიროა დაცულ იქნეს ძველი ანოტაციები, ხოლო ამავდროულად ნაწარმოებების ახალ გამოცემებს მიეცეს ახალი ანოტაციები.

შეფასების აუცილებლობის საკითხი წყდება მისი საჭიროებიდან გამომდინარე, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ისეთი მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხიც, როგორცაა შემდგენლის კვალიფიკაცია, პირობები და შეხამებლობების გათვალისწინება.

შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინასწარი რეცენზიები, თვით ავტორის მოხაზრებები თავის ნაღვაწზე; თუკი წიგნს არ ახლავს ანოტაცია ან არ არის იგი სრულყოფილი, ბიბლიოგრაფ-ანოტატორმა შეიძლება გამოიყენოს უკვე დაბეჭდილი სხვა კრიტიკულ-ლიტერატურული მასალა.

ანოტაციის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს ისეთი შემაჯამებელი ნაწილი, როგორც დასკვნაა. ანოტაციათა უმრავლესობას იგი სრულებითაც არ გააჩნია, რადგანაც მისი არსი, ფაქტობრივად, გამჟღავნებულია სხვა თვალსაჩინო ელემენტებში. დასკვნის უმთავრესი აზრია, განსაზღვროს მოცემული დოკუმენტის მკითხველური დანიშნულება, აღნიშნოს, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მის წაკითხვას. როგორც ცნობილია, უმეტესწილად წიგნის თავფურცელზე მოთავსებულ ქვესათაურულ ცნობებში გარკვევითაა მითითებული წიგნის მკითხველური დანიშნულება, გამოცემის ხასიათი. ეს უფრო შეტად კეთდება სახელმძღვანელო, საყმაწვილო, შემეცნებითი ხასიათის პოპულარულ ლიტერატურაზე, ზოგჯერ მხატვრულ ნაწარმოებებზეც - აღნიშნავენ, რომ ის არის რომანი, ნოველების კრებული თუ სხვა ჟანრის ნაწარმოებთა გამოცემა. ყოველივე ამის გამოქრება ანოტაციის დასკვნით ნაწილში აღარაა საჭირო.

თუ ამგვარი მონაცემები არ არსებობს, ისინი დასკვნაში



შეიძლება იყოს მოცემული. დასკვნაში შეიძლება აგრეთვე იყოს ისეთი ტექსტი, რომელიც მკითხველთა ინტერესების აღზარდვლად არის გაშიზნული, მოწოდება, სარეკლამო ხასიათის შენიშვნები და ა.შ.

ანოტაციის უკანასკნელ ელემენტს რეკომენდაციები წარმოადგენს. ისიც ძალიან იშვიათად გვხვდება, უმეტესად სარეკომენდაციო ხასიათის გამოცემებში. ის შეიცავს რჩევამითითებებს, როგორ ვისარგებლოთ მოცემული დოკუმენტით, რომ რამდენადაც შეიძლება, ამომწურავად, ღრმად და საფუძვლიანად გავეცნოთ მას, მეტი სარგებლობა მივიღოთ მისგან. აქ ვხვდებით წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდიკის ელემენტებს - როგორ მოვახდინოთ წაკითხულის ფიქსირება, რას მივაქციოთ მთავარი ყურადღება, როგორ გამოვიყენოთ დამხმარე აპარატი, მივმართოთ ენციკლოპედიებს, ლექსიკონებს, გზამკვლევებს, ატლასებს, საილუსტრაციო მასალას და სხვ.

ანოტაციის სტრუქტურული ნაწილები შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად გავყოთ: ექსპოზიციური და არსობრივი. ექსპოზიციური ნაწილი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საერთო შესავალი, რომელშიც შედის ისეთი ნაწილები, როგორიცაა: საკუთრივ შესავალი, ცნობები ავტორობის, სათაურის, დოკუმენტების შექმნის, საგამომცემლო საქმის, მასალის მოცვის შესახებ. არსობრივ ჯგუფს კი განეკუთვნება: შინაარსის გახსნა, კრიტიკული ანალიზი, დასკვნა. რაც შეეხება რეკომენდაციებს, ის ერთვარ დამატებით, არაძირითად ელემენტს წარმოადგენს, რომელსაც შინაგანი კვშირი არ აქვს სხვა ელემენტებთან.

ყველა ელემენტი განიხილება როგორც ერთიანი მთელი შემადგენელი ნაწილი. ისინი ორგანულად ერწყმიან ერთმანეთს და ამდენად ბევრი რამ აქვთ საერთო. ამასთან ერთი მეორეს უწყობენ ხელს, ერთი ელემენტი წარმოადგენს მეორის დაზუსტების, უკეთ გაგების საშუალებას. ხწორედ აქ პოეებს თავის გამოვლენას გეშტალდომის პრინციპი. ელემენტთა შეთანხმებულობა იძლევა შესაძლებლობას, ანოტაცია აღქმულ იქნეს როგორც ერთიანი მთელი, შეკრული, როგორც აღწერილობის დამოუკიდებელი ელემენტი, რომელიც ერწყმის აღწერილობის სხვა ელემენტებს. ამგვარად, ანოტაცია თავად არის ელემენტი, რომელიც შედგება ნაწილებისაგან, ცალკეული ელემენტებისაგან და ის გაიგება როგორც სხვადასხვა ელემენტებისაგან შემდგარი კომპლექსი.

ანოტაციის სტრუქტურის ჩამოყალიბებისას ისმის კითხვა



მათ თანმიმდევრობაზე - რა თანმიმდევრობით უნდა დალაგდნენ ელემენტები. ამ შემთხვევაში უმთავრესია დაცულ იქნეს აზრების ლოგიკური თანმიმდევრულობა და სტრუქტურულ ლოგიკას მნიშვნელობა არა აქვს. სტრუქტურული ლოგიკა მთითხვებს ნაწილები ურყევი თანმიმდევრობით იყოს მოცემული, მაგრამ ეს სრულებითაც არ ეხება მათ ლოგიკურ გამოყენებას ანოტაციის აგების დროს. მთავარია ანოტაცია იცავდეს იმ პრინციპებს, რომლებიც აუცილებლად დასაცველია ანოტაციის შედგენისას, ხოლო ელემენტების თანმიმდევრობა უკვე ანოტატორის ხელოვნებაზეა დამოკიდებული. როგორ ფლობს ის წერის კულტურას, აზრის გადმოცემის ხერხებსა და საშუალებებს, რამდენად მოქნილად შეტყვევებს, როგორ ახერხებს ელემენტების ერთმანეთთან შეკავშირებას და ა.შ. ცხადია, არის ელემენტები, რომლებიც ტრადიციულად დადგენილ ადგილზე არიან დამკვიდრებული, მაგრამ ზოგი მათგანი დინამურია, მოძრავი. ზოგი შეიძლება ადრე გამოვლინდეს, ზოგი გვიან, გაუსწრონ ერთიერთმანეთს, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს ლოგიკურად, ლიტერატურული გემოვნებით, დახვეწილად. მაგალითად, ადვილი შესაძლებელია ანოტატორმა რომელიმე შემთხვევაში ხელაც დასკვნით დაიწყო და არა ავტორზე საუბრით, ან ჯერ შინაარსი გაიხსნას და მერე მოყვეს მას სხვა ნაწილები.

ერთი სიტყვით, ანოტაციის სტრუქტურული ნაწილებს არ გააჩნიათ მტკიცედ დადგენილი თანმიმდევრობა და ეს დამოკიდებულია ანოტატორის პროფესიულ ოსტატობაზე და გემოვნებაზე.

ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში, ყველა სტრუქტურული ელემენტი ანოტაციის დროს არ ვლინდება.

ზოგი სპეციალისტის აზრით, ანოტაციის ამუშავრად დიფერენცირება სრულებითაც არაა საჭირო, რადგანაც ანოტაცია თავად არის ერთი ელემენტი, რომელიც მოცულობით პატარაა და ძალიან ლოკალური ამოცანების გადაწყვეტას იხსნავს მიზნად. ცხადია, ეს არაა სწორი. ანოტაცია, მართალია, მცირე ზომისაა, მაგრამ როგორც დავინახეთ, სხვადასხვა ნიშნის მიხედვით მრავალგვარია, რთული და დინამური, თანაც შეტად საჭირო და მნიშვნელოვანი.

ცხადია, ანოტაცია ერთიანი, მცირე ზომის ელემენტი, მაგრამ მისი დაწვრილებითი დანაწევრება ხელს უწყობს ანოტირების



მეთოდის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლას, რაც ანოტირების საქმის სრულყოფის საწინდარია.

თავი IV ანოტირების ტექნოლოგია

ზოგადი და კერძო მეთოდის ურთიერთმიმართება. - ლაკონურობის მოთხოვნის დაცვა. - მეითხველის (მოძმარების) გათვალისწინება. - ვინ უნდა გააკეთოს ანოტირება. - წიგნის ვაცნობა. - მასალის დამუშავება. - თემატიკის განსაზღვრა. - საანოტიაციო მასალიდან ძირითადის შერჩევა. - ანოტიაციის მოცულობა. - ანოტიაციის შინაარსი. - სტილურ-ლექსიკური და გრამატიკული დამუშავება. - ანოტიაციაზე მუშაობა. - ანოტიაციის რედაქტირება. - ანოტიაციის შედგენის პროცესი.

ანოტიაციის კლასიფიკაცია და სტრუქტურული დიფერენციაცია საშუალებას იძლევა უფრო ღრმად ჩავწვდეთ ანოტიაციის არსს და, რამდენადაც შეიძლება, სრულყოფილად დავეუფლოთ მისი წარმოების ტექნოლოგიას. ამასთან, თუ ანოტიაციის შედგენის პრინციპებსაც გაითვალისწინებთ, უკვე შეგვიძლია საფუძვლიანად გავერკვეთ ანოტირების მეთოდიკაში.

ანოტირების მეთოდიკა შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ: 1) ზოგადი მეთოდიკა, რომელიც შეისწავლის ანოტირების უზოგადეს საკითხებს, საყოველთაო წესებსა და მეთოდებს, ყოველგვარი ანოტიაციისათვის საჭირო დეტალებს და 2) კერძო მეთოდიკა, რომელიც ეხება ამა თუ იმ დარგის დოკუმენტებისა და ცალკეული სახის გამოცემების ანოტირების სპეციფიკას. რომ დავუფროთ ამ უკანასკნელს, უნდა საფუძვლიანად შევისწავლოთ პირველი.

ზოგადი მეთოდიკა ის ფუნდამენტია, რაზედაც იგება, საერთოდ, მთლიანი პროცესები ანოტიაციის საქმისა. მისი დებულებები სავალდებულოა საყოველთაოდ და მხედველობაშია მისაღები ყოველი კერძო შემთხვევისათვის.

არის ისეთი ზოგადი ხასიათის მეთოდიკური მითითებები, რომელთა გათვალისწინება საკალდებულოა ანოტირების დროს. ეს ეხება როგორც ანოტიაციის კარგან, ფორმალურ მხარეებს, ისე მის შინაგან მხარეებსაც - მის არსობრივ თავისებურებებს.



უპირველეს ყოვლისა, ზოგადად უნდა განისაზღვროს: რა მოეთხოვება ანოტაციას საერთოდ, რა უნდა იქნება გათვალისწინებული და მხედველობაში მიღებული.

ამ თვალსაზრისით, სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით ზოგი რამ ითქვა, რამდენადაც ამას საკითხის გაშუქების ლოგიკა მოითხოვდა; ამჟამად ძირითადად შევეხებით უშუალოდ ტექნოლოგიურ ოპერაციებს, იმას, რაც აუცილებელია ანოტაციის შედგენისათვის. ამ შემთხვევაშიც არის რაღაც ზოგადი ხასიათის, საყოველთაოდ გასათვალისწინებელი მომენტი და კონკრეტული დეტალი, რომელიც ამა თუ იმ შემთხვევაშია მხედველობაში მისაღები.

როგორც ხახისაც და ტიპის არ უნდა იყოს ანოტაცია, ბევრი რამ საერთოდ და საყოველთაოა მათთვის. ასეთია, მაგალითად, ანოტაციის ლაკონურობის საკითხი.

ანოტაცია მოკლედ, ლაკონურად უნდა იძლეოდეს გარკვეულ წარმოდგენას მოცემულ დოკუმენტზე და გარდა ამისა, აღუძრავდეს მკითხველს ამ დოკუმენტის წაკითხვის სურვილს. მაშასადამე, შემუცნბითი ამოცანების გარდა, საპრობაგანდო (პოპულარიზაციის) დანიშნულებაც აქვს. ის ვგაწვდის არა მარტო ინფორმაციას, არამედ ზოგ შემთხვევაში რეკომენდაციასაც იძლევა. ყელაფერი ეს დამოკიდებულია, ერთი მხრივ, რას წარმოადგენს თვით საანოტაციო დოკუმენტი (მისი ხასიათი, დანიშნულება, მნიშვნელობა, თემატიკა და ა.შ.) და მეორე მხრივ, ვისთვის არის იგი განკუთვნილი, რომელი კატეგორიის მკითხველისათვის ან რომელი საჯამომცემლო ორგანიზაციისათვის. მაშასადამე, მხედველობაშია მისაღები, თუ რა მიზანს ისახავს ანოტაცია.

მკითხველს (მომხმარებლის) გათვალისწინება თავისთავად გამოძინარეობს წიგნის შინაარსისაგან, მისი მიზნებისა და დანიშნულებისაგან. მიუხედავად ამისა, ანოტატორი კარგად უნდა ერკვეოდეს მკითხველთა თავისებურებებში, იცნობდეს მკითხველთა კატეგორიებს, და წიგნის არსის გარკვევის შემდეგ, შეეძლოს განსაზღვროს, ვისთვის არის აგი განკუთვნილი და ამა თუ იმ კატეგორიის მკითხველს რა სარგებლობას მოუტანს. ამგვარად, მთავარი და გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საანოტაციო დოკუმენტის არსის გარკვევას, მისი შინაარსის ღრმად და საფუძვლიანად გაცნობას.

ვინ უნდა გააკეთოს ანოტაცია?

ცხადია, ანოტირება იმ დარგის სპეციალისტ-ბიბლიოგრაფის



საქმეა, რომელიც მოცემული დარგის საფუძვლებს კარგად იცნობს. ან სულაც ამ დარგის სპეციალისტია. მაგრამ ზოგ შემთხვევაში ანოტაციის შედგენა, ჩვეულებრივ, კვალიფიციურ, გამოცდილ ბიბლიოგრაფებსაც ხელეწიფებათ. მით უმეტეს, როცა ანოტაციას უბრალო ბიბლიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს და მასალაც არ არის რთული. თუ წიგნის შინაარსი, მისი დანიშნულება, მიზნები და ამოცანები წიგნის ხსენებას ვა დეტალებიდან ნათელი და გამჭვირვალეა, პროფესიონალი ბიბლიოგრაფისათვის სირთულეს არ წარმოადგენს მისი ანოტირება. ჩვეულებრივ, გამოქვეყნებული წიგნების დიდი ნაწილი სავსებით მისაწვდომია რიგითი ბიბლიოგრაფებისთვის იმ თვალსაზრისით, რომ მათ შეძლონ გაარკვიონ წიგნის არსი და ღირებულება. მაგრამ პირველადი ანოტაცია, რომელიც წიგნის გამოქვეყნებამდე და გამოქვეყნებისას იწერება, ხომ გაცილებით უფრო რთული შესადგენია, ვიდრე უკვე გამოქვეყნებული ანოტაციის გამოყენება? აი, სწორედ ამგვარ შემთხვევებშია საჭირო განსაკუთრებით მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის ხელი.

ჩვეულებრივ, პრაქტიკაში დანერგილია ის, რომ ანოტაციას თვითონ წიგნის ავტორები წერენ. თავისთავად ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ იმის გამო, რომ ავტორების უმეტესობა ვერ ფლობს ანოტირების ტექნოლოგიას, ანოტაციები ხშირად უხარისხსოა, არაკვალიფიციური და ზოგჯერ სავსებით უშაქნისი. მაშასადამე, საქმე იმდენად არა დარგის პროფესიონალურად ცოდნაშია, რამდენადაც ანოტაციის შედგენის, მისი შექმნის ხელოვნებაში, ანოტირების მეთოდიკის დაუფლებაში. შეიძლება დარგის საუკეთესო სპეციალისტმა ვერ შეადგინოს ანოტაცია კვალიფიციურად, ხოლო კლასიფიკატორმა - ბიბლიოგრაფმა ეს საქმე გაცილებით უკეთ შეასრულოს, რაც შეეხება დარგის მცოდნე კვალიფიციურ ბიბლიოგრაფ-ანოტატორს, ეს იდეალური შემთხვევაა და პრაქტიკაში იშვიათად გვხვდება.

როგორი სპეციალისტიც არ უნდა მუშაობდეს ანოტაციაზე, უპირველეს ყოვლისა, მას წიგნის (დოკუმენტის) საფუძვლიანი გაცნობა მოუთხოვება. ჩვენი აზრით, წიგნის არსის უცნობა მისი დანიშნულების განსაზღვრით უნდა დავიწყოთ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ შინაარსის გაცნობის გარეშე შევეცადოთ ამას. ცხადია, იგულისხმება, რომ შინაარსის გაცნობისას უპირველესად უნდა განისაზღვროს, თუ რა დანიშნულების დოკუმენტთან გვაქვს საქმე, ანოტაციის შედგენისას ეს წინასწარ მოგვცემს იმის განსაზღვრის



საშუალებას, თუ თავისი შედგენილობითა და სისრულით როგორც უნდა იყოს ანოტაცია, რომელი სახის ანოტაციას უნდა მივმართოთ.

წიგნის გაცნობა ზოგადი მონაცემების გაცნობით იწყება ე.წ. „თვალის ერთი გადავლებით“. თუ წიგნს ანოტაცია აქვს, შეიძლება ის, ჩვენთვის საჭირო შემთხვევაში, უცვლელად გამოვიყენოთ, თუ ის არ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს, შეიძლება შევიტანოთ კორექტივები ან სრულიად ახალი ანოტაცია შევადგინოთ. ასეთ შემთხვევებში კი უკვე საჭირო გახდება წიგნის საფუძვლიანი გაცნობა.

წიგნის გარეგნული ელემენტების შეცნობის შემდეგ (მოცულობა, აგებულება, სტრუქტურული თავისებურებანი, ილუსტრაციები, თანმხლები მასალა და სხვ.) იწყება წიგნის შინაარსობრივი ნაწილების საგულდაგულო შესწავლა. პირველი ასეთი ნაწილი თავფურცელია. ვახვდება გაშლილი თავფურცელიც, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წიგნზე უზოგადესი ცნობების მოპოვების დროს. ძირითად ცნობებს სწორედ თავფურცლიდან ვიღებთ - ავტორის ვინაობა, სათაური, ქვესათაურული ცნობები, გამოცემების ადგილი და გამომცემლობა, გამოცემის წელი, ინდექსები და სხვ. საჭირო ცნობების მიღება შეიძლება აგრეთვე წიგნის ისეთი ნაწილისაგან, როგორცაა სუბერი და ფორზაცი, თუკი ისინი იძლევიან ამის საშუალებას. მაგალითად, მათზე შეიძლება იყოს გამოსახული საილუსტრაციო მასალა (პორტრეტი, რუკა, გეგმა, სქემა, ცნობები ავტორის შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი მონაცემები). სამწუხაროდ, ბევრი წიგნი არ გამოდის ტრადიციული სტანდარტებით, რაც ართულებს საჭირო ცნობების დაუბრკოლებლად მიღებას.

თავფურცლის გაცნობის შემდეგ რეკომენდირებულია სარჩევის (შინაარსის) დეტალურად გაცნობა, ხარჩევი თანმიმდევრულად წარმოვინდგენს იმ ნაწილებს, რომლისგანაც ტექსტი შედგება, ის მთელ სტრუქტურას გვიჩვენებს. ეს იმ შემთხვევაში, თუ ტექსტი ნაწილებადაა დაყოფილი (ნაწილები, თავები, ქვეთავები, პარაგრაფები) და ისინი დასათაურებულია. ზოგჯერ დასათაურებული ნაწილი ვერ იძლევა სრულ წარმოდგენას, რას შეეხება ის და საჭირო ხდება მისი დეშეფრაცია. ამ შემთხვევაში ანოტატორი ვერ ენდობა მხოლოდ სარჩევს. მაგრამ ხდება ისედაც, როცა სარჩევი სავსებით საკმარისია წიგნის შინაარსში ჩახახედად. თუ სარჩევი ვერ იძლევა სრულყოფილ სურათს, ანოტატორი წიგნის სხვა ნაწილებს მიმართავს - სტრუქტურულ ელემენტებს, უშუალოდ



თავებს, ქვეთავებს, პარაგრაფებს. ცნობები შეიძლება მოპოვდეს იქნეს ე.წ. შავი თავფურცლებიდანაც (შეშუტტიტული). ამ მასალის გაცნობის შემდეგ შეიძლება მივმართოთ წიგნის ბოლოში ან თავფურცლის მეორე მხარეს დართულ კოლოფონს, რომელშიც დაწვრილებითაა თავმოყრილი საგამომცემლო ცნობები, რომელთაგან შეიძლება ზოგი გამთვავადგეს წიგნის უკეთ შეცნობისათვის.

წიგნის შინაარსის გაგება განსაკუთრებით გაიოლდება, თუკი მას შესაბამისად თავებსა თუ პარაგრაფებზე დართული აქვს ექსტენზო. ზოგ სამეცნიერო და სასწავლო წიგნს, იშვიათად მხატვრულსაც, ამა თუ იმ თავისა თუ პარაგრაფის წინ ძალიან მოკლე გვერდის სახით მოცემული აქვს შინაარსის გახსნა. აქ მოკლედ ნაჩვენებია, თუ რაზეა ლაპარაკი ამ ნაწილში. (ნიმუშად შევიძლიათ იხილოთ წინამდებარე წიგნი).

მეტად სასარგებლო ცნობებს იძლევა საკატალოგო ინდექსი, რომელიც წიგნს ერთვის სატიტულო ფურცლის პირზე თუ უკანა მხარეს. მისი მეშვეობით შეიძლება გაირკვეს მოცემული წიგნის დარგი, გამოცემის ხასიათი თუ დანიშნულება, ზოგ შემთხვევაში სპეციალური ცნობებიც - ქრონოლოგია, გეოგრაფიული ადგილი, ისტორიული ეპოქა და სხვ. საერთოდ, ანოტატორის საქმიანობა ტექნოლოგიურად ბევრ რამეში ემთხვევა კატალოგიზატორის საქმიანობას და თუ წიგნს ინდექსი არა აქვს დართული ან ის სწორი არ არის, ან დაზუსტებას საჭიროებს, ეს იძულებულია იმგვარივე პროცესები ჩატაროს, როგორც კატალოგიზატორმა. არ არის გამორიცხული, ანოტაციის შემდგენელს რუბრიკის დადგენაც დაჭირდეს, რაც მას საშუალებას მისცემს მოკლედ გაიაზროს საანოტაციო წიგნის კონკრეტული საგანი. თუკი ხერხდება წიგნის რუბრიკის დადგენა, ამით უმთავრესი საგანი განისაზღვრება და შედარებით გაიოლდება წიგნის არსზე კონკრეტული აზრის შექმნა, რაც ასე აუცილებელია ანოტაციისათვის.

წიგნის შინაარსის გახსნა, ჩვეულებრივ, კომპინირებულად წარმოებულ პროცესთა შედეგია. ის ყველა ელემენტის კომპლექსურ მოქმედებას გულისხმობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველთვის და ყოველ დროს ყველა ელემენტი ერთბაშად უნდა ამოქმედდეს. შეიძლება შინაარსის გასახსნელად საკმარისი აღმოჩნდეს თუნდაც ერთი რომელიმე ელემენტი, მაგრამ უმეტესად შინაარსის შეცნობა რამდენიმე ელემენტის გამოყენებით ხდება, უფრო მეტად კი - წიგნის შინაარსის დადგენა ტექსტის გადაკითხვით უწევს ანოტატორს. ამ

შემთხვევაში ორი გზა არსებობს: ან გადაკითხულ იქნეს თავიდან ბოლომდე მიჯრით, ან მოხდეს მისი ე.წ. სწრაფი გადაკითხვა (ბიბლიოგრაფიული კითხვა). ცხადია, ანოტაციის შედგენა დოკუმენტის თვალწინდით ნახვის გარეშე შეუძლებელია. ანოტაცია, როგორც წესი, „დევიზული“ ხდება.

უმეტეს შემთხვევაში ანოტაციის შემდგენელთ არ უწყვეთ მთელი წიგნის მიჯრით წაკითხვა თავიდან ბოლომდე, ხდება ადგილ-ადგილ კითხვა, ადგილების შერჩევით წაკითხვა. ამაში მას ხელს უწყობს იმ ნაწილების გაცნობაც, რომლებზედაც უკვე გექონდა ლაპარაკი. ამის გარდა, ანოტატორი ეცნობა სქოლიოებს, შენიშვნებს, შესავალს, დასკვნებს, წინასიტყვაობას, რეზიუმეს და სხვა დამატებით მასალას - შემავსებელ ნაწილს, რომელსაც ტექსტის შინაარსის გაგებასთან აქვს გარკვეული კავშირი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წინასიტყვაობის გაცნობას. ეს ისეთი მასალაა, რომელშიც ბევრი რამ უახლოვდება ანოტაციას თავისი მნიშვნელობითა და ფორმით. თუ წინასიტყვაობა შედარებით დიდია და არ ხერხდება მისი გადაკითხვა მოკლე დროში, დასაშვებია წინასიტყვაობის ადგილ-ადგილ წაკითხვა.

შინაარსის გაცნობა და დამუშავება ორი წყაროთი წარმოებს: ერთი-თვის საანოტაციო დოკუმენტით, მეორე - სხვა, გარეშე წყაროს მეშვეობით. მაგრამ გარეშე წყაროს მეშვეობით უმეტესად ემყარება სხვადასხვა ელემენტებს (ცნობა ავტორზე, გამოცემულზე, გამოცემის წელზე, ძირითად მახასიათებლებზე და სხვ.) შინაარსზე შეიძლება ვიქონიოთ წარმოდგენა რეცენზიიდან, ბიბლიოგრაფიული შიშობილიდან, კრიტიკული ანალიზიდან და ა.შ.

საანოტაციო წიგნის საფუძვლიანად შესწავლა სრულყოფილი ანოტაციის შედგენის აუცილებელი პირობაა. ეს საკმაოდ შრომატევადი და რთული პროცესია.

საერთოდ, ანოტირების მეთოდის თვალსაზრისით, საანოტაციო მასალის დამუშავება და გამზადება ანოტაციის შედგენისათვის, წარმოადგენს საქმის ღერძს, რაზედაც მთლიანადაა დამოკიდებული ანოტაციის ხარისხი. აქ იგულისხმება საანოტაციო დოკუმენტის ყოველმხრივი შესწავლა. იგი უნდა იქნეს შესწავლილი როგორც გარეგნული, ისე შინაგანი (შინაარსობრივი) ნიშნების მიხედვით - რას წარმოადგენს წიგნი, როგორია მისი მოცულობა, ვინ არის ავტორი, თანაავტორი, როდის დაიწერა და რა პირობებში, რითი გამოირჩევა, რა დამხმარე აპარატი აქვს, ვისთვისაა



განკუთვნილი, როგორია მათზე გამოხმაურება, ბოლოს და ბოლოს საფუძვლიანად უნდა გავეცნოთ შინაარსს, შევიქმნათ წიგნზე სრული წარმოდგენა.

ყოველივე ამის შემდეგ გვეძლევა შესაძლებლობა განვსაზღვროთ წიგნის თემატიკა. ეს საშუალებას იძლევა, რამდენადაც შეიძლება, კონკრეტულად გამოიხატოს ის მიმართულება, რომელიც ანოტაციას უნდა მიეცეს. ეს განსაკუთრებით საჭიროა ანოტაციის სახეობის შერჩევასათვის. ამავე დროს, იგი საგულისხმოა იმისათვის, რომ ზუსტად მიესადაგოს ზოგად თუ სპეციალურ ბიბლიოთეკაში, რომლებიც ცალკეულად თავისებურ ანოტაციებს მოითხოვენ.

თემატიკის დაზუსტება და ზუსტად განსაზღვრა საჭიროა იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია ერთი და იგივე თემატიკა რამდენიმე დარგის სპეციალისტისათვის იყოს გამოსაყენებელი. მაგალითად, ეკოლოგიის თემატიკა შეიძლება საყურადღებო იყოს როგორც ბუნების დაცვის სპეციალისტებისათვის, ისე ბიოლოგების, მედიკოსების, პედაგოგებისა და სხვა დარგის სპეციალისტებისათვის. მაგრამ თემატიკის განსაზღვრა არ კმარა, თუ ზუსტად არ იქნა გაცნობიერებული დოკუმენტის შინაარსი, მისი ხირთუღე, დანიშნულება, მკითხველთა კატეგორია, ვისთვისაა ის განკუთვნილი, სიახლე, პრობლემატურობა და ა.შ.

საანოტაციო ნაწარმოებში თემატიკის განსაზღვრა მასში უმთავრესის, ძირითადის გამოჩენის საშუალებას იძლევა. როგორც ცნობილია, ანოტაციამ მომხმარებელს, უპირველეს ყოვლისა, ძირითადზე უნდა მისცეს წარმოდგენა, იმაზე, თუ რა არის ღერძი ამ ნაწარმოებისა. ანოტატორის ხელოვნების უმნიშვნელოვანეს თვისებას წარმოადგენს იმის გამოჩენვა, თუ რა არის უმთავრესი, უძირითადესი ანუ თუ იმ ნაწარმოებში. არავითარი მეორეხარისხოვანი, არავითარი უმნიშვნელო დეტალები. შეიძლება მომიჯნავე თემებს შეეყნოთ, თუკი ეს გვსდება ნაწარმოებში, მაგრამ მხოლოდ გაკვრით. რამდენადაც შეუძლებელია ანოტაციას კომპაქტურობა, იმდენად უფრო მნიშვნელოვანია მასში ყურადღება მხოლოდ ძირითად დეტალებზე შევანეროთ.

ანოტაციის მოცულობაზე ჩვენ უკვე ვქონდა ლაპარაკი და აქაც გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ ამ შემთხვევაში ფორმულასავით უნდა იქნეს მიღებული: რამდენადაც შეიძლება მოკლე, ლაკონური, მაგრამ ტყვადი! ცხადია, როგორც ადრე ითქვა, ეს დიდადაა დაშთკიდებული საანოტაციო მასალაზე, ანოტაციის



დანიშნულებაზე, მის მომხმარებელზე, მაგრამ რამდენად რთულ და მნიშვნელოვან წიგნთან არ უნდა გვქონდეს საქმე, მოცულობის საკითხი ყოველთვის უნდა იყოს მხედველობის არეში. მოცულობა დიდადაა დამოკიდებული ანოტაციის შინაარსზე, იმაზე, თუ როგორაა იგი აგებული. ერთ-ერთ მთავარ პირობას ამ შემთხვევაში წარმოადგენს კონკრეტულობის დაცვა. ანოტაცია გამორიცხავს ზოგადობას, საუბარი უნდა შეეხებოდეს ძირითადს, მთავარს, მაგრამ კონკრეტულად, ზუსტად იმის ჩვენებით, რაც ამომწურავად ხსნის შინაარსს, რასაც დამატებითი მხჯელობა არ ესაჭიროება, რაც ნათელი და გასაგებია. ყოველივე ეს დიდადაა დამოკიდებული ანოტაციის სტილისტურ-ლექსიკურ და გრამატიკულ დამუშავებაზე. ეს საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა, რომელიც პროფესიონალურ ცოდნას მოითხოვს. უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ანოტაცია ლიტერატურული ნაშუქებია და ის შემოქმედებითი შრომის შედეგია, ლიტერატურული ნაწარმია და ზოგიერთი „თვითნებობა“, თავისუფალი დამოკიდებულება მის მიმართ, დასაშვებია, მაგრამ ძალიან ზომიერად, თანაც იმეგობრად, რომ არ გაბუნდოვანდეს ძირითადი. იგივე ითქმის სტილზე. მართალია, ყველას, ვინც ლიტერატურულ საქმიანობას ეწევა, თავისი სტილის დაცვის უფლება აქვს და ანოტაციაშიც დასაშვებია დამოუკიდებელი სტილის წარმოჩენა, მაგრამ აქაც მეტად მომჭირნედ უნდა იქნეს გამოყენებული ინდივიდუალური სტილი. თუ წერის მანერა ჩვენს შემთხვევაში საყოველთაოა - მოკლე ფრაზები, ოფიციალური დამოკიდებულება მკითხველის მიმართ, საქმიანი მხჯელობა, ეს მთლიანად არ ითქმის სტილზე, რომელიც სხვადასხვა ავტორს სხვადასხვაგვარი შეიძლება აქონდეს (იგულისხმება ანოტაციის ავტორი). მიუხედავად ამისა, როგორც ადრე აღვნიშნეთ, რეკომენდირებულია მიღწეულ იქნეს ანოტაციის ერთიანობა, აგრეთვე მარტივი წინადადებები, უმეტესად გამოყენებულ იქნეს ზმნური ფორმები, უკავშირო შეერთებები, ზედმიწევნით ზუსტად იყოს ხმარებული ნაცვალსახელები.

ანოტაციის ენა არის უბრალო, საყოველთაო, ლიტერატურულად გამართული, ყველასათვის თანაბრად გასაგებია და გრამატიკულად უზადო. ბევრი რამ დამოკიდებულია ანოტატორის გამოყენებაზე და აქ რაიმე შეზღუდვები ძნელია, მაგრამ მოთხოვნები საყოველთაოა - წინადადება სასურველია იყოს ლიტერატურაში სინტაქსურად საყოველთაოდ მიღებულ სტილში.

გრამატიკული დროის თვალსაზრისით, უმჯობესია



გამოყენებულ იქნეს მთლიანად მთელი ანოტაციისათვის ერთი ფრო - ან წარსული, ან აწმყო, ან მომავალი, თუმცა ამის შკაცრი დატყ სტილისტურად ზოგ შემთხვევაში შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი, გააჩნია, რამდენად მოხდენილად იქნება ფრაზა შედგენილი.

ხასურველია, ლექსიკა იყოს მდიდარი, არაა კარგი სხვადასხვა აზრის გამოხატვისას მუდამ ერთი და იგივე სიტყვები გამოვიყენოთ; თამამად უნდა მივმართოთ სინონიმებს, ხოლო თმონიმები, რამდენადაც შეიძლება, ხავსებით გამოირიცხოს.

ანოტაცია წიგნის აღწერილობის მოკლე, მაგრამ ტყეადი ელემენტია, რაც კიდევ უფო აძნელებს მის შექმნას. უმეტესწილად იგი თავისუფალია ყოველი ზედმეტსიტყვაობისაგან. აქ იშვიათად ვხვდებით რთულ თანწყობილ თუ ქვეწყობილ წინადადებებს, ჩართულებს, დანართებს, მეტაფორულ მეტყველებას და ა.შ.

ანოტაციის ტექსტის სრულყოფილად გადმოცემისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სინტაქსური ფორმების შესაბამისად გამოყენებას. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართული ენის თავისებურებას, ყველაზე მეტად შემასმენლის უმდიდრეს შესაძლებლობებს, კერძოდ, მის მიმართებას ქვემდებარესთან. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ანოტაცია მარტივი წინადადებებისაგან შედგება, სადაც მთავარი წევრები განსაკუთრებით გამოკვეთილნი არიან.

როგორც ცნობილია, მარტივ წინადადებაში, მით უფრო, როცა იგი მცირე სიტყვიანია, ტენდენციანა, რომ შემასმენელი ბოლოში იდგეს („ნაშრომში ავტორი თავის თეორიულ მოსახრებებს გამოთქვამს“), რაც უფრო მეტია სიტყვები, მით უფრო მეტად შეიმჩნევა შემასმენლის ცენტრისკენ გადაანაცვლება. ამიტომაც, თუკი ვიყენებთ მრავალსიტყვიან წინადადებას, შემასმენელი შეიძლება ბოლოშიც იყოს, მაგრამ გამოირიცხული არაა მისი ცენტრში არსებობაც. („ნაშრომში ავტორის აზრები თავმოყრილია უმეტესად ბოლო ნაწილებსა და პარაგრაფებში“).

ვრცელ წინადადებაში შემასმენლის ცენტრისკენულ მოძრაობას განაპირობებს, ერთი მხრივ, შემასმენლის სტაგმატური კავშირი სხვა წევრებთან. მეორე მხრივ - წარმოითქმის რიტმულ-ინტონაციური თავისებურებები, რაც გასათვალისწინებელია ანოტაციის შედგენის დროს, მაგრამ ეს დოჟმა არ არის. ბევრი რამ დამოკიდებულია სტილისტურ თავისებურებებზე, წერის მანერასა და თვით საანოტაციო წიგნზე, მის დანიშნულებაზე. სიტყვათა



განლაგების დროს გასათვალისწინებელია ისიც, თუ რას ესმება ხაზი წინადადებაში.

მაგალითად, „ბავშვი სახლში წავიდა“, „წავიდა ბავშვი სახლში“ და „სახლში წავიდა ბავშვი“ ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, თუ რას ექცევა მთავარი ყურადღება - ბავშვს, სახლს თუ წასვლას.

გარკვეულ კანონზომიერებებს უნდა ვითვალისწინებდეთ ქვემდებარის გამოყენებასთან დაკავშირებითაც. თანამედროვე ქართულში ქვემდებარე, შემასმენლის საპირისპიროდ, წინადადებას უშეტესად თავში მოუდის, მით უშეტეს, როცა ეს წინადადება მარტივი და მცირესიტყვიანია („მკითხველი თავად განსჯის ავტორის მოსაზრებებს“), მაგრამ თუ ქვემდებარეს ლოგიკური მახვილი მოუდის, კარგად გამართულ წინადადებაში იგი უშუალოდ შემასმენლის წინ მოექცევა („ამ ბოლო დროს რუსულს ბირველობაში ინგლისური ეცილება“).

ქვემდებარის პოზიციაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ზმნის გარდამავლობა. ამასთან დაკავშირებით მრავალი კანონზომიერება იჩენს თავს, რაც გასათვალისწინებელია ანოტაციაში წინადადების კონსტრუირების დროს.

მხედველობაშია მისაღები წინადადების სხვა წევრებიც - დამატება, გარემოება, განსაზღვრება და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ წინადადების ყველა წევრს გააჩნია თავისი პოზიციური „პრეტენზიები“, ზოგი შედარებით „თავისუფალი“ წინადადებაში ადგილის შერჩევაში (მაგ. ადგილის გარემოება), მაგრამ უშეტესობა მტკიცედ იმკვიდრებს თავის ადგილს, როგორც, მაგალითად, (ვითარების გარემოება, რომელიც შემასმენელთან აზრობრივად მჭიდროდაა დაკავშირებული („ავტორი კარგად წერს“, „ოპონენტი ძლიერ სცდება“ და სხვ.); მიზეზის გარემოება თანამედროვე ქართულში ძირითადად თავში ან ბოლოში გვხვდება („ამიტომ დაჭირდა ავტორს ამის თქმა“ - „სამი პარაგრაფი მოითხოვა მან ამის გამო“). რაც შეეხება მიზნის გარემოებას, ის ერთადერთია, რომლის პოზიცია ფიქსირებულია შემასმენლის მომდევნოდ („ყველაფერი ეს საჭიროა ძირითადი დებულების დასასაბუთებლად“).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთგვაროვან წევრთა რიგს, მეტწილად ერთგვაროვანი გარემოებების შემთხვევაში. წინადადებაში ამგვარ წევრთა თანმიმდევრობა სხვადასხვაგვარ შემთხვევაში სხვადასხვაგვარია.



ახვევ მნიშვნელოვანი კანონზომიერებანი შეიმჩნევა მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობასთან დაკავშირებით. შეიძლება იყოს ერთგვაროვან მსაზღვრელთა რიგი ან არაერთგვაროვან მსაზღვრელთა რიგი, რომელთა ზუსტ გამოყენებაზე დიდადაა დამოკიდებული წინადადების სიცხადე და სტილური სიზუსტე.

ცნობილია, რომ ქართულში წინადადების წევრთა განლაგებას ისეთი დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, როგორც ზოგ უცხო ენაში (ინგლისური, ფრანგული და სხვ.), მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი სრულიად შეუზღუდველი არიან. მათი თავისუფალი გამოყენება შედარებითია. არსებობს გარკვეული წესები და ჩარჩოები, რომელთა დარღვევა შეიძლება აზრის საზიანოდ დარჩეს. მაგალითად ერთი და იგივე აზრობრივი დატვირთვა სულაც არ ექნება წინადადებებს: „ახალი გამოცემის დებულებები სავსებით მისაღებია“ და „გამოცემის ახალი დებულებები სავსებით მისაღებია“. პირველ შემთხვევაში იგულისხმება გამოცემის სიახლე, მეორეში - დებულებათა სიახლე. მსგავსი მაგალითები ბევრია. მრავლად გვხვდება ამ მომენტის გაუსვალისწინებლობა, რაც ეწინააღმდეგება ენის კანონებს.

სიტყვათგანლაგების წესრიგი საკმაოდ რთული დახატველია, სიტყვათა რიგი სხვადასხვა ტიპისა თუ სახეობის წინადადებაში შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს მოცემული.

სიტყვათა რიგის სიზუსტე განსაკუთრებით გასათვალისწინებელია რთულ წინადადებებში; აქ მრავალ შემთხვევასთან შეიძლება დაგვირჩეს საქმე, მაგალითად, საცოდინარია, თუ სად უნდა იდგეს საზიარო ქვემდებარე რთულ წინადადებაში, რომელი წევრით იწყება დამოკიდებული წინადადება და ა.შ.

ანოტაციას, როგორც ვთქვით, ლაკონურობა და სიმარტივე მოეთხოვება. ამდენად, სავსებით კანონზომიერია, რომ მისი ავტორები უმეტესად მარტივ წინადადებებს მიმართავენ. მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როცა ცდილობენ რთული კონსტრუქციის წინადადებაც კი მარტივად გადააქციონ. მართალია, ეს იწვევს დახვეწილი სტილიდან გადახვევას, მაგრამ სიმარტივესაც უწყობს ხელს. მაგალითად, წინადადება - „კრებულის ავტორებმა ერთმანეთს გაუზიარეს წლების მანძილზე დაგროვილი თავიანთი მუშაობის გამოცდილება“ მარტივია, მაგრამ არსობრივად იგი ქვეწყობილი რთული წინადადების გარდანაქმნია, უმჯობესი იქნებოდა:



„კრებულის ავტორებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება, რომელიც წლების მანძილზე დაუგროვდათ“. ეს სწორია, მაგრამ ანოტაციის სპეციფიკა, რომელიც სიმოკლევს მოითხოვს, ურიგდება ამ გადახრას და ამგვარ ფორმულირებას არ ეწინააღმდეგება, პირიქით, სოფ შემთხვევაში მოითხოვს კიდევ ამას - რთული წინადადება მარტივად გარდაიქმნას, შოარიდოს მეტყველებას კავშირები (რომ, რადგანაც, რომელიც და სხვ). ასევე მთლიანად უარყოფილია შორისდებულები (ოპ, უპ, ჰპ, ოპო და სხვ.). და ჩართულები (როგორც ვთქვით, ამგვარად, ამდენად, რა თქმა უნდა და ა.შ.). არაა სასურველი ისეთი სიტყვების გამოყენება, რომელთა გარეშეც აზრი სავსებით ნათელია. მაგალითად, წინადადება - „ადგილი აქვს ადრე განხილული საკითხების გამოვლენას“ მოკლედ შეიძლება ასე დაიწეროს: „შეორდება ადრე განხილული საკითხები“, რაც სავსებით შეეფერება ქართულს და ამავე დროს თავიდან იცილებს რუსულ კალკას - „ადგილი აქვ“ („имеет место“). იგივე ითქმის „დაბრუნებას იძლევაზე“, როცა შეგვიღია ვთქვათ - „პირდება“ და სხვ.

დაახლოებით ამავე აზრით არაა სასურველი ანოტაციაში მივმართოთ დანართებს, განსაკუთრებით მაიგივებული კავშირებით - „ანუ“, „ესე იგი“, ან ზმნიზედით - „როგორც“, აგრეთვე სიტყვებით: სახელად, გვარად, წარმოშობით, წოდებით, უმთავრესად, განსაკუთრებით, მაგალითად, სახელდობრ და სხვ. როგორც ვიცით, დანართი აზუსტებს წინადადების რომელიმე წევრს. მაგალითად, შეიძლება შეგვხვდეს ამგვარი ტიპის წინადადებები: „ჩვენი მეცნიერები, კერძოდ, ქართველი მეცნიერები, კარგად იცნობენ ამ თეორიებს“, სადაც დანართია „კერძოდ, ქართველი მეცნიერები“, რომლის გარეშედაც შეიძლებოდა აგებულიყო წინადადება ისე, რომ გამოსათქმელი აზრი იოტისოდენადაც არ დაზიანებულიყო - „ქართველი მეცნიერები კარგად იცნობენ ამ თეორიებს“.

დანართები შეიძლება გამოვიყენოთ ცალკეულ შემთხვევაში, როცა ამას სტილური მომენტები მოითხოვს, ან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რაიმეს ხაზგასმას, მაგრამ უნდა ვეცადოთ, საერთოდ, ფრაზა ისე ავაგოთ, დანართი საჭირო არ განდეს. შედარებით განსხვავებულია განკერძოებული განსაზღვრებების გამოყენებაც, მაგრამ იგიც დანართის კონტექსტში უნდა გაფაიციოთ. თუ გვინდა განსაკუთრებით გამოვყოთ რომელიმე საგანი ან მოვლენა, ხაზგასმით ვთქვათ, ამ შემთხვევაში წარმატებით შეიძლება გამოვიყენებულ იქნეს განკერძოებული განსაზღვრება. მაგალითად,



ფრაზა - „ეს წიგნი, ერთ დროს ფრიად მნიშვნელოვანი, დღესაც კარგავს თავის ღირსებებს“ - ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოცემული გამოცემა ადრეც მნიშვნელოვანი ყოფილა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში მას არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ამით მაღლდება ანოტირებული წიგნის ღირსებები.

უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ზოგი თავისებურება, რაც ქართულისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, ხშირია შემთხვევა, როცა შემახმენელი ფორმით ახლანდელ დროშია, მაგრამ გულისხმობს როგორც წარსულს, ასე აწმყოსაც. ამის ნიმუშს წარმოადგენს ასეთი ტიპის წინადადებები: „ავტორი ცდილობს დაგვარწმუნოს“... „1882 წელს ამთავრებს სახწავლებელს“... „ვერ ეგუება არსებულ რეჟიმს და სხვაგან იწყებს მუშაობას“... „1905 წელს აქვეყნებს თავის პირველ კრებულს“ და ა.შ. ზოგ შემთხვევაში მომავალი დროც კი გაიგება როგორც წარსული - „მაღე ის გამოსცემს თავის კრებულს და ცნობილი მწერალი ხდება“.

შეიძლება ითქვას, რომ ასეთი გამოთქმები - „ვერ ეგუება“, „გამოსცემს“, „იწყებს“, „აქვეყნებს“ და სხვ., ერთგვარ „ზოგად“ დროს გულისხმობს - რაც იყო წარსულში, რაც ამჟამადაც არსებულია და მომავალშიც არსებული იქნება. ასეთი რამ დამახასიათებელია ისეთი მოვლენებისათვის, რომლებიც ყოველ დროში ცოცხლად წარმოიდგინება და მუდმივად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. სწორედ ამოტომაც ამგვარი გამოთქმები უხვად გამოიყენება ანოტაციებში, რაც მათთვის ზედმიწევნით დამახასიათებელია. ეს შემახმენელს განზოგადებულობის ფუნქციას ანიჭებს და მოქმედებას ერთგვარად უსრულოს ხდის - ის რაც ხდება, ამჟამადაც მოქმედებაშია.

ანოტაციის გაფორმების დროს უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოებაც - ამ ბოლო დროს განსაკუთრებით მოქარბდა უცხო ხიტყვები; რომლებიც უკვე ჩვენს ღექსიკაში იჭერენ ადგილს. ეს მოვლენა არახოდეუხ არ იყო უცხო, მაგრამ ამჟამად იგი ძალიან მომძლავრდა. მრავალ შემთხვევაში მათი გამოყენება აუცილებელია, მაგრამ როცა ქართულად ზუსტი შესატყვისი გვაქვს, არაა საჭირო მისი უცხო ტერმინით შეცვლა. მაგალითად, „სეკვენსტრი“ ქართულად ნიშნავს „შეკვეცას“. ამიტომ ჯობია ეს უკანასკნელი ვინმართო, თუკი უცხო ტერმინის გამოყენება რაიმე სპეციფიკით არ არის გათვალისწინებული. თანაც ეს უნდა მოხდეს ქართულში დამკვიდრებული სახითა და ორთოგრაფიული სიზუსტით.

შეტად ზუსტად უნდა გამოვიყენოთ ნაცვალსახელები. მათი



გამოყენება ამცირებს ტექსტის მოცულობას, მაგრამ შემთხვევაში, თუ ის შესაბამისად არ არის გამოყენებული, აზრს აბუნდოვებს. მაგალითად, წინადადება - „ავტორი ედავება ობონენტს, მაგრამ ის ამას არ თვლის საყურადღებო მოვლენად“ ბუნდოვანია. კერძოდ, გაუგებარია - ნაცვალსახელი „ის“ ავტორს ეხება თუ ობონენტს. თუ ამ ფრაზიდან ნაცვალსახელს სულ ამოვიღებთ, მაშინ გამოდის, რომ ავტორს არ მიაჩნია საყურადღებოდ ეს დავა, ხოლო თუ გვინდა ვთქვათ, რომ ობონენტს არ მიაჩნია ეს საყურადღებოდ, მაშინ უმჯობესი იქნება ითქვას: „ავტორი ედავება ობონენტს, მაგრამ იმას ეს არ მიაჩნია საყურადღებო მოვლენად“.

როგორც ვხედავთ, მცირე ცვლილებამ აზრი საკლებით ნათელი გახადა.

ნაცვალსახელის ხმარებასთან დაკავშირებით მრავალი უზუსტობა შეიძლება შევხვდეთ. ამიტომაც მასთან დაკავშირებულ კანონზომიერებებს საფუძვლიანი შესწავლა ესაჭიროება.

ანოტაციის შედგენის დროს არ არის მიზანშეწონილი ერთი და იმავე სიტყვის ხშირი გამოყენება, ტავტალოგია, პარალელები, გაუგებარი - არაკანონზომიერი შემოკლებები. ეს უკანასკნელნი განსაზღვრულნი არიან სათანადო წესებით, რომლებიც ზუსტად უნდა დავიცვათ. მიუღებელია თვითნებური შემოკლებები - „კატ.“ (კატალოგები), „ბიბ.“ (ბიბლიოთეკა, ბიბლიორაფია, ბიბლია) და სხვ.

მხედველობაშია მისაღები ზოგი სპეციფიკური მოვლენაც - მაგალითად, ზოგი ავტორი, როგორც თანამოსაუბრეს, ისე მიმართავს მესამე პირს ბრძანებით კილოში და საკითხის ერთობლივ გადაწყვეტას სთავაზობს - „შევხუთ რა ნაშრომს ზოგადად, ახლა განვიხილოთ საკითხი კონკრეტულად“. „შევუდგეთ ამ თემის განხილვას“ და სხვა.

ზოგ შემთხვევაში წინადადება შეიძლება ისე აიგოს, ქვემდებარე არც კი იყოს მითითებული ან კონკრეტულად მოაზრებული - „ჩვეულებრივ, მიაჩნიათ, რომ...“ „ფიქრობენ, რომ...“ და ა.შ.

ანოტაცია თავისუფალი უნდა იყოს წიგნის ავტორის რეკალიების, დამსახურების, ღვაწლის აღნიშვნისაგან. არაა მიზანშეწონილი ავტორის მიმართ საკებარი, შეშამკობელი, განმადიდებელი სიტყვების გამოყენება, როგორცაა, მაგალითად: „ცნობილი მეცნიერი“, „დიდი მოღვაწე“, „უბადლო პიროვნება“, „ღირსეული მოქალაქე“, „ორდენოსანი“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, ენა მტკიცედ ჩამოყალიბებულ კანონზომიერებებზეა აგებული. მისი ნორმები უზრუნველყოფს სწორ მეტყველებასა და წერას, ხელს უწყობენ ლაქონური, დახვეწილი სტილის ტექსტის შექმნას, წინადადებათა სწორად გაშართვას, მაგრამ მხოლოდ გრამატიკულ-სტილისტიკური თავისებურებების გათვალისწინება არ კმარა. ძნელია ფრაზები მხოლოდ დადგენილი წესებით ავაგოთ, უამრავი ნიუანსი შეიძლება წარმოინდგეს და ყოველივე ეს გასათვალისწინებელია. ამავე დროს მხედველობაშია მისაღები ტრადიციები და ტენდენციები, მთელი რიგი გადახრები და გამონაკლისები, რომლებიც თავს იჩენს ცოცხალ მეტყველებაში.

ყოველი ენის ლექსიკაში რამდენიმე ლექსიკურ ფენას გამოყოფენ: საერთო ხმარების წიგნიერს, ოფიციალურს - საოქმო-საკანცელარიოს, დიალექტიკურს, სასახუბროს. სალიტერატურო ენაში ყოველი ლექსიკური ფენა შეიძლება შეგვხვდეს, ოღონდ მათი ხმარება მაშინაა გამართლებული, როცა ისინი მოტივირებულნი არიან, გარკვეული მხატვრული ფუნქცია აკისრიათ, გამიზნულნი არიან გარკვეული ეფექტის მოხსენდენად.

ცხადია, ამდენი და ამგვარი შეზღუდვები საშიშროების წინაშე გვაყენებს, რომ ანოტაცია შეიძლება გადაამეტებულად სქემატური გამოვიდეს, რაც არ მოწონს მკითხველებს.

გრამატიკულ სიზუსტესთან ერთად, ანოტაციას მოეთხოვება პუნქტუაციური სიზუსტეც. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ტირეების გამოყენება, რომელიც ხშირად იგვევობას ან რომელიმე სიტყვის გამოთოვებას გამოხატავს.

ანოტაციაში თითქმის არ ვხვდებით მრავალწერტილს, თუ ის მხატვრული ტექსტის გადმოღების დროს სიზუსტის დაცვას არ ემსახურება.

რაც შეეხება ორთოგრაფიას, ანოტაცია, თუნდაც იგი უძველესი წიგნების ახალ გამოცემაზე იყოს დართული, ახალი ორთოგრაფიით აღიწერება იმ ენაზე, რომელზედაც წიგნია დაბეჭდილი. იშვიათ შემთხვევაში, თუ ტექსტი ორენოვანია ან თარგმნილია სხვა ენიდან, ან მიუძღვნება სხვა ერის ისტორიულად საყურადღებო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ისტორიულ თუ კულტურულ მოვლენას, შეიძლება ანოტაცია ორივე ენაზე ან რამდენიმე ენაზე გაკეთდეს, მაგრამ ისინი ერთმანეთის ზუსტ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს.

მნიშვნელოვანია სხვადასხვა შემოკლებებისა და აბრევიატურის მომენტების გათვალისწინება. არის გამოთქმები,



რომლებიც პირდაპირ გადმოიტანება ენაში სხვა უცხო ენებიდან „იფლა“, „იუნესკო“ და სხვ., ზოგი ითარგმნება ქართულად. ყოველივე ეს ისე უნდა გაკეთდეს, როგორც ამას არსებული ნორმები და კანონები მოითხოვს. იგივე ითქმის უცხოური გვარებისა და სახელებთან დაკავშირებით.

ანოტაციის შედგენა იმითაცაა რთული, რომ იგი დაშინტერესებელიც უნდა იყოს. მიუხედავად მისი მოცულობითი სიმცირისა, უნდა ხასიათდებოდეს მიმზიდველი თხრობით, ლექსიკური სიმდიდრით, აზრის ტყეადობით. დაინტერესების მომენტი გარკვეულ შემთხვევაში ფრიად საგულისხმოა. ძნელია აქ რაიმე მზამზარეული რეცეპტურის შექმნა და მხოლოდ ზოგად მითითებებზე შეიძლება შეყჩერდეთ. ანოტაციას ლაკონურობისა და სიმოკლავის გარდა, მოუთხოვება იყოს ნათელი, სათქმელი უნდა ითქვას ბოლომდე, არ უნდა რჩებოდეს გაუგებარი და გასარკვევი არაფერი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ანოტაციაში ყველაფერი უნდა ითქვას, პირიქით, უნდა ითქვას ის, რაც სურვილს აღუძრავს მომხმარებელს ანოტირებული მასალის წაკითხვისა. სრულებითაც არაა სავალდებულო ვაჩვენოთ შედეგი, საქმის სასრული, ნაწარმოების ფინალი. უნდა ვეცადოთ, დავაინტერესოთ მომხმარებელი ამით და არა იმით, თუ რა შედეგია მიღწეული. ანოტაციაში შედმეტია ახსნა-განმარტებები, სწავლება, დარიგება და მისთანები.

ანოტაცია ყურადღებას უნდა ამახვილებდეს პრობლემებზე, რომლებიც გადასაწყვეტია, და არა მათი გადაწყვეტის სურათს იძლეოდეს. ეს ერთ-ერთ მთავარ პრინციპადაც შეიძლება ვაღიაროთ. რა და როგორ გადაწყდა, რომელი თემა როგორ დასაბუთდა, რომელი ბოლემიკური მხარე დარჩა გამარჯვებული და სხვ. - მკითხველისათვის კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დავაყენოთ.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ანოტაციის სწორად გაფორმება, მისი გარეგნული ფორმა. წიგნში თუ ბიბლიოგრაფიულ ნუსხაში მისი ადგილი ჩვეულებრივ, მანვენებლებში ის იწერება ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შემდეგ, ბოლოში, სახურველია განსხვავებული შრიფტით. ამასთან, შეიძლება მთავარი ადგილები კურსივით ან მსუყე შრიფტით გამოიყოს. თუ სტილისტური აუცილებლობა არ მოითხოვს ამას, არ არის საჭირო შივა და შივ აბზაცების დაცვა. ჩვეულებრივ, ანოტაციები პეტიტით იბეჭდება. რაც შეეხება წიგნში ანოტაციის დართვას, ამ შემთხვევაში მისი ადგილის შერჩევა შედარებით თავისუფალია, მაგრამ არსებობს

დამკვიდრებული ტრადიციები. კერძოდ, ანოტაციებს ათავსებენ თავფურცლის უკანა მხარეს, ფორზაცის მეორე მხარეს და ზოგ შემთხვევაში სუპერზეც კი.

ანოტაციის შემდგენლის ვინაობა წიგნებში არ მოიხსენება. ჩვენი აზრით, შეიძლება დაირღვეს ეს დაუწერელი კანონი. ანოტაციის და ინდექსის დაშვარი იქ, სადაც აღინიშნება ტექნიკური რედაქტორი, მხატვარ-გამფორმებელი, კორექტორი და სხვა საქმიანი შენიშვნები, ისინიც უნდა მოიხსენიებოდნენ. ეს ხელს შეუწყობს პასუხისმგებლობის ამაღლებას ანოტაციაზე, რაც თავისთავად გააუმჯობესებს, საერთოდ, ანოტაციის ხარისხს.

ანოტაციის შედგენის დროს შეიძლება მივმართოთ ე.წ. კატახიზმურ ფორმას - კითხვასა და პასუხს. დაისმება ძირეულ საკითხზე კითხვა და გაიცემა პასუხი. ეს ხელსაყრელია განსაკუთრებით სასწავლო-შემეცნებით წიგნებში, მოზარდ და ახალგაზრდა მკითხველებისათვის.

ანოტაციის შედგენის მეთოდიკა ითვალისწინებს უშუალოდ ანოტაციაზე მუშაობას სპეციალისტის მიერ, ისმის კითხვა, რა პირობებია საჭირო ანოტაციის შედგენისათვის.

აქ ლაბარაკია იმაზე, თუ რა კონკრეტული პირობებია საჭირო იმისათვის, რომ ანოტატორმა ნორმალურად იმუშაოს ანოტაციის შედგენაზე, რომ ის სრულყოფილი და კვალიფიციურად გამართული გამოუვიდეს. კადრების დაბალი კვალიფიციურობა, საჭირო ფინანსების უქონლობა დიდად უშლის ხელს ნორმალურ მუშაობას. ანოტატორს საშუალება უნდა ჰქონდეს სისტემატურად აიმაღლოს კვალიფიკაცია, თვალყური ადევნოს ახალ სპეციალურ ლუტერატურას, გამოიყენოს დამხმარე სახელმძღვანელოები, ისარგებლოს კონსულტანტის დახმარებით, იმუშაოს კომპიუტერთან, მიიღოს ინტერნეტიდან საჭირო ცნობები, ხელთ ჰქონდეს სხვა საჭირო კომუნიკაციები (ელექტრო ფოსტა, ტელეფონი და სხვ.), დაუბრკოლებლად მიიღოს საჭირო წყაროები (საცნობარო ლიტერატურა, რეცენზიები და სხვ.).

ანოტატორის სამუშაო პირობები უნდა შეეფერებოდეს დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებსა და პირობებს. გარემო უნდა იყოს მშვიდი და წყნარი, პაერი სუფთა, ოთახი ნორმალური განათებით, საჭირო აქსესუარი. საჭირო მასალა უნდა მიეწოდებოდეს დაუყოვნებლივ, დაკვეთა სრულდებოდეს ოპერატიულად.

მნიშვნელოვანი საქმეა ანოტაციის რედაქტირება. რედაქტორი უნდა იყოს მაღალი კვალიფიკაციის გამოცდილი სპეციალისტი.



იგი მთავარი დამხმარეა ანოტატორის, რომელიც ეხმარება მას როგორც შედგენაში, ისე სხვადასხვა წყაროების გამოვლენასა, მოპოვებასა და დამუშავებაში.

ანოტაციის შედგენის პროცესი სრულ მოწესრიგებულად წარმოებას საჭიროებს. იწყება ის, უპირველეს ყოვლისა, მასალის საფუძვლიანი დამუშავებით, რის შემდეგაც უკვე ხდება უშუალოდ ანოტაციის შედგენა. მას წინ უძღვის ანოტაციის სახეობის შერჩევა - სახელდობრ, რომელი სახის ანოტაცია უნდა იქნეს გამოყენებული, რომელ ელემენტებს უნდა მივმართოთ. ამის დადგენა შეიძლება იმის შემდეგ, როდესაც დავადგენთ, რა ხასიათის წიგნთან გვაქვს საქმე, გავარკვევთ მის თემატიკას და გადავწყვეტთ, ვისთვის იქნება ანოტაცია განკუთვნილი, რომელი კატეგორიის მკითხველისათვის, ამავე დროს ცნობილი იქნება, თუ რა ხასიათის გამოცემისა თუ კატალოგისთვის არის ის განკუთვნილი.

ანოტირების პროცესი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება: 1) მასალის პირველადი გაცნობა და დამუშავება; 2) მასალის სიღრმისეული გაცნობა; 3) მთავარის მკვეთრად გამოყოფა და მეორეხარისხოვნის ჩამოცილება; 4) მონათესავე პრობლემების ლოგიკურად კომპლექსირება; 5) ანოტაციის სახეობის, მკითხველთა კატეგორიების, გამოცემის ხასიათისა და სხვა ელემენტების წინასწარ განსჭვრეტა; 6) ანოტაციის წინასწარ დაწერა (შავად დაწერა) და მისი დამუშავება; 7) ანოტაციის გადათეთრება, მისი გაფორმება, საბოლოო სახის მიცემა, ტერმინების დაზუსტება, სტილისტურ-გრაფიკული და ბუნქტუაციური დამუშავება; 8) საბოლოოდ რედაქტირება.

მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა ანოტაციას საბოლოო სახე და გადაეცემა გამოსაქვეყნებლად თუ გასამრავლებლად.

ამრიგად, ანოტაცია არ წარმოადგენს ერთი პიროვნების შრომითი პროცესების ნაყოფს. ვიდრე ის მომხმარებლის ხელში მოხვდება, მან უნდა გაიაროს კოლექტიური დამუშავების საკმაოდ შრომატევადი პროცესები.

თავი V

ცალკეული დარგის ლიტერატურისა და გამოცემათა სახეების ანოტირების თავისებურებანი

ანოტირების კერძო მეთოდიკის სპეციფიკა. — ოფიციალური მასალების ანოტირება. — სამეცნიერო ლიტერატურის ანოტირება. — სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის ანოტირება. — საწარმოო ლიტერატურის ანოტირება. — მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურის ანოტირება. — ბიოგრაფიული მასალის სპეციფიკა. — ანოტირებები ბიბლიოგრაფიული გამოცემისათვის. — კრებულების ანოტირება. — თსზულებათა კრებულების ანოტირება. — მრავალტომეული გამოცემების ანოტირება. — ანოტირებები სერიული გამოცემებისათვის. — ხაცნობარო ლიტერატურის ანოტირება. — სასწავლო სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების ანოტირება. — პერიოდული გამოცემების ანოტირება. — გრძელდებად გამოცემების ანოტირება. — პერიოდულ და გრძელდებად გამოცემებში დაბეჭდილი ცალკეული სტატიებისა და სხვა მასალების ანოტირება. — კარტოგრაფიული გამოცემების ანოტირება. — ნახაზების გამოცემათა ანოტირება. — გრაფიკულ გამოცემათა ანოტირება. — პლაკატების ანოტირება. — თვალსაჩინოებითი გამოცემების ანოტირების სპეციფიკა. — ელექტრონული ინფორმაციული მასალის ანოტირების სპეციფიკა.

ანოტირების ზოგადი მეთოდიკა, როგორც დავინახეთ, არის ანოტირების საფუძველი, რომელიც წარმოადგენს ყოველგვარი სახის, დარგისა თუ გამოცემის ანოტირების შექმნისათვის განათვალისწინებელი წესებისა და დებულებების ერთობლიობას. მაგრამ არსებობს სხვადასხვა კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც, ანოტირების თვალსაზრისით, სპეციფიკურებით გამოირჩევა. ცხადია, ის ექვემდებარება ანოტირების ზოგად მეთოდიკას, მაგრამ კერძო მეთოდიკის პრინციპებით აივება.

ანოტირების კერძო მეთოდიკა გულისხმობს კონკრეტული მასალის ანოტირებას, სპეციფიკურ მოვლენებს, რომლებიც ამა თუ იმ შემთხვევებთანაა დაკავშირებული. აქ ლაპარაკია არა საყოველთაო, ყოველგვარი შემთხვევისათვის მისადაგებულ წესებსა და დებულებებზე, არამედ რომელიღაც კერძო შემთხვევებზე, რომლებიც სხვადასხვა ნიშნით ხასიათდებიან და სხვისგან



შესამჩნევად გამოიჩინებიან. მათ შორის განსხვავება შეიძლება იყოს ძალიან დიდი, მაგრამ სხვაობა შეიძლება რადიკალურიც აღმოჩნდეს. მაგალითად: ლიტერატურა ბავშვებისათვის და სამეცნიერო ლიტერატურა, მხატვრული ნაწარმოებები და ღრმა მეცნიერული მონოგრაფია, თხზულებათა კრებული და ჟურნალის სტატია და ა.შ. ამ შემთხვევაში ანოტირების სპეციფიკას გამოხატავს საანოტაციო მასალის შინაარსი (დარგი) და გამოცემის სახით - რა სახის გამოცემასთან გვაქვს საქმე.

იმდენად, რამდენადაც ყველა საანოტაციო მასალა ინდივიდუალური თავისებურებებით გამოიჩნევა, ცხადია, შეუძლებელია ყველა კონკრეტულ შემთხვევას შევეხოთ. ამიტომაც, ლაპარაკი გვაქვს ამა თუ იმ სახეობისა თუ დარგის გამოცემაზე კრებსითი სახით და ისიც არა ყოველგვარი შემთხვევის კონკრეტულად განხილვის წესით, არამედ კონკრეტულ შემთხვევათა ზოგადად განხილვის გზით.

აქ ძირითადად შევეხებით საანოტაციო მასალის ყველაზე გავრცელებულ გამოცემებს, რომელთანაც სისტემატურად უნდება მუშაობა ანოტატორსა თუ ბიბლიოგრაფს.

ერთ-ერთ ამგვარ ლიტერატურას წარმოადგენს ოფიციალური მასალები. ძირითადად ესენია: სხვადასხვა კანონები, დადგენილებები, დებულებები, მანიფესტები, ოქმები, გადაწყვეტილებანი, განკარგულებები, ბრძანებულებები, ინსტრუქციები, ხელისუფლებისა და მთავრობის სხვადასხვა დოკუმენტები. უმეტესწილად ეს მასალა ასახავს პოვნებს ბროშურებსა და ბერიოდულ ორგანოებში. ამასთან, ხდება მათი აღნუსხვა როგორც ბიბლიოგრაფიულ მანუალებებში, ისე საკატალოგო აღწერილობებში. ცხადია, ანოტაციაც სხვადასხვაგვარი იქნება ამ შემთხვევაში, სხვაგვარი იქნება ის ცალკეულ თუ კრებულად გამოცემულ წიგნებსა და ბროშურებზე.

საერთოდ, ოფიციალური გამოცემების ანოტირება იშვიათად ხდება, რადგანაც სათაურის, ქვესათაურის, ქრონოლოგიური მონაცემებისა და სხვათა მიხედვით, იმდენად ნათელია ყოველთვის ყველაფერი, რომ საანოტაციოდ თითქმის არაფერი რჩება. მაგალითად, რომელიმე კანონი, რომელიც, დავუშვათ, ცალკე ბროშურის სახით გამოიცა, სავსებით აღჭურვილია ძირითადი ცნობებით - რას შეეხება კანონი, როდის იქნა მიღებული, ვის მიერაა ხელმოწერილი, რა და რა პარაგრაფებისაგან შედგება, როდის შედის ძალაში.



ამგვარი დოკუმენტებისათვის ანოტაცია უფრო მეტად დაგვიჭირდება ამ შემთხვევაში, თუკი გამოხულია იგი შესწორებებითა და დამატებებით. მაშინ ანოტაციაში გაკეთდება მითითება ამ მოვლენასთან დაკავშირებით. აგრეთვე ანოტაცია შეიძლება გავუკეთოთ ოფიციალური მასალების კრებულებს, მით უმეტეს, თუკი ისინი არა თემატურად გამოიცემა, არამედ სხვადასხვა თემატიკაზე გამოცემული მასალის თავმოყრით. რაც შეეხება პერიოდულ ორგანოებში გამოცემულ მასალებს, მათ ანოტაცია სრულებით არ ესაჭიროება. ზოგ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს დეშიფრაცია, რაც ანოტაციას არ წარმოადგენს, მაგრამ მას დიდად უწყობს ხელს შინაარსის გახსნაში.

თავისებური სპეციფიკით გამოირევა სამეცნიერო ლიტერატურის ანოტაცია. საერთოდ, სამეცნიერო ლიტერატურა თავისი შინაარსობრივი, მეთოდოლოგიური და საგამომცემლო თვალსაზრისით ყველაზე მრავალფეროვნია და ამიტომაც რთული. ის შეიძლება იყოს ღრმა კვლევითი ხასიათის, გამაცნობიერებელი, შემეცნებითი, პოლემიკური, საკითხის დასმის წესით და ა.შ. აგრეთვე შეიძლება იყოს მონოგრაფია, თემატური თუ ზოგადი კრებული, სტატია, ერთი ან რამდენიმე ავტორის ნაშრომი, ავტორთა კოლექტივისა თუ კორპორაციული ავტორისა და ა.შ. ამასთან, განუსაზღვრელია ის დარგები, რომლებსაც ის მოიცავს. ყურადღებაშისაქცევია ისიც, რომ ნაშრომები შეიძლება სავსებით განსხვავებული ხასისა იყოს: დოკუმენტების პუბლიკაცია, სტატისტიკური მონაცემები, მარიგინალები და სხვ. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ყველა მათგანზე კონკრეტული რეკომენდაციის შემუშავება შეუძლებელია ანოტაციისათვის, ისიც სავსებით გასაგებია, რომ იმის მიხედვით, თუ რა კატეგორიის გამოცემასთან გვაქვს საქმე, ანოტაციაც ერთგვაროვანი ხასიათის არ იქნება. მაგალითად, სხვაგვარ ანოტაციას მოითხოვს მონოგრაფია, სხვაგვარი იქნება ანოტაცია საბოლევშიკო ლიტერატურაზე, სხვაგვარი — სტატისტიკურ კრებულზე და ა.შ. რაც შეეხება ზოგ მასალას — შენიშვნები, კომენტარები და სხვ. შეიძლება დეშიფრირებულ იყოს და არა ანოტირებული, თუმცა მათი ანოტირებაც არაა გამორიცხული. მაგრამ უნდა დავიცვათ ის ზოგადი მოთხოვნები, რაც ზოგად მეთოდოლოგიაში არის ჩამოყალიბებული.

სამეცნიერო წიგნების ანოტირებისას სახურველია მითითებულ იყოს სხვა წყაროები, რომლებიც მოცემულ გამოცემას შეეხება, ფრიად მნიშვნელოვანი იქნება იმის აღნიშვნა, რამდენად



სასარგებლოა ეს თეორიული დამუშავებანი პრაქტიკისათვის რაში გამოიხატება ის.

სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის ანოტირებისას განსაკუთრებით საყურადღებოა განკუთვნილობის მომენტის გათვალისწინება - ვისთვის არის განკუთვნილი საანოტაციო გამოცემა. ცხადია, აქ მხედველობაში მისაღებია ისიც, თუ რა დარგს განეკუთვნება ეს ნაწარმოები, რადგანაც იგი არ არის წმინდა მეცნიერული ხასიათის და ძირითადად მეცნიერების პოპულარიზაციას წარმოადგენს, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დამაინტერესებლობის ფაქტორს. თვით ანოტაციაც უმჯობესია რეკომენდაციული ხასიათის იყოს, გათვალისწინებულ იქნეს ის, რაც ამგვარი ტიპის ანოტაციისათვის არის დამახასიათებელი. ამგვარ ანოტაციაში ნიშანდობლივია იმის ჩვენება, თუ რომელი კატეგორიის მკითხველისთვისაა იგი გათვალისწინებული.

საწარმოო ლიტერატურის ანოტაციაც, მხგავსად მეცნიერულისა, მეტად ფართო და მრავალმხრივ სფეროს მოიცავს. თვით გაგება „საწარმოო ლიტერატურისა“ საკმაოდ პირობითია, რადგანაც საწარმოო ლიტერატურად შეიძლება ზოგ შემთხვევაში მიჩნეულ იქნეს წიგნები, რომლებშიც თეორიულ-პრაქტიკული ასპექტებითაა დამუშავებული საკითხები. მაგრამ არის ამ ტერმინის შედარებით ვიწრო გაგებაც. ის გულისხმობს ინსტრუქციულ-მეთოდოლოგიურ თუ სანორმადარო ხასიათის გამოცემებს. მას მიეკუთვნება მოწმობები გამოგონებაზე, ტექნიკური კატალოგები, სქემები, პატენტები, მეთოდოლოგიური მითითებები, ცხრილები და ა.შ. ამგვარ ლიტერატურას მიაკუთვნებენ ტრადიციულად აგრეთვე ტექნიკის ამსახველ და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურასაც. ამის გამო საწარმოო ლიტერატურის საზღვრები ზედმიწევნით იზრდება, რადგანაც ტექნიკა დღეს მრავალ დარგშია შეჭრილი: მას ადგილი აქვს ისეთ სფეროებში, როგორცაა ფიზიკურ-მათემატიკური, ქიმიური, გეოლოგიური მეცნიერებანი, აგრეთვე მედიცინა და ვეტერინარია, სამხედრო საქმე, ხელოვნება, პოლიგრაფია, საბიბლიოთეკო საქმე, ინფორმატიკა და სხვ. ცხადია, ეს საკმაო სირთულეებს წარმოაჩენს ამგვარი ლიტერატურის ანოტირების დროს. ყველას თავისებური მიდგომა და სპეციფიკის გათვალისწინება უსაჭიროება. საერთო მოთხოვნა ყველას მიმართ არის ის, რომ ანოტაციამ უნდა მიუთითოს ყველა ნაშრომის ფორმა: სერია, გამოკვლევა სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი,

საწარმოო თუ მეთოდიკური სახელმძღვანელო, საწარმოო სამახსოვრო, ინსტრუქცია, პროგრამა და ა.შ. ამავე დროს, რომელი კატეგორიის შკითხველთათვის არიან განკუთვნილნი. როგორც ყოველი დარგის ლიტერატურა, საწარმოო ლიტერატურის ანოტაცია დიფერენცირდება თემატიკის კვალობაზე, ასე მაგალითად, ტექნიკური ლიტერატურის ანოტაციას მოეთხოვება, განსაკუთრებით საზგასმულად გამოხატოს მანქანების დასახელება, მათი გამოყენების კონკრეტული პირობები, სიახლე, მნიშვნელობა, მიზნები და ებოქის დასახელებაც კი, ზოგ შემთხვევაში ისიც, თუ რომელ ქვეყანაში განხორციელდა მისი პრაქტიკული გამოყენება ან გამოცდა. ქვეყნის აღნიშვნას მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო სახაითის ლიტერატურის, აგრეთვე მეტეოროლოგიური, გეოლოგიური და მისთანა ლიტერატურის ანოტირებისას ზონალური თავისებურებების გასათვალისწინებლად.

მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურის ანოტაცია იმდენად თავისებურია, რამდენადაც თვით მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურა არის ამდაგვარი. როგორც ვიცით, მხარეთმცოდნეობითა ლიტერატურა, რომელიც ამა თუ იმ მხარის თუ ადგილის შესწავლას ეძღვნება. ამდენად, ცხადია, განსაკუთრებულ აქცენტს ანოტაციაში იმ ადგილის მითითება იჭერს, რომელსაც ნაწარმოები ეძღვნება. მაგრამ მხარეთმცოდნეობით ლიტერატურაში სხვა მრავალი დარგი მოყვბს ასახვას - ისტორია, გეოგრაფია, პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური მდგომარეობა, ეთნოგრაფია, ბუნება, მეცნიერება, კულტურა, განათლება, სახალხო მეურნეობა, მრეწველობა, ტექნიკა და სხვ., მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ყოველივე ეს მომხმარებელს აინტერესებს ამა თუ იმ მხარესთან დაკავშირებით, ამ მხარის შესაცნობად და შესასწავლად. ამასთან ერთად, ამ ლიტერატურისათვის დამახასიათებელია პერსონალური მასალა - წიგნები და სტატიები ადგილობრივ მოღვაწეთა შესახებ. იგივე ითქმის ბიოგრაფიულ მასალაზეც. ამ შემთხვევაში მთავარია აღინიშნოს მოღვაწის ცხოვრების ებოქა, მისი მსოფლმხედველობა, პოლიტიკური მრწამსი, შეხედულებები. მოკლედ დასახიათდეს მისი ღვაწლი. მისი მოღვაწეობის რომელი მხარეა ძირითადად ნაწარმოებში ასახული - წმინდ ბიოგრაფიული თუ მოღვაწეობა, თუ ორივე კომპლექსურად.

სავსებით განსხვავებულია ანოტაციები ბიბლიოგრაფიული გამოცემებისათვის. იგი საკმაოდ ახლოს დგას საცნობო



ლიტერატურის ანოტაციის მეთოდოკატან. როგორც ვიცით, ბიბლიოგრაფიული გამოცემები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მასალის მოცვის სისრულით, ქრონოლოგიური მონაცემებით, აღწერილობათა განლაგებით, დარგობრივი ნიშნით, ტერიტორიალური თვალსაზრისით, დანიშნულების მიხედვით და სხვ. ამდენად, თუკი ეს მონაცემები ნათლად არ არის გამოქვეყნებული სათაურში, რაც არაა იშვიათი, ყოველივე ეს ანოტაციაში ხაზგასმით უნდა აისახოს, ასევე საჭიროა ითქვას ბიბლიოგრაფიული მასალის დამუშავების ხასიათზეც, მის სრულყოფაზე, ძიების პროცესებზე და სხვ.

ანოტირების კერძო მეთოდიკა ითვალისწინებს აგრეთვე გამოცემათა სხვადასხვაგვარონებას, მათ სპეციფიკას, საიდანაც გამომდინარეობს თვით ანოტაციის სპეციფიკა. ერთ-ერთი სპეციფიკურ სახეობას წარმოადგენს კრებულები. კრებულები სხვადასხვა სახისაა: სხვადასხვა შინაარსის ანუ პოლილოგიური, თემატური, ერთი ავტორის ნაწარმოებების, სხვადასხვა ავტორების ნაწარმოებების, ერთნაირი ან შერეული ჟანრის. ცხადია, მათი ანოტაციები რაღაც ნაწილში განსხვავებული იქნება. მაგალითად, არ შეიძლება სხვადასხვა შინაარსის ანუ პოლილოგიური ხასიათის კრებულზე, რომელშიც, მაგალითად, შესულია პუბლიცისტიკური სხვადასხვა თემატიკისა თუ დარგის ნაწარმოებები, და სხვადასხვა ავტორთა ერთ თემატიკაზე არსებულ წიგნზე მსგავსი ანოტაციები გაკეთდეს. სხვადასხვა ნაწარმოებთა და სხვადასხვა ავტორთა შესახებ ცნობების მიცემა ყოველთვის არ იქნება საჭირო, რადგანაც უმეტეს შემთხვევაში ყოველივე ეს გამოცემის შინაარსში (სარჩევში) აისახება. შეიძლება რაღაც შემთხვევაში საჭირო გახდეს რამდენიმე ცნობილი ავტორის გამოყოფა და მათ შესახებ რაიმე საყურადღებოს აღნიშვნა.

საერთოდ, ანოტაციის ხასიათი დიდადაა დამოკიდებული კრებულის ტიპზე, რამდენად ერთფეროვანი ან მრავალფეროვანი მასალაა შიგ თაემოყრილი, მასში შეშავალი სტატიების მნიშვნელობაზე, მათ აქტუალობაზე, პოლიტიკურ, მეცნიერულ, მხატვრულ ღირსებებზე. ზოგი კრებული შეიძლება საფუძვლიანად იქნეს ანოტირებული, ზოგი შედარებით ზედაპირულად.

ჩვეულებრივ მიღებულია, რომ კრებულების ანოტირების რამდენიმე სახეობას იყენებენ - ზოგადფორმალურს, ავტორების ჩამოთვლას, მეტნაკლებად გაშლილს (ვრცელს), სათაურების ჩამოთვლას, ანალიტიკურს. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ,



ყოველივე ეს არის თუ არა ახალგაზრდა დოკუმენტის სხვა ნაწილებთან
 თხზულებათა კრებულების ანოტირების დროს
 განსაკუთრებით სპეციფიკურ მოვლენას წარმოადგენს ის, რომ
 ანოტაცია კეთდება მთელი ტომეულების მიმართ და თავსდება ის
 პირველ ტომში. ანოტაცია შეიცავს საზოგადო მონაცემებს მთელი
 გამოცემისათვის და არაა გამორიცხული, რომ ის შედარებით ვრცელი
 იყოს. ხაზი უნდა გაესვას, რამდენად სრულია ის, თუ რაღაც აკლია
 შესული. ამავე ტიპს მიეკუთვნება რჩეულებიც, აღსანიშნავია ისიც,
 არის თუ არა ეს გამოცემა „აკადემიური“. ცხადია, თუკი ეს
 მონაცემები სავსებით გამჭვირვალედ არ არის მოცემული
 თავფურცელზე.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რამდენად განსხვავდება ეს
 გამოცემა წინა გამოცემისაგან, შესულია თუ არა შიგ რაიმე
 კორექტივები, დამატებულია თუ არა ახალი მასალა და სხვ. ამ
 შემთხვევაში შესაძლებელია დაგვიჭირდეს დამოუკიდებელი
 ანოტაციები ცალკეული შემადგენელი ნაწილისათვის
 (ანალიტიკური ანოტაცია).

მრავალტომეული გამოცემების ანოტირებისას ძირითადად
 ვსარგებლობთ კრებულების ანოტირების მეთოდით.
 ფაქტობრივად, ყველა თხზულებათა კრებული მრავალტომეულია.
 აქ მხოლოდ შინაარსობრივი სპეციფიკაა და ისიც არა ყოველთვის.
 აქაც ვხვდებით შემთხვევას ე.წ. ანალიტიკური ანოტაციის
 გამოყენებისა. უმეტესად კი მიღებულია ე.წ. ზოგადი ხაზის
 ანოტაციების გამოყენება.

ანალოგიურად ხდება ანოტაციებში სერიული
 გამოცემებისათვის. ანოტაცია უნდა შეიცავდეს სერიის ზოგად
 დახასიათებას - მის თემატიკურ შინაარსს, თუკი ის სხვა დეტალის
 მიერ არაა დაზუსტებული, აგრეთვე ხაზგასასმელია, თუ რომელი
 კატეგორიის მკითხველისთვისაა იგი განკუთვნილი. თუ სერიას აქვს
 ქვესერიები, აუცილებელია, ეს ცნობა არ იქნეს გამოტოვებული.
 რაკი სერიული გამოცემა უმეტესად შედგება სხვადასხვა ავტორების
 სხვადასხვა ნაწარმოებებისაგან, ბუნებრივია, რომ საჭირო ხდება
 ანოტაციის გაკეთება სერიის ყოველ ერთეულზე.

განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს საცნობო ლიტერატურა
 - ენციკლოპედიები, სხვადასხვა ხაზისა და დანიშნულების
 ლექსიკონები, ცნობარები, გზამკვლევები და სხვ. იგი მუდმივად
 მრავალფეროვანია მასალის მოცვის, განლაგების, ენობრივი
 თვალსაზრისით, შინაარსისა და ფორმის მიხედვით, გაფორმების



მხრივ. ზოგჯერ კომპლექსური სახისაა. ამის გამო განსაკუთრებით გულდასმითაა საჭირო მისი ყოველმხრივი გადასინჯვა.

განსაკუთრებით გამორჩეულად უნდა აღინიშნოს ის სიახლე, რომელიც წინა გამოცემასთან შედარებით არის შიგ შეტანილი, რამდენად პასუხობს ტექნიკისა და ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნილებებს, არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, სოციალურ მოვლენებს და ა.შ.

საცნობო გამოცემები, რომლებიც თემატურად არიან შემოფარგლული, შედარებით განსხვავებულად იქნება ანოტირებული, ვიდრე ზოგადი ხასიათის გამოცემები. პირველს მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს თემატიკის სრულყოფილად აღქმასთან დაკავშირებული საკითხების გამოვლენისათვის.

მხედველობაშია მისაღები, რომ ამგვარ გამოცემათა ერთი ნაწილი ითვალისწინებს მკითხველთა გარკვეულ ფენას (ბავშვებს, მოზარდებს, ტურისტებს, სხვადასხვა დარგის მოღვაწეებს - არქეოლოგებს, ისტოლოგებს, ანტროპოლოგებს, კინოლოგებს, ხელოვნების დარგის მუშაკებს, სპორტის მოყვარულებს და ა.შ.) ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ანოტაციაში ამის აღნიშვნა, თუ სხვა დეტალიდან ეს თვალნათლივ არა ჩანს. მაგალითად „საბავშვო ენციკლოპედია“, „სამედიცინო ენციკლოპედია“, „ტელეფონებისა და მისამართების ცნობარი“ და მსგავსი სათაურები უკვე თვალნათლივ გვინფუნებენ, რომელი კატეგორიის მკითხველისათვის არიან ისინი გათვალისწინებული. მრავალ შემთხვევაში ბევრი ცნობა ქვესათაურებშია მოცემული და მათი გაშეორება ანოტაციებში არაა საჭირო.

ანოტაციაში ზოგ შემთხვევაში სასურველი იქნება მინიშნებული იყოს გამოცემის ავტორიტეტულობა, რაც იძლევა მოცემულ ცნობებზე დაყრდნობის უტყუარობის გარანტიას.

კალენდრების ანოტირებისას, განსაკუთრებით ადრეული წლებისა, საერთო ცნობების გვერდით, საჭიროა ადგილი დაეთმოს ცნობებს იმ გარეშე მასალაზე, რომელიც მოთავსებულია ამ სახის გამოცემებში - ლექსები, ბრძნული აზრები, ანდაზები, რჩევა-დარიგებები, კომენტარები, ქრონოლოგიური აღნუსხვები და სხვ.

სახწავლო სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გაცნობისას განსაკუთრებით უნდა მიექცეს ყურადღება იმას, თუ რა შეიძლება აინტერესებდეს ამ შემთხვევაში მომხმარებელს. ეს ძირითადად შეეხება იმას, თუ ვისთვისაა ეს სახწავლო გამოცემა - პედაგოგისა თუ მოსწავლისათვის, რომელი



ტიპის სახწავლეობისათვის, სტაციონარისა დაუსწრებლისათვის, რომელი კლასებისათვის, დამტკიცებული პროგრამითაა თუ არა და რომელი წლის, ახლავს თუ არა დამხმარე მასალა - რუკები, ილუსტრაციები, სხვადასხვა თვალსაჩინოებანი. თუკი ამის გამოვლენა სხვა ელემენტებიდან არ შეიძლება, ცხადია, ანოტაციაში უნდა აისახოს ყოველივე ეს. ანოტირების დროს საყურადღებო იმდენად წიგნის შინაარსობრივი მხარე კი არ არის, რამდენადაც სახელმძღვანელოს სპეციფიკური მხარეები, ის ნიუანსები, რომლებიც მას განასხვავებს მსგავსი ლიტერატურისაგან. როგორც ცნობილია, ამჟამად ერთ და იმავე საგანში ერთი და იმავე კლასისათვის რამდენიმე სახელმძღვანელო გამოიცემა, რომლებიც სხვადასხვა ტიპის სკოლებისათვის არის გათვალისწინებული, ზოგჯერ გრიფით, ზოგჯერ უგრიფოდ. ეს არ არის სასურველი მოვლენა, მაგრამ რეალობას ვერ გავუქცევით. ანოტაციაში საჭიროა მიეთითოს, რომ ამგვარი სახელმძღვანელოს შერჩევა უნდა მოხდეს სკოლასთან შეთანხმებით. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებზე ანოტაციები არა მოსწავლეთათვის, არამედ უფრო პედაგოგებისათვის იწერება. რაც შეეხება ანოტაციაში სახელმძღვანელოების თემატიკის განსაზღვრას, ეს სრულებითაც არაა საჭირო, იმდენად ნათელია ეს ისედაც. გამოთქმის წარმოადგენს სხვადასხვა პრაქტიკული დარგის მუშაკებისათვის გამოცემული სახელმძღვანელოები, რომლებშიც მოცემულია ამა თუ იმ საქმის წარმოებისა თუ ტექნიკის დაუფლების საკითხები. უმეტეს შემთხვევაში ასეთი მასალა გამოიცემა არა სრული, ერთიანი თემატიკით, არამედ ცალკეული საკითხის ან თემის მიხედვით და ამგვარ შემთხვევაში, ცხადია, ანოტაციაში თემატიკაც უნდა აისახოს.

საერთოდ, სახელმძღვანელოთა და დამხმარე სახელმძღვანელოების ანოტაცია მოითხოვს განსაკუთრებულ ინდივიდუალურ მიდგომას.

თავისებური მოთხოვნილებები წაყენება პერიოდული გამოცემების ანოტაციებს. საანოტაციო მასალა შეიძლება შეეხებოდეს წმინდა ფორმალურ საკითხებს, თუ ისინი საკატალოგო აღწერილობებში არ არის ნაჩვენები - სახელწოდების შეცვლა, გამომცემელთა შეცვლა, რედაქტორის შეცვლა, გამოცემის დროებითი შეჩერება, განახლება, დამატებების გამოცემა, გარეგანი ფორმის ცვლილება და სხვ. აგრეთვე შეიძლება ცნობები უფრო არსობრივ საკითხებს შეეხებოდეს, უფრო ჩაღრმავებულად



ინილავდეს მოვლენებს - პერიოდული ორგანოს დაარსებისა და განვითარების ისტორიას, რედაქციაში მოღვაწე ცნობილ პირებს, სხვადასხვა ლიტერატურულ-ისტორიულ და ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ მოვლენებს და ა.შ. საგულისხმოა პერიოდული ორგანოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ჩვენება. რაც შეეხება გრძელდებად გამოცემების ანოტაციას, ისინი ძირითადად კრებულების ანოტირების თავისებურებებს უახლოვდებიან. იმგვარი გამოცემების ანოტაციებში, როგორცაა „შრომები“, „მასალები“, „ბიულეტენები“ და სხვ., საჭიროა მიეთითოს ფაქულტეტი, განყოფილებები თუ კათედრები, სექტორები თუ გაერთიანებები. მნიშვნელოვანია აგრეთვე, ტექსტში მოყვანილ იქნეს გრძელდებად გამოცემებში მოთავსებული სტატიები ან ავტორები.

პერიოდულ და გრძელდებად გამოცემებში დაბეჭდილი ცალკეული სტატიებისა და სხვა მასალების ანოტირება, ფაქტობრივად, ჩვეულებრივ, წიგნის ანოტაციას ემსგავსება და რაიმე პრინციპული განსხვავება მათ შორის არ არის. ერთგვარ სპეციფიკურობას წარმოადგენს პერიოდულ ორგანოებში, განსაკუთრებით გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიების, კორესპონდენციების, შენიშვნებისა და სხვათა გაერთიანება ერთი სათაურის, ე.წ. „ქუდის“ ქვეშ, ან „ნაკრების“ სახით, როდესაც თავმოყრილად არის მოცემული სხვადასხვა მოღვაწეთა სიტყვები და გამოთქმები რაიმე ერთიან თემატიკაზე.

სპეციფიკურია აგრეთვე საგაზეთო და საჟურნალო ნაწილების ფორმის აღნიშვნა. მაგალითად: მოწინავე, ნარკვევი, ფელეტონი, კორესპონდენცია, რეპორტაჟი (ფოტორეპორტაჟი, წერილი რედაქციას, ღია წერილი და სხვ.). სპეციფიკურია ისიც, რომ აქ ყველაზე მეტად, ვიდრე სხვა შემთხვევებში, მიზანშეწონილია ანოტაციებში პერსონალების გამოყენება, ცნობების დაზუსტებები - საყოველთაოდ აღიარებული სახელი, საზოგადოებრივი მდგომარეობა, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები, მოღვაწეობის დახასიათება და ა.შ. ასევე დაზუსტებას საჭიროებს მხარეთმცოდნეობითი სტატიები, თუ რომელ მხარეს, რომელ ადგილს, რომელ ქალაქსა თუ სოფელს ეხება ის.

სავსებით სპეციფიკურია კარტოგრაფიული გამოცემების ანოტაცია. ამ შემთხვევაში ლაპარაკია ატლასებისა და ცალკეული რუკების გამოცემების ანოტირებაზე, თუმცა უმეტესად გაერცხლებულია შეუიძნებელი ნაკრებები ე.წ. მანუალებსა ან მუყაოს

სპეციალურ კაბრებში, რომლებიც, როგორც წესი, ერთვის ამჟამად
იმ სახის გამოცემებს როგორც დამატებითი დამხმარე მასალა. ასეთ
დროს, ცხადია, ანოტაციები იშვიათ შემთხვევაში თუ იქნება საჭირო.
ამ ვითარებაში ანოტაცია უნდა გაუკეთდეს არა ცალკეულ ნაწილებს,
არამედ გამოცემას მთლიანობაში. რაც შეეხება ატლასებს, ისინი
ჩვეულებრივი წიგნის სახეებს ატარებს და მათი ანოტირება
სავსებით ნორმალური მოვლენაა. ერთ-ერთ სპეციფიურ მხარეს
წარმოადგენს ის, რომ ასეთ გამოცემებში ხშირად დაართული
მხარეთმცოდნეობითი ხასიათის თვალსაჩინოებითი მასალა - ბუნების
სურათები, წარმოებითი საქმიანობის ამსახველი ილუსტრაციები,
ეთნოგრაფიული ხასიათის ნიმუშები, პორტრეტები და სხვ.
ანოტაციაში არ უნდა დარჩეს ეს მხედველობის გარეთ. ~

ცალკეული რუქების აღწერის დროს მკვეთრად უნდა იქნეს
გამოხატული რუქის სახეობა - პოლიტიკური, ეკონომიკური,
ეთნოგრაფიული, გეოლოგიური, ოკეანოგრაფიული, ფლორის, ფაუნის
და ა.შ. უეჭველად უნდა აღინიშნოს ის სიახლეები, რომლებიც
შეტანილია რუქაში წინა გამოცემასთან შედარებით, ამავე დროს,
სხვადასხვა დამაზუსტებელი ელემენტები, თუკი ისინი არ არის
აღნიშნული ქვესათაურულ ცნობებში. — ვის მიერაა რუქა შექმნილი,
ტიპოგრაფირებასთან დაკავშირებული მონაცემები, მასშტაბები,
გამოქვეყნების თარიღი, მიღებული კოორდინატები და ა.შ.

საკმაოდ მრავალფეროვან საანოტაციო მასალას იძლევა
სხვადასხვა სახის ნახაზები. ისინი შეიძლება იყოს დამხმარე
სასწავლო საშუალებები ტექნიკური სპეციალობის
სტუდენტებისათვის, აგრეთვე სამედიცინო ფაკულტეტების
სტუდენტებისათვის, როგორცაა დანადგარების ნახაზები,
სხვადასხვა კონსტრუქციების აგება, ადამიანის ანატომიური
აგებულება და სხვ. ყველა მათგანის ჩამოთვლა და თუნდაც
ზედაპირული დახასიათება შეუძლებელია. ერთი უნდა ითქვას, რაც
გამოხატავს ასეთი მასალის ანოტირების სპეციფიკურ მხარეს -
მათი დანიშნულება, ასახვის სიზუსტე, შესრულების ტექნიკა და
მისთანები, აუცილებლად უნდა იქნეს ასახული ანოტაციებში. იმ
შემთხვევაში, თუკი ალბომი შეიცავს ცნობილ არქიტექტურულ
ნაგებობათა ნახაზებსა და ილუსტრაციებს, საჭირო იქნება
გამახვილდეს ყურადღება მათ ავტორებზე, აგრეთვე მშენებლობის
დასრულების თარიღზე, სტილზე, ეფექტზე და სხვ.

მეტად მკვეთრი თავისებურებით გამოირჩევა გრაფიკულ
გამოცემათა ანოტაციები. აქ იგულისხმება რეპროდუქციები,



გრაფიურები, ნახატები, პორტრეტები, ფოტოსურათები და სხვ. გამოიცემა ცალკე კაბრებში ერთად თავმოყრილ ფურცლებად და ალბომების სახით. მნიშვნელოვანი მომენტია აქ იმის აღნიშვნა, თუ რომელი კოლექციებიდან არის ესა თუ ის ნაწარმოები, სად არის დაცული, რა ბოლიგრაფიული ხერხითაა დაბეჭდილი - როგორი ტექნიკაა გამოყენებული გამოცემისათვის - საღებავებში თუ ერთ ტონში. ლითოგრაფიულად, ფოტოგადაღებით, ავტოტიპიურად, კომპიუტერული ტექნიკითა და სხვ. მნიშვნელოვანი დეტალია განმარტებითი ტექსტების შესახებ საუბარი. ასევე საყურადღებოა ზოგ სურათზე ასახული ისტორიული მომენტების აღსანიშნავი განმარტება.

გრაფიურების შემთხვევაში მხედველობაში განსაკუთრებულად არის მისაღები მხატვართა გჯგუფის აღნიშვნა, რომლებმაც შექმნეს ეს გრაფიურა, ისიც, თუ რომელი ტექნიკური საშუალებებია გამოყენებული მათი გამოცემისათვის, აგრეთვე რა მასალათაა შესრულებული ნამუშევარი - ხეზე, ლითონზე, ლინელიუმზე თუ სხვა ცნობილი მასალების გამოყენებით. ასეთი გამოცემები, რომლებიც მოთავსებულია ფურცელ-ფურცელ ერთ რომელიმე მუყაოს ან ქაღალდის ხვეულში თუ კაბრაში, ჩვეულებრივ, ერთი თემატიკის მიხედვით იკრიბება და ეს თუ არ არის ნაჩვენები რომელიმე საგამომცემლო დეტალით, ის ანოტაციაში უპიჯვლად უნდა იქნეს ფიქსირებული.

რაც შეეხება პორტრეტებს, რომლებიც ცალკე ფურცლების სპეციალურ შენაკრებს წარმოადგენს ან ალბომში არის თავმოყრილი, მათი ანოტირება უნდა ითვალისწინებდეს ჩვეულებრივ იმ მოთხოვნებს, რაც ანალოგიური ფორმის გამოცემებს ახასიათებს. აქ ნაჩვენები უნდა იყოს არა მარტო მხატვართა ვინაობა, არამედ მათი ვინაობაც, რომლებიც გამოსატულნი არიან მხატვრის შიერ.

შედარებით რთულია პლაკატების ანოტირება. როგორც ვიცით, ისინი ხშირად ერთ და იმავე სათაურს ატარებენ („ყველანი არჩევნებზე“, „დაიცავით ქუჩაში მოძრაობის წესები“, „სისუფთავე ჯანმრთელობის საწინდარია“ და სხვ.). ამ შემთხვევაში გართულებულია ყოველი პლაკატის ანოტირების დროს მისთვის ინდივიდუალური სახის მიცემა. საჭიროა ზედმიწევნით მოკლედ იქნეს ასახული პლაკატზე მოცემული გამოსახულება, რაც საკმაოდ რთული საქმეა. სხვა მხრივ, აქ საჭიროა იმ დეტალების მოხსოვა, რაც საერთოდ გამოიყენება სხვა შემთხვევებშიც.

პლაკატების სისტემასთან ძალიან ახლოს დგას ავტალხანინდობითი გამოცემები. მათი ანოტირების დროს

მხედველობაშია მისაღები ის, რომ ისინი გათვალისწინებულ
სახკოლო სწავლების, ცოდნისა თუ წიგნის ფართო
პროპაგანდისათვის. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება
ანოტაციის სპეციალური მხარეები, რომლებიც სხვა გრაფიკულ
გამოცემისათვის არის დამახასიათებელი. მაგრამ ამავე დროს
გათვალისწინებელია სპეციფიური თავისებურებანი, რომლებიც
ხასწავლო და დამხმარე სახწავლო მასალის ანოტირების დროს
ვლინდება.

სინამდვილეში თითქმის ყველა გრაფიკულ გამოცემა
შეიძლება სახწავლო თვისებები მიენიჭოს. ასეთი შეიძლება იყოს
ისტორიული თუ პოლიტიკური რუკა (მით უმეტეს, ის თუ
სპეციალურად სახკოლო ამოცანებთან დაკავშირებითაა
შედგენილი), ალბომი თუ ასეთი რუქების ნაკრები, დიაგრამები,
პეიზაჟების გამოსახულებანი, ბუნების მოვლენების სურათები,
ცხოველებისა თუ მცენარეული საფარის ამსახველი პლანშეტები,
ადამიანის ანატომიური აგებულების ატლასი, სხვადასხვა
მწერლებისა თუ მოღვაწეების ცხოვრებისა და შემოქმედების
ამსახველი პლაკატი და სხვა, რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში,
როგორც წესი, ამხსნელი ტექსტი ახლავს.

ანოტაციაში, უპირველეს ყოვლისა, ნათქვამი უნდა იყოს, რომ
ეს მასალა არის სახწავლო თვალსაჩინოება, რის გათვალისწინებით
მას შეიძლება მიეცეს სახსწავლო-მეთოდური ლიტერატურის
ანალოგიური დახასიათება.

თანამედროვე პირობებში ხულ უფრო მეტ და მეტ ადგილს
იჭერს ელექტრონული წიგნი - კომპიუტერი. იგი არის
განუსაზღვრელი ინფორმაციის საშუალება, რომლის გამოყენება
მოითხოვს აგრეთვე გარკვეულ ინფორმაციას თვით მის შესახებ.
მასალა, რომელიც კომპიუტერულ ინფორმაციასთანაა
დაკავშირებული, თავად მოითხოვს მივიღოთ ცნობები მის შესახებ.
კომპიუტერული ანოტაცია შეიძლება იყოს ტრადიციული სახის -
წიგნური ფორმით და ტექნიკური სახით - დისკეტების ფორმით. ამ
შემთხვევაში სახსებით განსხვავებულ სპეციფიკასთან გვაქვს საქმე.
მთავარი არის ის, რომ როგორც წიგნი, ისევე კომპიუტერული მასალა
განუსაზღვრელია როგორც თემატიკის, ისე შინაარსის, მოცულობისა
და რაოდენობის, ხისრულისა და სხვა ნიშნის მიხედვით. ამ
შემთხვევაშიც, მრავალი ნიშანი არსებობს ანოტაციის სახეობათა
წარმოდგენისათვის, იგივე ელემენტები მოქმედებენ, რაც
ჩვეულებრივი წიგნის ანოტირების დროს, მაგრამ არის სპეციფიკური



მხარეებიც. მონაცემთა ბაზა შეიძლება ერთი თემატიკით შემოზღუდული და შეიძლება ზოგად სახით ატარებდეს. ამასთან, თითოეული აღწერილობის ერთეული განუსაზღვრელი რაოდენობის მასალას უყრის თავს. ყოველივე ამის ანოტირება უმძიმესი საქმეა. უმჯობესი იქნება, თუკი მივმართავთ ზოგადანოტაციურ სახეობას, თუმცა თემატიკური ანოტაცია გაცილებით უფრო მოხერხებულია.

საერთოდ, ელექტრონული წიგნის ანოტირება სავსებით ახალია ჩვენს პრაქტიკაში, ჯერ თვით კომპიუტერული პრაქტიკას ვერ უპოვია საყოველთაო გავრცელება და არაა ვასაკვირი, ელექტრონული მასალის ანოტაციის მეთოდიკა არ იყოს სრულყოფილი. ეს უკვე მომავლის საქმეა, რაც შესწავლასა და განზოგადობას საჭიროებს.

ძნელია ამოცწუროთ ყველა სახისა და ტიპის გამოცემათა ანოტირების სპეციფიკური თავისებურებანი, შევხვით ყოველგვარ დეტალს, მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელშიც აღმოჩნდება ანოტატორი, იგი უნდა გამოდიოდეს იმ ძირითადი თავისებურებათაგან, რომელიც შესაძლებელია დამუშავდეს ანოტირების კერძო მეთოდიკის მიერ.

თავი VI ანოტირების საქმის ორგანიზაცია

ორგანიზაციის ზოგადი გაგება. — ანოტაციის გამოყენება და გავრცელება. — ანოტაციის განთავსების ობიექტები. — ანოტაციები ინდივიდუალური მომხმარებლისათვის. — ანოტაციები ჯგუფური მომხმარებლისათვის. — ანოტირების პროცესების დაგეგმვა. — ანოტატორთა კადრებთან მუშაობა. — ანოტატორის პროფესიოვრამა. — ანოტირების საქმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა.

ანოტაციის საქმის ორგანიზაცია გულისხმობს წარმოების პროცესების იმგვარად მოგვარებას, რომ რამდენადაც შეიძლება რაციონალურად იქნეს მიღებული სრულყოფილი შედეგი. ამ შემთხვევაში შედეგად მიიჩნევა დასახული ამოცანების გადაწყვეტა, საქმის შესრულება. ერთია, როდესაც ცნობილია საქმის მეთოდიკა, რომელიც გვინვენებს, რა როგორ უნდა გაკეთდეს, და მეორეა -



როდესაც ხდება პროცესების რეალიზაცია, საქმის პრაქტიკულად განხორციელება, რისთვისაც საჭიროა არსებობდეს შესატყვისი პირობები.

ორგანიზაცია არ გულისხმობს რომელიმე კონკრეტული ანოტაციის შედგენისათვის ხელშემწყობი პირობების მოწესრიგებას, არამედ ეს ნიშნავს მთლიანად, მთელი საქმისათვის შესატყვისი პირობების შექმნას, რომ პრაქტიკული მოღვაწეობით მიღებულ იქნეს სასურველი შედეგი.

საქმის ორგანიზაცია არ ხდება თვითდინებით. აქაც წარმოებს თეორიული ბაზის შექმნა, რომელიც გვეხმარება პრაქტიკულად განვახორციელოთ საჭირო საქმიანობა. მუშავდება რეკომენდაციები, ინსტრუქციები, მითითებები, თუ როგორ ვიმუშაოთ პრაქტიკულად.

რამდენადაც უფრო მეცნიერული სიზუსტითაა დამუშავებული მოსაზრებები რაციონალურად მოქმედებისათვის, იმდენად უფრო ნაყოფიერია შრომა. შრომის მეცნიერული ორგანიზაცია საფუძველია მაღალწარმადობისა და ეფექტურობის.

განუხაზვრელია ანოტაციის მნიშვნელობა და მისი გავრცელების მასშტაბები. მისი მეშვეობით მომხმარებელი ოპერატიულად ახერხებს საჭირო დოკუმენტის გამოვლენასა და შერჩევას. მის გარეშე გაჭირდებოდა ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა - საგამომცემლო საქმე, მეცნიერული მუშაობა, ბიბლიოთეკებში ფონდების დაკომპლექტება და მეორადი შერჩევა, კატალოგებისა და ბიბლიოგრაფიული მაკენებლების შედგენა და ა.შ. ეს ყოველივე საზოგადოებრივობის ქმედობის უდიდეს სფეროს მოიცავს. ანოტაცია ჭირდება როგორც ერთეულ მკითხველს, ისე სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებას, რომლებსაც რაღაც კუთხით წიგნთან აქვთ საქმე - ენება ეს მის შექმნას თუ გამოყენებას. ყოველივე ამას წარმართვა და მოწესრიგება ესაჭიროება, რაც მკაცრ ორგანიზებულობას მოითხოვს.

ანოტაცია თავისთავად არ არსებობს. ის დაკავშირებულია ამა თუ იმ დოკუმენტთან და მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს, როგორც წესი, იგი განთავსებულია შესაბამის ობიექტზე და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვაგვარი თავისებურებებით გამოირჩევა.

უპირველეს ყოვლისა, ანოტაცია გამოცემული წიგნის ატრიბუტია, თავსდება წიგნში და ამ წიგნის არსს გამოხატავს. წიგნი არის ის ობიექტი, რომელშიც ანოტაცია პოვებს ადგილს და თავისებური ფუნქციებითაა აღჭურვილი. ცხადია, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ყველა მეთოდოლოგიური თავისებურება,



რომელიც უზრუნველყოფს მის წარმატებულად გამოყენებას
 გამოიჩინება ის თავისებური ხაეციფიკით. ამ შემთხვევაში ანოტაცია
 შეიძლება იყოს მოზრდილი, რამდენადაც წიგნის გვერდები იძლევა
 ამის საშუალებას. ამას ვერ ვიტყვით ანოტაციებზე, რომლებიც
 საკატალოგო ბარათებზე იბეჭდება თუ ხელით იწერება.
 საკატალოგო ბარათები ანოტაციების განთავსების ერთ-ერთი
 ყველაზე გავრცელებული ობიექტია. ცხადია, ამ შემთხვევაში მას
 მოუთხოვება იყოს, რამდენადაც შეიძლება, მოკლე და კომპაქტური.
 მართალია, შეიძლება დოკუმენტის აღწერილობის დროს
 გამოყენებულ იქნეს რამდენიმე გავრცელებადი ბარათი, მაგრამ ეს
 სასურველი არ არის, რადგანაც იწვევს კატალოგების მოცულობის
 ზრდას. მიუხედავად ამისა, კატალოგების ორგანიზაციის დროს
 მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ეს მომენტი.

ანოტაციის განთავსების ყველაზე გავრცელებული ობიექტი
 ეს ბიბლიოგრაფიული მანკენებელია. ამგვარ გამოცემათა დიდი
 ნაწილი სწორედ ანოტირებულია. ყოველ აღწერილობას ბოლოში
 თან ახლავს ანოტაცია, რომელსაც ასევე მოუთხოვება
 კომპაქტურობა, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება მასალის
 გავრცობა, რაც იწვევს მანკენებლის მოცულობის ზრდას. ეს
 თავისთავად გაუთვალისწინებელ ზედმეტ ხარჯებთანაა
 დაკავშირებული.

ანოტაციები იბეჭდება აგრეთვე საგამომცემლო გვერდებში.
 როგორც წესი, წარმატებით მოღვაწე გამომცემლობები გამოსცემენ
 თავიანთ საგამომცემლო გვერდებს, რომლებშიც აღწუსსულია, თუ
 რომელი წიგნების გამოცემა იგვემება მომავლისათვის. ასეთ გვერდებს
 უეჭველად ახლავს ანოტაცია, რომელიც საშუალებას აძლევს
 დაინტერესებულ პირებს, უმეტესად კი ბიბლიოთეკებს.
 გაითვალისწინონ, თუ რისი შექენა მოუხდებათ მომავალში. ყოველი
 გამომცემლობა და ბიბლიოთეკა უნდა ზრუნავდეს ამგვარი მასალის
 რეალიზაციაზე. ამ შემთხვევაში საჭირო ხდება საგამომცემლო.
 წიგნსაგაჭრო დაწესებულებებისა და ბიბლიოთეკების
 კოორდინირებული საქმიანობა.

ანოტაციის განთავსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტს
 წარმოადგენს აგრეთვე რეფერატული ჟურნალები. რეფერატული
 ანოტაციის მეშვეობით ყველა დაინტერესებულ პირს აქვს
 საშუალება, დაწვრილებითი ინფორმაცია მიიღოსა სამეცნიერო
 წიგნსა თუ სტატიაზე, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში არის
 გამოქვეყნებული და თავიანთი მნიშვნელობით საგულისხმონი არიან.

ანოტაციები იწერება აგრეთვე ე.წ. შეტყობინებულ ფურცლებზე. დიდი გამოცემლობები და წიგნსავაჭრო მაღაზიები, სხვადასხვა პერიოდული ორგანოები დრო და დრო გამოსცემენ პატარა ფურცლებს გამოსაცემი ან ახლადგამოსცემული წიგნების დასახელებითა და ანოტაციით; ზოგ შემთხვევაში ასეთი ფურცლები მხატვრულად არის გაფორმებული ორნამენტებითა თუ ილუსტრაციებით. ასეთი რამ გამოიყენება, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ წიგნის რეკლამირებისათვის. წიგნის რეკლამისა და პროპაგანდისათვის არის აგრეთვე ბიბლიოთეკებისა და წიგნის მაღაზიების პლაკატები. თვალსაჩინოებასთან ერთად, აქ ხშირ შემთხვევაში მოცემულია წიგნების ანოტაციებიც.

ანოტაციებს სხვადასხვა მიზნით გამოიყენებენ აგრეთვე დაუბუქდავი სახითაც. ძირითადად საგამომცემლო ორგანოები და სამეცნიერო დაწესებულებები. საგამომცემლო ორგანიზაციები წიგნების გამოცემის პროცესში ითხოვენ გამოსაცემი მასალის ანოტირებას. ეს ერთგვარად არის გამოსაცემი წიგნის თემატიკისა და არხის გაცნობის საშუალება, მაგრამ როგორც სახეობა, თავისებური სპეციფიკით გამოირჩევა. მთავარი ისაა, რომ გამოცემლობა გაერკვეს, რა სახის მასალასთან აქვს საქმე. რაც შეეხება სამეცნიერო დაწესებულებებს, ისინიც თავიანთი პროდუქციის დასაბუქდად მომზადების პროცესში ითხოვენ ანოტაციებს ამავე მიზნით.

ანოტაციის ერთ-ერთ ობიექტს წარმოადგენს კომპიუტერი. კომპიუტერში განთავსებული ზოგი ტიპის მასალა თავისთავად ანოტაციაა, მაგრამ არსებობს სპეციალური ანოტაციები გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებულ წიგნებზე. ხშირად ავტორები, გამომცემლები, წიგნსავაჭროები დ სხვა წიგნის გამავრცელებელი ორგანიზაციები და ზოგ შემთხვევაში ბიბლიოთეკები ინტერნეტში ათავსებენ ინფორმაციას ამა თუ იმ წიგნისა თუ წიგნების შესახებ. ავტორები „ვებ-გვერდებში“ მიუთითებენ რა თავიანთ წიგნებს, უმეტეს შემთხვევაში აკეთებენ ანოტაციასაც. ამგვარი ანოტაციების გამოვლენა უხვად შეიძლება კომპიუტერული ძიების დროს.

როგორც ანოტაციის ობიექტი, კომპიუტერი განუსაზღვრელ საშუალებებს ფლობს, რომლის სრულყოფილი გამოყენება ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

ანოტაციების გავრცელების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ ისინი შეიძლება შექმნილი იყოს ინდივიდუალური მომხმარებლისა და ჯგუფური მომხმარებლისათვის.



ინდივიდუალური მომხმარებლისათვის შექმნილი ანოტაციული გულისხმობს რომელიმე პირისათვის სპეციალურად დაწერილ ანოტაციას, რაც ამ ინდივიდთან სპეციალისტის შეთანხმებით ხდება. ასეთი რამ იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება პრაქტიკაში, განსაკუთრებით სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლებაზე მომუშავე პირებთან, ასპირანტებთან, მაძიებლებთან, მონოგრაფიაზე მომუშავე პირებთან. ცხადია, აქ ერთ-ორ წიგნზე არ არის ლაპარაკი. საქმე ეხება წიგნების წყებას ძირითადად რომელიმე ერთ თემაზე. ანოტაციაც ამ სპეციფიკას დაქვემდებარება, რამდენადაც, ფაქტობრივად, საქმე გვაქვს შედარებით მცირე ზომის თემატურ ბიბლიოგრაფიულ მანუალებულთან. ამ შემთხვევაში ანოტატორ-ბიბლიოგრაფი პირადად უნდა იცნობდეს დაშკვეთს, იცოდეს მისი მოთხოვნები რაში გამოიხატება, იცნობდეს მის პირად თავისებურებებს, ერკვეოდეს მის მიზნებსა და ამოცანებში. ამ შემთხვევაში ხდება აგრეთვე საჭირო წიგნების შერჩევა, მასალის მოძიება, რაც მოითხოვს წმინდა ბიბლიოგრაფიული ევრისტიკის საქმიანობასაც.

ბევრი ანალოგიური მუშაობის წარმოება მოუხდება ბიბლიოგრაფ-ანოტატორს ანოტაციის ჯგუფური მომხმარებლისათვის შესადგენად. არის შემთხვევები, როდესაც ჯგუფი, ძირითადად კოლექტივი, ამირებს შექმნას რაიმე, გამართოს მეცნიერული ღონისძიება (სიმპოზიუმი, ხესია, კონფერენცია), ჩაატაროს საიუბილეო დღეები, ექსპერიმენტები, ტრენინგები და სხვ. ამ შემთხვევაში საჭირო იქნება შეკრებილ იქნეს საჭირო მასალა, გამოვლინდეს გამოსაყენებელი ლიტერატურა, თვალსაჩინოებანი. ეს უკვე მოითხოვს წმინდა ბიბლიოგრაფიულ მუშაობას, მაგრამ თუკი შერჩეულ წყაროებს დართული არ ექნება ანოტაციები, ცხადია, ბიბლიოგრაფს მოუწევს მისი გაკეთება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება უკვე არა ინდივიდი, არამედ მთელი ჯგუფი.

ამგვარი სამუშაოების შესრულების დროს გასათვალისწინებელია, რამდენად სრულყოფილია უკვე არსებული ანოტაციები, ხომ არ ითხოვენ ისინი კორექტირებას ან, საერთოდ, მთლიანად შეცვლას. ამგვარი ანოტაციები უმეტესწილად ხელნაწერის სახით იქმნება, ან ხდება მათი მცირე რაოდენობით გამრავლება.

ანოტაციის საქმის ორგანიზაციისათვის დიდ მნიშვნელობას იძენს დაგეგმვითი სამუშაოების სწორად ჩატარება. ცხადია, აქ ლაპარაკი არ არის კონკრეტული ანოტაციის დაგეგმვაზე, არამედ

მოელი ამ საქმიანობის წარმართვის დაგეგმვაზე.

ყოველი წიგნის გამოცემა წინასწარ იგეგმება მისი სრულყოფილი ტექსტის დამუშავების გათვალისწინებით. სრულყოფილად ტექსტის დამუშავებაში იგულისხმება ანოტაციის შექმნაც იმის მიხედვით, თუ როგორ იქნება გათვალისწინებული მისი სახეობა და ფორმა. ანოტაციის შექმნა, რედაქტირება, გაფორმება, დაბეჭდვა კომპლექსური სამუშაოა და, ჩვეულებრივ, მას რამდენიმე შემსრულებელი აკავს. ზუსტად უნდა იყოს გარკვეული, თუ ვინ დაწერს ანოტაციას, ვინ გაუკეთებს მას რედაქტირებას და ვინ უზრუნველყოფს მის გამოცემას. გასათვალისწინებელია ანოტაციის მოცულობა, მისი ადგილი გამოცემაში, დაწერის დრო და ვადები.

ბიბლიოგრაფ-ანოტატორის პროფესია ძალიან რთულია. ამიტომაც ამ საქმის ორგანიზატორებმა სერიოზულად უნდა უზრუნველყონ შესაბამის კადრებთან მუშაობის საქმე, არ შეიძლება ანოტაცია შემთხვევით პირებმა აკეთონ. საქმის ორგანიზატორი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ცდილობდეს შემოიკრიბოს კვალიფიციური, გამოცდილი კადრები, შეუქმნას მათ იმგვარი პირობები, რომ ისინი შეუფერხებლად მუშაობდნენ. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ამ შემთხვევაში მრავალდარგობრიობასთან გვაქვს საქმე და ანოტატორ-ბიბლიოგრაფები სხვადასხვა დარგში დახელოვნებული ოსტატები უნდა იყვნენ. თუ შესაძლებელი არ არის მათი ერთად თავმოყრა, საქმითა საქმიანი ინტეგრირება დამყარდეს ამ სპეციალისტებს შორის, რაგინდ სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებსა თუ განყოფილებებშიც არ მუშაობდნენ ისინი. სასურველია, მათ პერიოდულად აგზავნიდნენ კვალიფიკაციის ასაშაღლებლად, უფრო გამოცდილი სპეციალისტები უტარებდნენ სემინარებს, ეწეოდნენ სტაჟირებას, ეცნობოდნენ ერთმანეთის გამოცდილებას.

ამ შემთხვევაში პიროვნებაზე ძალიან ბევრია დამოკიდებული, ამიტომაც საფუძვლიანად უნდა ვერკვეოდეთ ანოტატორის პროფესიოგრაფიაში — რა მოეთხოვება ბიბლიოგრაფ-ანოტატორს, როგორ პიროვნებას უნდა წარმოადგენდეს ის, რა თავისებურებებით უნდა გამოირჩეოდეს.

უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივ, თანდაყოლილ თვისებად სასურველია გააჩნდეს იმის ნიქა და უნარი, გაარკვიოს, თუ რა სირთულეების წინაშე დგას, ამასთან, პქონდეს მასალაზე ხანგრძლივი მუშაობის ჩვევა, არ ახასიათებდეს ზედაპირულობა,



შეიძლოს ბეჯითად საგნის განჩსრეკვა და დაკვირვებად
 ეწარებოდეს გაწეული მუშაობის შედეგების გადასინჯვა (თუკი ეს
 საქმემ მოითხოვა), უყვარდეს სკრუპულოზური მუშაობა.

ცხადია, პირველ ხანებში ძნელია სპეციალისტს მოეთხოვოს
 გამოცდილება, მაგრამ ბიბლიოგრაფი-ანოტატორი სისტემატურად
 უნდა ეუფლებოდეს ცოდნას, აკვირდებოდეს საქმეს, იყენებდეს
 კონსულტანტთა რჩევა-დარიგებებს; ამგვარად მიაღწიოს
 პროფესიონალურ დაოსტატებას; განსაკუთრებით საჭიროა მისთვის
 ლიტერატურული მუშაობის უნარ-ჩვევები, გრამატიკის კარგი
 ცოდნა, სტილის დაუფლება. იგი უნდა ფლობდეს წერის ძალაღ
 კულტურას. რა ცოდნა და გამოცდილებაც არ უნდა აქონდეს,
 უპირველესია მანც მეთოდის დაუფლება - როგორ, რა ხერხებითა
 და საშუალებებით შეადგინოს ანოტაცია, როდის და რომელი სახის
 ანოტაცია გამოიყენოს, რა გაითვალისწინოს ამა თუ იმ შემთხვევაში.
 უნდა გააჩნდეს ლექსიკის კარგი მარაგი, ერკვეოდეს იმ საკითხებში,
 რომლის შესახებაც ის წერს.

სხვა ბევრი რამ შეიძლება კიდევ მოეთხოვოს ბიბლიოგრაფ-
 ანოტატორს, მაგრამ ერთი აუცილებელია - უნდა იყოს
 დაუფლებული ბიბლიოგრაფიის საფუძვლებს, რომლის გარეშე
 კარგი ანოტატორი არ წარმოიადგინება.

რამდენად მაღალორგანიზებული და მაღალპროფესიული
 კადრიც არ უნდა გვყავდეს, საქმე სრულყოფილად ვერ იქნება
 მოგვარებული, თუკი არ იქნა იგი უზრუნველყოფილი მატერიალურ-
 ტექნიკური ბაზით.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საქმის დაფინანსება. აქ
 მხედველობაშია მისაღები როგორც ანოტატორ-ბიბლიოგრაფთა
 ძალადი ხელფასები, ისე აქსესუარის შექმნა (ქაღალდი, დამხმარე
 ლიტერატურა, წერის საშუალებები, სხვადასხვა საკანცელარიო
 ნივთები) აგრეთვე ხარჯები კონსულტანტთა მოსაწვევად,
 პონორარებისთვის, კომუნიკაციათა გამოყენებისათვის.
 სრულყოფილი მუშაობისათვის საჭიროა კომპიუტერი, რაც
 მოითხოვს როგორც ოპერატორისა და პროგრამისტის შტატს, ისე
 კომპიუტერის შენახვის ხარჯებს.

ანოტატორებს ესაჭიროება მისვლა-მოსვლა, მივლინებები,
 სტაჟირება, კურსებზე გაგზავნა და სხვ., რაც დამატებით ხარჯებს
 მოითხოვს.

თუკი ანოტირების სამუშაოები დაკვეთით ხდება, დასაშვებია
 გაწეული შრომის ანაზღაურება. ამდენად, შესაძლებელია

ორგანიზაციებს, რომლებსაც ეხელეწიფებათ ანოტაციების შედგენა უფლება პქონდეს ხელშეკრულებით იმუშაონ, საერთოდ, ანოტაციას შეიძლება ადგენდეს ორგანიზაცია-დაწესებულებები ან კერძო პირი. ჩვეულებრივ, ამგვარი სამუშაო ძირითადად წარმოებს საგამომცემლო, საინფორმაციო სამსახურებსა და ბიბლიოთეკებში. ამდენად, მათ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე დიდადაა დამოკიდებული, რამდენად იქნება ამ თვალსაზრისით უზრუნველყოფილი საანოტაციო საქმე.

რაკი ანოტაციის საქმე ერთი რომელიმე უწყების ხელში არ არის, საქიროა მტკიცე ინტეგრაციული კავშირების დამყარება იმ დაწესებულებათა შორის, რომლებიც ანოტირებას ახდენენ.

მაღალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საწინდარია ანოტაციის საქმის მაღალხარისხოვნად წარმოებისა.

10.50a

2997/479

K 258.291
3